K. Banaszczyk et al გამოკვლევების თანახმად ბეტამეტაზონის დიპროპიონატის და კალციპოტრიოლის კომბინირებული გამოყენება რეკომენდებულია ვულგარული ფსორიაზის მკურნალობისათვის, რადგან D ვიტამინის წარმოებულები უფრო აძლიერებს ადგილობრივად კორტიკოსტეროიდების მალამოს ან ლოსიონის შეწოვას. ამიტომ პრეპარატი უფრო ეფექტურია კომბინაციაში, ვიდრე მონოთერაპიაში. დაავადებაზე კონტროლის მიღწევის შემდეგ რეკომენდებულია კორტიკოსტეროიდების შეცვლა D ვიტამინის წარმოებულებით შემანარჩუნებელი თერაპიისთვის, გარდა ამისა სქელი ბალთები ($>0,75$ მმ) უკეთესად ექვემდებარებიან კერატოლიზურ აგენტებს, მათ შორის სალიცილის მუავას, შარდოვანას და დამარბილებელი საშუალებების გამოყენებას (საცხები, დამატენიანებელი) [2].

ადგილობრივი მკურნალობის არაეფექტურობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფოტოთერაპია - ულტრაიისფერი მოკლევალდიანი B სხივებით (NB-UVB) ან ფსორალენისა და ულტრაიისფერი A სხივების კომბინაციაში (PUVA), რომელიც წარმოადგენს ალტერნატიულ თერაპიას ვულგარული ფსორიაზის შემთხვევაში. ულტრაიისფერი გამოსხივება ზეგავლენას ახდენს ეპიდერმისის ლანგენჰანის უჯრედების უნარზე დათრგუნოს ანტიგენების წარმოქმნა T-უჯრედების მიერ, რითაც ითრგუნება იმუნური პასუხი. ფოტოთერაპიის აბსოლუტური უკუჩვენებებია სისტემური წითელი მგლურა, ქსეროდერმა და პორფირია. ფოტოთერაპია ზოგადად კარგად გადაიტანება. თუმცა, მწვავე გვერდითი მოვლენები შეიძლება იყოს ერითემა, წვა, ბუშტუკები და ქავილი. გარდა ამისა, PUVA შეიძლება ასოცირებული იყოს კანის კიბოს გაზრდილ რისკთან, რადგან ფსორალენები მოქმედებს როგორც ფოტომგრძნობიარე და UVA სხივები უფრო ღრმად აღწევს კანში [4].

მეორე რიგის თერაპია მოიცავს შემდეგ პრეპარატებს: მეთოტრექსატი, ციკლოსპორინი, აციტრეტინი და სულფასალაზინი. მეთოტრექსატი მოქმედებს ლიმფოციტების ინჰიბირებაზე რამდენიმე მექანიზმით, მათ შორის დიჰიდროფოლატ რედუქტაზას ინჰიბირებით, ამინომიდაზოლკარბოქსამიდის რიბოტილ ტრანსფორმილაზას (AICARTase) ბლოკადით და ადენოზინის დაგროვებით. მისი ყველაზე სერიოზული გვერდითი ეფექტია ძვლის ტვინის

დათრგუნვა. სხვა გართულებებია გულისრევა, პნევმონია, ჰეპატიტი, ღვიძლის ფიბროზი და ტერატოგენურობა. მეტოტრექსატი ჩვეულებრივ მიიღება პერორალურად ყოველ კვირას. კანქვეშა პრეპარატი ინვევს კუჭ-ნაწლავის ნაკლებ გვერდით მოვლენებს და უფრო ეფექტურია მაღალი ბიოშელწევადობის გამო. მეტოტრექსატის გამოყენების აბსოლუტური უკუჩვენებებია ღვიძლის უკმარისობა (ალკოჰოლის გადაჭარბებული მოხმარება და აქტიური B ან C ჰეპატიტი), ორსულობა და ტუბერკულოზი ან სხვა აქტიური ინფექცია [1].

ციკლოსპორინი არის კალცინეგრინის ინჰიბიტორი და აქვს მოქმედების დაწყების სწრაფი ეფექტი. ციკლოსპორინი კარგად მოქმედებს და აიტანება პედიატრიულ პაციენტებში და აქვს სწრაფი ეფექტი მძიმე, პუსტულარული და ერითროდერმული ფსორიაზის დროს [4]. პრეპარატმა შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერტენზია და შეუქცევადი თირკმლის ტოქსიკურობა. ამიტომ ციკლოსპორინის აბსოლუტური უკუჩვენებებია თირკმლის უკმარისობა, უკონტროლო ჰიპერტენზია, აქტიური ტუბერკულოზი ან სხვა ინფექცია და მიმდინარე და წარსულში არსებული ავთვისებიანი სიმსივნეები.

აციტრეტინი არის ორალური რეტინოიდი, რომელიც ხელს უწყობს კერატინოციტების დიფერენციაციას. მისი შესაძლო გვერდითი მოვლენები მოიცავს კანის სიმშრალეს, თმის ცვენას, ჰიპერლიპიდემიას და ჰეპატოტოქსიურობას. ორსულობის დროს აციტრეტინის გამოყენება წარმოადგენს უკუჩვენებას. აციტრეტინი ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე მეტოტრექსატი და ციკლოსპორინი ქრონიკული ვულგარული ფსორიაზის დროს. გარდა ამისა, აციტრეტინს აქვს ტერატოგენული პოტენციალი, ამიტომ რეპროდუქციული ასაკის ქალებში ის უნდა დაიწყოს მენსტრუალური ციკლის მეორე ან მესამე დღეს. კონტრაცეფცია უნდა დაიწყოს 1 თვით ადრე და გაგრძელდეს აციტრეტინის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, აციტრეტინი უკუნაჩვენებია მეძუძურ ქალებში და პაციენტებში თირკმლის ან ღვიძლის მძიმე დისფუნქციით [3].

მეტოტრექსატი, ციკლოსპორინი და აციტრეტინი პირველი რიგის სისტემური პრეპარატებია. სულფასალაზინი და აპრემილასტი, შეიძლება გამოყენებულ იქნას, როდესაც პირველი რიგის სისტემური მკურნალობა წარუმატებელია ან პირველი რიგის თერაპია უკუნაჩვენებია ან პრეპარატები ინვევენ არასასურველ გვერდით ეფექტებს [4].

A Raharja et al-ის მიხედვით ბიოლოგიური პრეპარატები მონოკლონური ანტისხეულები ან ხსნადი რეცეპტორებია. მათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს საშუალო და მძიმე დაავადების მკურნალობის შედეგებზე. რამდენიმე ბიოლოგიური პრეპარატი დამტკიცებულია საშუალო და მძიმე ფსორიაზის დროს გამოსაყენებლად, როგორიცაა TNF ადალიმუმები, ეტანერცეპტი, ინფლიქსიმები, ცერტოლიზუმები, IL-12/23p40 უსტეკინუმები, IL-23p19 რიზანკიუმები, გუსელკუმები, ტილრაკიუმები, IL-17 იქსეკიუმები. სეკუკინუმები და IL-17 რეცეპტორის ინჰიბიტორი ბროდალუმები. არ არსებობს ერთი "საუკეთესო" აგენტი და ბიოლოგიური პრეპარატების არჩევანი უნდა იყოს მორგებული თითოეული პაციენტის საჭიროებებზე [5].

ბიოლოგიური საშუალებები, მიუხედავად ეფექტურობისა, საჭიროებს რეგულარულ კანქვეშ ან ინტრავენურ შეყვანას. პერორალური მცირე მოლფეკულების ინჰიბიტორები, მათ შორის აპრემილასტი (ფოსფოდიესტერაზა 4 ინჰიბიტორი) და დიმეთილ ფუმარატი, ლიცენზირებულია საშუალო და მძიმე ფსორიაზის დროს გამოსაყენებლად.

ამჟამად ანტი-IL-17 აგენტები: სეკუკინუმები, ბროდალუმები, იქსეკიუმები, ანტი-IL-23 ინჰიბიტორები გუსელკუმები და ანტი-IL-12-23 ინჰიბიტორები უსტეკინუმები ჩვეულებრივ გამოიყენება ბალთისებრი ფსორიაზის და ფსორიაზული ართროიტის სამკურნალოდ. ანტი-TNF აგენტები ადალიმუმები, ეტანერცეპტი, ინფლიქსიმები, ცერტოლიზუმები პეგოლი პირველად გამოჩნდა ბაზარზე და ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ფსორიაზული ართროიტის სამკურნალოდ [4].

ამგვარად, ფსორიაზის მქონე პაციენტებში საფუძვლიანად უნდა შეიკრიბოს ანამნეზი და ჩატარდეს ფიზიკური გამოკვლევა, მათ შორის თავის თმის ანთაზი, ფრჩხილების და სახსრების, რადგანაც ოპტიმალური მკურნალობა დამოკიდებულია ფსორიაზის ფორმაზე, სიმძიმეზე და კერების ლოკალიზაციაზე. ვულგარული ფსორიაზის დროს, რომელიც აზიანებს სხეულის 10%-ზე ნაკლებს შეიძლება განიხილებოდეს მკურნალობა მხოლოდ ადგილობრივი თერაპიით. სხეულის დაზიანების 10%-ზე მეტი ჩართულობისას, მკურნალობის არაეფექტურობის შემთხვევაში ან გვერდითი ეფექტების არსებობის შემთხვევაში, ადგილობრივ თერაპიას ენაცვლება ფოტოთერაპია ან ჩვეულებრივი სისტემური თერაპია. ბიოლოგიური პრეპარატები გამოიყენება პაციენტებში, რომლებსაც დაზიანებული აქვთ სხეულის 10% ან მეტი, PASI ქულა 10-ზე მეტი და დერმატოლოგიური ცხოვრების ხარისხის ინდექსი-PSA 10-ზე მეტი.

ამჟამად ფსორიაზის მკურნალობა მოიცავს თერაპიული ვარიანტების ეფექტურ კომპლექტს. მკურნალობის კურსის შერჩევისას უნდა იყოს გათვალისწინებული სქესი, ასაკი, თანმხლები და გადატანილი ქრონიკული და ონკოლოგიური დაავადებები. დღესდღეობით განიხილება უფრო მეტი ახალი ბიოლოგიური პრეპარატები, რომელთაც შეუძლიათ გააუმჯობესონ ფსორიაზის მქონე პაციენტების ცხოვრების ხარისხი და გააკონტროლონ ფსორიაზის ძირითადი ასპექტები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Branisteanu DE, Georgescu S, Serban IL, Pinzariu AC, Boda D, et al. Management of psoriasis in children. Experimental and therapeutic medicine. 2021 Dec 1;22(6):1-8.
2. Banaszczyk K. Risankizumab in the treatment of psoriasis—literature review. Reumatologia. 2019;57(3):158.
3. Rendon A, Schäkel K. Psoriasis pathogenesis and treatment. International journal of molecular sciences. 2019 Jan;20(6):1475.
4. Menter A, Cordoro KM, Davis DM, Kroshinsky D, et al. Joint American Academy of Dermatology–National Psoriasis Foundation guidelines of care for the management and treatment of psoriasis in pediatric patients. Journal of the American Academy of Dermatology. 2020 Jan 1;82(1):161-201.
5. Raharja A, Mahil SK, Barker JN. Psoriasis: A brief overview. Clinical Medicine. 2021 May;21(3):170.
6. Brandon A, Mufti A, Sibbald RG. Diagnosis and management of cutaneous psoriasis: a review. Advances in skin & wound care. 2019 Feb 1;32(2):58-69.

მაია ისპირელი ¹, თამარ ებანოიძე ², გიორგი დურგლიშვილი ², ნატო დურგლიშვილი ²,
ნინო გრძელიძე ³, თამარი ბოჭორიშვილი ¹

**ვულგარული ფსორიაზის ეტიოლოგია, პათოგენეზი და მკურნალობის ალგორითმი
(ლიტერატურული მიმოხილვა)**

¹საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გორის სამხედრო ჰოსპიტალი,

²კანისა და ვენ-სნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი, ³სს „საქართველოს კლინიკები“

რეზიუმე

ფსორიაზი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გენეტიკური განწყობის, კანის აუტოიმუნური ქრონიკული დაავადებაა. დაავადების ეტიოლოგიური ფაქტორები უცნობია, თუმცა დიდი ნაბიჯები გადაიდგა მისი პათოფიზიოლოგიური კომპონენტების გამოვლენაში. არსებობს ფსორიაზის სამკურნალო საშუალებების ფართო არჩევანი, რომელიც დამოკიდებულია თითოეული პაციენტის სპეციფიკურ მახასიათებლებზე. მკურნალობის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს თანმხლები დაავადებები.



მარინე ნიკოლაიშვილი¹, ალექსანდრე თარხნიშვილი¹, გიორგი ანდრონიკაშვილი¹,
თეა გურაშვილი¹, დავით ნათაძე¹, ქეთევან ფევაძე¹, ხათუნა დონდოლაძე^{1,2},
მარინა გიორგობიანი³

ემგ-ს მცირე დოზების 24 საათიანი გავლენა თეთრი და რუხი ვირთაგვების ქცევაზე

¹ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; ²ევროპის უნივერსიტეტი; ³თსუ

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.08>

MARINE NIKOLAISHVILI¹, ALEKSANDRE TARKHNISHVILI¹, GIORGI ANDRONIKASHVILI¹,
TEA GURASHVILI¹, DAVID NATADZE¹, KETEVAN PEVADZE¹, KHATUNA DONDOLADZE^{1,2},
MARINA GIORGOBIANI³

THE 24-HOUR EFFECT OF LOW-DOSE EMF ON THE BEHAVIOR OF WHITE AND GRAY RATS

¹ Beritashvili experimental biomedicine center; ²European University; ³TSMU

SUMMARY

EMF affects living organisms differently depending on the exposure conditions. This study aimed to investigate the effect of EMF on behavior. White and gray rats were exposed to a 0.1 mT, 50 Hz electromagnetic field for 24 hours. Behavior was assessed using the plus-maze test.

Results: Grooming duration and hind paw time were significantly greater in gray rats than in controls ($p < 0.05$). Even low doses of EMF affect behavior, although species-specific responses were observed.

Keywords: Grooming, behavior, EMF


შესავალი: არაერთი კვლევა ჩატარებულა და დღემდე ტარდება ელექტრომაგნიტური ველის (ემგ) შესასწავლად. ცნობილია და ეჭვს არ იწვევს ის, რომ სხვადასხვა სიხშირის, სიძლიერის, ხანგრძლივობის მოქმედებისას სხვადასხვა სახის რადიაცია, მაგ. ემგ [3], მაიონიზებული რადიაცია [2], მიკროტალღები [4] და ა.შ. სხვადასხვაგვარად მოქმედებს ცოცხალ ორგანიზმზე და ამ ეფექტებს დეტალურად ვსწავლობთ ჩვენს ლაბორატორიაში. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ჯანმრთელობაზე მოქმედი უარყოფითი ეფექტები და სამედიცინო მიზნებისთვის სწორად გამოვიყენოთ ემგ, საჭიროა მისი დეტალურად შესწავლა. სწორედ ამიტომ მეცნიერთა არაერთი ჯგუფი მუშაობს და სწავლობს ემგ-ს მოქმედებას ცოცხალ ორგანიზმზე [6,7].

ჩვენი კვლევის მიზანია ემგ-ს მცირე დოზების 24 საათიანი მოქმედების შესწავლა ცოცხალ ორგანიზმზე, კერძოდ ქცევაზე ორგანიზმის თავისებურებების გათვალისწინებით.


კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტად ორი ჯიშის ვირთაგვები გამოვიყენეთ: თეთრი ველური და რუხი ველური ვირთაგვები. საკვლევ ცხოველებს წყალი და საკვები მიენოდებოდათ თავისუფლად. საექსპერიმენტო ჯგუფების (თეთრი და რუხი) ვირთაგვები მოვათავსეთ ემგ-ში 24 საათით. ემგ-ს გენერაციისთვის გამოვიყენეთ ემგ-ს კოჭა, რომელიც წარმოადგენს ემგ-ს გენერატორს, რომელიც გამოიმუშავებს 50 ჰერცი სიხშირის 0.1 mT ემგ-ს. ემგ-ს ქცევაზე მოქმედების შესასწავლად ჩავატარეთ ჯვარედინი ლაბირინთის ტესტი.

კვლევის შედეგები: კვლევის შედეგებმა აჩვენა განსხვავება რუხი და თეთრი ვირთაგვების ქცევას შორის როგორც ექსპერიმენტულ, ასევე საკონტროლო ჯგუფებში. სარწმუნო სხვაობა ($p < 0.05$) მივიღეთ გრუმიზის ხანგრძლივობასა (სურათი 1) და უკანა თათებზე წამოდგომის დროში, რუხ ვირთაგვების ჯგუფში, რუხი საკონტროლო ვირთაგვების ჯგუფთან შედარებით (სურათი 2). აგრეთვე სარწმუნო სხვაობაა თეთრი და შავ საკონტროლო ჯგუფებს შორის გრუმიზის დროში (სურათი 3) და დასხივებულ თეთრ და შავ ვირთაგვების უკანა თათებზე წამოდგომის დროში (სურათი 4). აღსანიშნავია, რომ ემგ-ს მოქმედების შემდეგ დახურულ და ღია სივრცეში გადაადგილების დროში რუხი და თეთრი ვირთაგვებში, ასევე კონტროლის ჯგუფის რუხი და თეთრი ვირთაგვების ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა მიღებული არაა.


სურათი 1. ნაჩვენებია ემგ-ს 24 საათიანი მოქმედების შემდეგ რუხი ვირთაგვებისა (exposure group) და საკონტროლო ჯგუფების ვირთაგვების გრუმინგის ხანგრძლივობა წამებში




სურათი 2. ნაჩვენებია ემგ-ს 24 საათიანი მოქმედების შემდეგ რუხი ვირთაგვებისა (exposure group) და საკონტროლო ჯგუფების ვირთაგვების უკანა თათებზე წამოღვომის ხანგრძლივობა (წმ)



სურათი 3. ნაჩვენებია საკონტროლო რუხი და საკონტროლო თეთრი ვირთაგვების ჯგუფების გრუმინგის ხანგრძლივობა (წმ)



სურათი 4. სურათი 2. ნაჩვენებია ემგ-ს 24 საათიანი მოქმედების შემდეგ რუხი და თეთრი ვირთაგვების ჯგუფების ვირთაგვების უკანა თათებზე წამოღვების ხანგრძლივობა (წმ)



დისკუსია: როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, 0.1 m.T. 50 ჰერცი სიხშირის ემგ გამოხატულ ცვლილებებს იწვევს ორგანიზმზე, სტრესული სიტუაციის დროს, სტრესორის მოქმედებისას, ავტო-გრუმინგის პროცესზე გავლენას ახდენს, სინტაქსურ ჯაჭვზე და იწვევს მის დარღვევებს [1,5]. ვირთაგვა თათებზე წამოღვების აკეთებს გარემოს შესწავლის მიზნით [5]. თეთრი და რუხი ჯგუფის ვირთაგვების ქცევა განსხვავდება არა მარტო ემგ-ს მოქმედების შემდეგ (სურათი 4), არამედ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ემგ-ს მოქმედებამდეც (სურათი 3). რაც შეეხება ემგ-ს მოქმედებას თითო ჯგუფზე, რუხი ვირთაგვების შემთხვევაში 0.1 m.T 50 ჰერცი ემგ-ს 24 საათიანი მოქმედების შემდეგ სტატისტიკურად სარწმუნოდ გაიზარდა გრუმინგის ხანგრძლივობა (სურათი 1), რაც იმაზე მიუთითებს, რომ სტერეოტიპული მოქმედების განხორციელებას მეტ დროს ანდომებს ცხოველი და შესაბამისად იცვლება მისი ქცევაც. რუხი ვირთაგვების ორგანიზმზე 0.1 m.T 50 ჰერცის ემგ-ს 24 საათიანი მოქმედების შემდეგ მნიშვნელოვნად მეტ დროს ატარებდნენ უკანა თათებზე, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის რუხი ვირთაგვები. რაც იმას ნიშნავს, რომ მეტ დროს უთმობენ გარემოს შესწავლას, დათვალავენ. ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები 0.1 m.T 50 ჰერცის ემგ-ს 24 საათიანი მოქმედებას თეთრი ვირთაგვების ჯგუფში არ გამოუწვევია.

დასკვნა: კვლევის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ 0.1 m.T 50 ჰერცის სიხშირის ემგ გარკვეულ ცვლილებებს იწვევს ორგანიზმზე, კერძოდ ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ქცევა და შესაბამისად გამოვლინდა ქცევითი ცვლილებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს კვლევაში ქცევის კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავებები იყო ჯგუფებს შორის. კერძოდ, რუხი და თეთრი ვირთაგვების ქცევები სხვადასხვაგვარია, რაც ადასტურებს იმას, რომ ემგ-ს მოქმედების დროს ორგანიზმის განსხვავებული თვისებები აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Andronikashvili, G., Gurashvili, T., Dondoladze, K., Nikolaishvili, M., & Makashvili, M. (2024). Neurobiology of supporting syntactic chains of self-grooming in rodents and its biochemical characteristics. *Journal of Biosciences and Medicines*, 12, 330-352.
2. Dondoladze, K., Nikolaishvili, M., Museliani, T., & Jikia, G. (2022). EFFECT OF RADIATION ON AGING PROCESSES AND TELOMERE LENGTH. VPLYV RADIATsII NA PROTSESY STARINNIA TA DOVZhYNU TELOMER. *Problemy radiatsiinoi medytsyny ta radiobiologii*, 27, 107-119. <https://doi.org/10.33145/2304-8336-2022-27-107-119>

3. Dondoladze, K., Nikolaishvili, M., Museliani, T., Jikia, G., & Zurabashvili, D. (2018). The impact of electromagnetic field on conditioned reflex memory. *NeuroQuantology*, 16, 93–100.
4. Dondoladze, K., Nikolaishvili, M., Museliani, T., Jikia, G., & Zurabashvili, D. (2020). Impact of household microwave oven non-ionizing radiation on blood plasma cortisol levels in rats and their behavior. *Georgian Medical News*, 306, 132–137.
5. Doremus, T. L., Varlinskaya, E. I., & Spear, L. P. (2006). Factor analysis of elevated plus-maze behavior in adolescent and adult rats. *Pharmacology Biochemistry and Behavior*, 83(4), 570–577.
6. Japan Society for Occupational Health May 22, 2024 (2024). Recommendation of occupational exposure limits (2024-2025). *Environmental and occupational health practice*, 6(1), ROEL2024. <https://doi.org/10.1539/eohp.ROEL2024>
7. Keriven, H., Sierra, A. S., González-de-la-Flor, Á., et al. (2025). Influence of combined transcranial and peripheral electromagnetic stimulation on the autonomous nerve system on delayed onset muscle soreness in young athletes: a randomized clinical trial. *Journal of translational medicine*, 23(1), 306.

მარინე ნიკოლაიშვილი ¹, ალექსანდრე თარხნიშვილი ¹, გიორგი ანდრონიკაშვილი ¹,
თეა გურაშვილი ¹, დავით ნათაძე ¹, ქეთევან ფევაძე ¹, ხათუნა დონდოლაძე ^{1,2},
მარინა გიორგობიანი ³

ემგ-ს მცირე დოზების 24 საათიანი გავლენა თეთრი და რუხი ვირთაგვების ქცევაზე
¹ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; ²ევროპის უნივერსიტეტი; ³თსსუ

რეზიუმე

EMF ცოცხალ ორგანიზმებზე განსხვავებულად მოქმედებს ექსპოზიციის პირობებიდან გამომდინარე. ეს კვლევა მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ემგ-ს ქცევაზე გავლენა. თეთრი და რუხი ვირთხები მოვათავსეთ 0.1 mT, 50 Hz ელექტრომაგნიტურ ველში 24 საათის განმავლობაში. ქცევა შეფასდა ჯვარედინი ლაბირინთის ტესტის გამოყენებით. რუხ ვირთხებში გრუმინგის ხანგრძლივობა და უკანა თათებზე გატარებული დრო კონტროლთან შედარებით ($p < 0.05$) დიდი იყო. ემგ-ს დაბალი დოზაც კი გავლენას ახდენს ქცევაზე, თუმცა გამოვლინდა სახეობა - სპეციფიკური პასუხები.



ლევან ჩიტაია

ლავინის ძვლის მოტეხილობების ქირურგიული მკურნალობა ბავშვებში

ნიუვიჟენ უნივერსიტეტი, თსსუ გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის საუნივერსიტეტო კლინიკა
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.09>

LEVAN CHITAI

THE SURGICAL TREATMENT OF CLAVICLE FRACTURES IN CHILDREN

New Vision University; Givi Zhvania Pediatric University Clinic of Tbilisi State Medical University

SUMMARY

Clavicle fractures account for approximately 14% of fractures of the bones in children, most of which are diaphyseal and proximal. While conservative treatment is still effective for straightforward fractures, for complex fractures or when anatomical alignment cannot be attained, surgery must be performed. Intramedullary osteosynthesis using titanium elastic nails (TEN) has become the operation of choice in children because it is minimally invasive with good biocompatibility and enables stable fixation. Compared to traditional methods of plating or Kirschner wires, TEN offers the advantages of decreased immobilization, decreased complications, and earlier return to function. While complications like

migration of hardware or infection are theoretically possible, titanium elastic nail technique is a safe and effective method for operative clavicle fracture fixation in the pediatric population.

Keywords: clavicle, osteosynthesis, children, fracture, titanium elastic nails (TEN)

ლაგინის ძვლის მოტეხილობა ბავშვებში შეადგენს ტრავმების 14%-ს. მოტეხილობების უმრავლესობა ლაგინის დიაფიზურ და პროქსიმალურ ნაწილშია, რადგან ძვალი აქ ყველაზე თხელი სეგმენტია. ლაგინის ძვლის მოტეხილობების მკურნალობა კონსერვატიული და ქირურგიულია. მარტივი მოტეხილობების დროს წარმატებით გამოიყენება ტრადიციული იმობილიზაცია და ფიქსაცია, თუმცა ზოგჯერ ფრაგმენტების სწორი ანატომიური დგომა ვერ ხერხდება, რასაც ხელს უწყობს სხვადასხვა ფაქტორი, მაგალითად გულმკერდის ექსკურსია, თავის მოძრაობა და სხვა. კონსერვატიული მეთოდის არადაამკაცოფილებელი შედეგი 16.2%-ია. მისი გამოყენების შეზღუდვა განპირობებულია სხვადასხვა დაზიანებების არსებობასთან (ნეკნების მოტეხილობა, გულმკერდის დაუფიქსირებლობა, ორივე ლაგინის მოტეხილობა და სხვა).

ლაგინის ძვლის ქირურგიული მკურნალობის ოსტეოსინთეზის მეთოდებია: გარეთა ინტრაოსალური, ღრმა (ძვალშიდა, ძვალზედა) და შეადგენს აღნიშნული ტრავმული დაზიანების მკურნალობის >30% [1,4]. გარეთა ოსტეოსინთეზი, მათ შორის აკრომიული, ბოლოს დაზიანებისას სრულდება კომპრესიულ-დისტრაქციული აპარატით, აღნიშნული მეთოდი გამოიყენება დაზიანებული ზონის გაშიშვლების გარეშე, იძლევა ფრაგმენტების რეპოზიციის და სტაბილური ფიქსაციის შესაძლებლობას.

ინტრამედულარული გარეთა ოსტეოსინთეზისათვის გამოიყენება კომპონენტები აპარატები: ტრანსსეგმენტალური გამტარი (ჩხირები) კონსოლური ფიქსატორები (ღეროები, ბრახნი).

გარეთა ინტრამედულარული ოსტეოსინთეზის უპირატესობაა: ფუნქციური მყარი ოსტეოსინთეზი, ფრაგმენტების მდებარეობის მართვა მკურნალობის პროცესში, ლაგინის ძვლის დამოკლების მინიმალიზაცია, მხრის სარტყლის განთავისუფლება იმობილიზაციისაგან, მკურნალობის და რეაბილიტაციის ერთდროულად მიმდინარეობა.

ინტრაოსალური ოსტეოსინთეზის შესაძლო გართულებებია: რბილი ქსოვილების ანთებითი პროცესი [1,2], აპარატის რთული კონსტრუქცია, შეზღუდული ხელმისაწვდომობა. აღნიშნულის გამო მეთოდი ფართოდ არ გამოიყენება.

ოსტეოსინთეზის მეთოდის შერჩევა განისაზღვრება ტრავმის სახით, მექანიზმით, ხარისხით. ინტრამედულარული ოსტეოსინთეზი ტიტანის ელასტიური ღეროს გამოყენებით განაპირობებს მეტად სტაბილურ ფიქსაციას. ოსტეოსინთეზი ლაგინის ძვლის მოტეხილობის ქირურგიული მკურნალობის ძირითადი მეთოდია, რომელიც 1958 წლიდან გამოიყენება მილერის და მისი ჯგუფის მიერ, მოწოდებულია (AO) შემდგომში Association for the study of internal fixation (ASIF)-მიერ. 65.2%-ში ინტრამედულარული ოსტეოსინთეზი სრულდება კირშნერის ჩხირების და ტიტანის ელასტიური ღეროების გამოყენებით [2,3].

ინტრამედულარული ოსტეოსინთეზი ბავშვებში კირშნერის ჩხირებით ნაკლებად ტრავმულია, შედარებით მარტივი და ხელმისაწვდომია [4,5]. ინტრამედულარული ფიქსაცია ამგვარი ჩხირებით (1.5-2.0მმ) ვერ უზრუნველყოფს საკმარის ფიქსაციას და სტაბილურობას, საჭიროებს დამატებით გარეთა იმობილიზაციას. მეთოდის ძირითადი ხარვეზი ფიქსატორების (ჩხირების) დეფორმაციაა ძვლის ტვინის არხში, მისი მიგრაცია და ზოგჯერ ფრაგმენტიზაცია, განსაკუთრებით საფრთხილოა მეთოდის გამოყენება ლაგინის სტერნალური სეგმენტის მოტეხილობისას (შესაძლოა შუასაყრის დაზიანება).

ოსტეოსინთეზი კირშნერის ჩხირით ლაგინის დისტალური სეგმენტის მოტეხილობისას სრულდება ტრანსაკრომიალური მიდგომით. კილერის იმობილიზაციით ოპერაციის შემდგომ

პერიოდში, მოსალოდნელია აკრომიონის ოსტეოლიზი. Lig acromion-clavicle-ის დაზიანებისას გამოიყენება ოსტეოსინთეზი ორი ჩხირით ტრანსაკრომიული გზით 8 მაგვარი კვანძით. მეთოდი საჭიროებს კიდურის იმობილიზაციას (ფუნქციის შეზღუდვა). მოსალოდნელია კანზე ნაწიბურის წარმოქმნა, ტკივილის სინდრომი ოპერაციის შემდგომ პერიოდში, ართროზის განვითარება.

ტიტანის ელასტიური ღეროს უპირატესობები: ლავინის ძვლის ინტრამედულარული ოსტეოსინთეზი ტიტანის ელასტიური ღეროს გამოყენებით განისაზღვრება მეტად სტაბილური ფიქსაციით, გამოიყენება ტიტანის ელასტიური ღეროები და ფირფიტები. ტიტანი მყარი, ბიოლოგიურად თავსებადი, დაბალი თბოგამტარობის, არატოქსიური დაბალი ხვედრითი წონის ელემენტია. ფორმების მიხედვით განსაზღვრავენ ტალღისებურ სწორკიდოვან ღეროებს. ტიტანის ფირფიტების სამი სახეა: 1) დინამიური კომპრესირებადი ფირფიტები, 3.5 მმ სისქის და 6-7 ხვედრით (ხრახნისთვის). 2) T- მაგვარი ფირფიტა (ლავინის სამხრე ბოლოს მოტეხილობის და ამოვარდნილობის ფიქსაციისთვის). 3) მოდელირებული ფირფიტა 2.0-3.5 მმ სისქის, გამოიყენება ლავინის ანატომიურად „რთულ“ სეგმენტში.


ფირფიტების საშუალებით საკმარისი კომპრესიის შექმნა რთულია, ლავინის ძვლის ფორმის გათვალისწინებით საჭიროებს მის წინა ზედაპირზე ფიქსაციისათვის განთავსებისათვის ფართო მობილიზაციას, რაც მეტად ტრავმულია, თუმცა ტიტანის ელასტიური ღეროების უპირატესობას წარმოადგენს მისი ფორმის ვარიაბელობა, ლავინის ფორმის კონფიგურაციასთან მიმართებაში, იძლევა შესაძლებლობას პრაქტიკულად ნებისმიერი ლოკალიზაციით განთავსებას.

ASIFI-ის მონაცემებით სტანდარტულ გართულებებს წარმოადგენს: დაგვიანებული რეგენერაცია, ცრუ სახსრის განვითარება, ფრაგმენტების ცდომა, ჭრილობის ინფიცირება, ნაკერების გახსნა; ოსტეოსინთეზი ფირფიტით და ჭანჭიკების გამოყენებით საკმაოდ ტრავმულია, რაც მისი გამოყენების შეზღუდვის საფუძველია.

ოსტეოსინთეზის განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ტიტანის ელასტიური ღეროების წარმატებით გამოყენებამ, რომელიც წარმოადგენს ნიკელიდის ტიტანის შენადნობს, გამოირჩევა უნიკალური თვისებებით, ანატომიური ფორმის მეხსიერების ეფექტით, ინერტულობით, მაღალი ხარისხის ელასტიურობით [3].

დასკვნა: ამრიგად, ლავინის ძვლის ოსტეოსინთეზის მრავალი არსებული მეთოდებისაგან შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოს ინტრამედულარულ ოსტეოსინთეზს ტიტანის ელასტიური ღეროს გამოყენებით, რაც მიჩნეულია ეფექტურ ქირურგიულ მკურნალობად ბავშვებში.


**სურათი 1. A მარჯვენა ლავინის ძვლის ფრაგმენტული მოტეხილობა ცდომით
B ოსტეოსინთეზი ფირფიტა და ჭანჭიკების გამოყენებით**



სურათი 2 A მარჯვენა ლავინის ძვლის მოტეხილობა ცდომით
B ოსტეოსინთეზი კირპნერის ჩხირის გამოყენებით



სურათი 3 A მარჯვენა ლავინის ძვლის მოტეხილობა ცდომით
B ოსტეოსინთეზი ტიტანის ელასტიური ღეროს გამოყენებით



გამოყენებული ლიტერატურა:

1. Stepanyan H, Hennrikus W, Flynn D, Gendelberg D. Complex clavicle fractures in children: Kids are not little adults. *Trauma*. 2017;21(1):35-39. doi:10.1177/1460408617724815
2. Berger P, De Graaf JS, Leemans R. The use of elastic intramedullary nailing in the stabilisation of paediatric fractures. *Injury*. 2005 Oct;36(10):1217-20. doi: 10.1016/j.injury.2005.05.012. PMID: 16214465.
3. Calder PR, Achan P, Barry M. Diaphyseal forearm fractures in children treated with intramedullary fixation: outcome of K-wire versus elastic stable intramedullary nail. *Injury*. 2003 May;34(4):278-82. doi: 10.1016/s0020-1383(02)00310-8. PMID: 12667780.
4. Jubel A, Andermahr J, Isenberg J, Schiffer G, Prokop A, Rehm KE. Erfahrungen mit der elastisch stabilen intramedullären Nagelung (ESIN) diaphysärer Frakturen im Kindesalter [Experience with elastic stable intramedullary nailing (ESIN) of shaft fractures in children]. *Orthopäde*. 2004 Aug;33(8):928-35. German. doi: 10.1007/s00132-004-0662-z. PMID: 15156310.
5. Chen CH, Chen WJ, Shih CH. Surgical treatment for distal clavicle fracture with coracoclavicular ligament disruption. *J Trauma*. 2002 Jan;52(1):72-8. doi: 10.1097/00005373-200201000-00013. PMID: 11791054.

ლევან ჩიტაია

ლაგინის ძვლის მოტეხილობების ქირურგიული მკურნალობა ბავშვებში
ნიუვიჟენ უნივერსიტეტი, თსუ გივი შვანიას სახელობის პედიატრიის საუნივერსიტეტო კლინიკა

რეზიუმე

ლაგინის ძვლის მოტეხილობები ბავშვებში ძვლების ტრავმების დაახლოებით 14%-ს შეადგენს, უმეტეს შემთხვევაში ეს ხდება დიაფიზურ და პროქსიმალურ ნაწილებში. მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატიული მკურნალობა ეფექტურია მარტივი მოტეხილობებისთვის, ქირურგიული ჩარევა აუცილებელია კომპლექსურ შემთხვევებში ან როდესაც ანატომიური თანხვედრა ვერ აღდგება. ინტრამედულარული ოსტეოსინთეზი ტიტანის ელასტიური ღეროებით (TEN) გახდა სასურველი ქირურგიული მეთოდი ბავშვებში მისი მინიმალური ინვაზიურობის, მაღალი ბიოთანამედროვე თვისებებისა და სტაბილური ფიქსაციის გამო. ტრადიციული მეთოდებთან შედარებით, როგორიცაა კირშნერის ჩხირები ან ფირფიტები, TEN-ს აქვს რამდენიმე უპირატესობა, მათ შორის: ნაკლები იმობილიზაციის საჭიროება, გართულებების დაბალი დონე და უფრო სწრაფი ფუნქციური გამოჯანმრთელება. მიუხედავად პოტენციური რისკებისა, როგორიცაა საფიქსაციო საშუალებების მიგრაცია ან ინფექცია, ტიტანის ელასტიური ღეროს გამოყენება ითვლება ეფექტურ და უსაფრთხო მეთოდად ბავშვებში ლაგინის მოტეხილობების ქირურგიული მკურნალობისთვის.



მარია ზუბიაშვილი ¹, ნონა კაკაურიძე ², პავლე მაჭავარიანი ¹, ტატიანა ზუბიაშვილი ¹

პიტავასტატინით მკურნალობის უპირატესობა კლინიკურ პრაქტიკაში

¹თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.10>

MARIA ZUBIASHVILI ¹, NONA KAKAURIDZE ², PAVLE MACHAVARIANI ¹,
TATIANA ZUBIASHVILI ¹

PITAVASTATIN TREATMENT ADVANTAGE IN CLINICAL PRACTICE

¹ Tbilisi State University; ² Tbilisi State Medical University

SUMMARY

Cardiovascular diseases (CVDs) continue to represent the leading cause of mortality worldwide, predominantly driven by atherosclerosis. Key modifiable risk factors include dyslipidemia, hypertension, diabetes mellitus, tobacco use, physical inactivity, obesity, and psychosocial stress. Elevated LDL-C is recognized as a major contributor to the development of atherosclerotic cardiovascular disease (ASCVD), accounting for approximately 50% of attributable risk.

Pharmacological intervention, particularly the use of statins, is considered a cornerstone in the management of dyslipidemia. Statins function by competitively inhibiting (HMG-CoA) reductase, thereby reducing endogenous cholesterol synthesis in the liver. Statins have been shown to reduce LDL-C levels by 20-55%, elevate HDL-C by 5-15%, and lower triglyceride concentrations by 12-43%, depending on the agent and dosage employed. Total cholesterol levels may be decreased by 17-46%.

Decreased high-density lipoproteins and elevated triglycerides are independent risks for the development of coronary vascular disease. The treatment strategy should be directed not only to reduce the amount of LDL-C, but also to the correction of the amount of HDL-C and TG. From a group of well-known statins, pitavastatin should be noted due to its unique properties. Pitavastatin is a synthesized inhibitor of HMG-CoA reductase. Pitavastatin has a high ability to inhibit HMG-CoA reductase inhibitor. On the basis of studies conducted, it has been revealed that pitavastatin has a similar effect on atorvastatin

and simvastatin in Japanese and Caucasian individuals, but additionally, pitavastatin also has an effect of elevated HDL-C in long-term treatment.

One of the prominent and effective medications which contains pitavastatin on the Georgian market is Livazo. Livazo reduces LDL-C, total cholesterol levels, triglycerides levels, and also increases HDL-C.

Pitavastatin quickly absorbs from the upper gastrointestinal tract and reaches peak of concentrations in plasma within an hour of oral administration of the drug. Pitavastatin is quickly eliminated in bile, but enterohepatic recirculation, prolongs its action. Therefore, highly effective statins at low doses are quite effectively able to achieve the target dose of LDL-C. Medications, which have pleotropic effect, which have HDL-C increasing effect, also decreasing effect of total cholesterol and triglycerides, are well-known as more effective. Studies currently show that pitavastatin has a significant impact on the treatment of dyslipidemia and the reduction of the risks of cardiovascular disease in general.

Keywords: Pitavastatin, cardiovascular diseases, Pharmacology

გულისხმობს დავადებები (გსძ) დღესდღეობით წარმოადგენს სიკვდილიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს მსოფლიოს მასშტაბით [1]. World Health Organization (WHO) კლასიფიკაციის მიხედვით, პოპულაციის დაახლოებით 30% (17,1 მილიონი) ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა გსძ 2004 წელს. 7,2 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზს წარმოადგენს კორონარული დავადებები, ხოლო 5,7 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზს წარმოადგენს ინსულტი. როგორც ცნობილია, გსძ-ის მთავარ რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს: დისლიპიდემია, მწველობა, არტერიული ჰიპერტენზია, დიაბეტი, ასაკი და სიმსუქნე [2-6]. გემოალიზებული რისკ-ფაქტორებიდან, აღსანიშნავია დიაბეტისა და სიმსუქნის ინსიდენტობის მატება, რაც ასევე გსძ-ის ინსიდენტობის მატებაში გამოიხატება. WHO კლასიფიკაციის მიხედვით, 2030 წლისთვის, გსძ-ით გამოწვეული სიკვდილიანობა 23,6 მილიონ ადამიანს მიაღწევს [1]. სწორედ ამიტომ, გსძ-ის მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორების ეფექტური მენეჯმენტი, ცხოვრების წესის ცვლილებითა და მედიკამენტური მკურნალობით, წარმოადგენს გსძ-ის შემცირების მენეჯმენტისთვის მთავარ წინაპირობას.

სხვა ყველაზე გავრცელებულ რისკ-ფაქტორებს შორის დისლიპიდემია არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი. მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკის 50% სწორედ მასზე მოდის [5] და 25%-ში ინსულტის რისკის განმარტობებელია [2]. არაერთი კვლევით დადასტურებულია, რომ სტატინებს აქვს უნარი შეამციროს დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (დსლპ) დონე და შესაბამისად შეამციროს გულისხმობს მიზეზით გამოწვეული ავადობა და სიკვდილიანობა [7-14]. მონაცემთა მეტანალიზის მიხედვით, სხვადასხვა 14 კვლევაში, 90,056 ადამიანზე დაკვირვებით, დსლპ-ს საშუალო შემცირება, 1 წლის განმავლობაში სტატინების მიღების შემდეგ წარმოადგენდა 0.35-დან 1.77 mmol/l-მდე (საშუალო 1.09) მნიშვნელს [7]. ამ ანალიზის მიხედვით, ყოველი მმოლ/ლ შემცირებული დსლპ იყო ასოცირებული საერთო სიკვდილიანობის 12%-იან შემცირებასთან და საერთო სისხლძარღვოვან მოვლენების რისკთან დაკავშირებულ 21%-იან შემცირებასთან.

თუ გავითვალისწინებთ კავშირს ლიპიდების რაოდენობის შემცირებასა და გულისხმობს რისკების შემცირებას შორის, თანამედროვე გაილაინების მიხედვით რეკომენდებულია მაღალი რისკის მქონე პაციენტებში, დსლპ შემცირება 100მგ/დლ, ხოლო გსძ-ის ძალიან მაღალი რისკის მქონე პაციენტების შემთხვევაში რეკომენდებულია დსლპ შემცირება 70-80მგ/დლ-ს ქვემოთ (გსძ მიმდინარე დიაბეტით, მწველობით, რთულად კონტროლირებადი ჰიპერტენზიით, მეტაბოლური სინდრომით, ანამნეზში არსებული მიოკარდიუმის ინფარქტით) [4,6,7]. ლიპიდების შემცირებასთან დაკავშირებული თერაპია, ბოლო დეკადაში გახდა განსაკუთრებით აქტუალური. დსლპს სამიზნე მარეგულირებელი რჩება დაბალი და ვარიანტებს 47%-84%-მდე [16,17]. ფართოდ გავრცელებული სტატინების გარდა, გსძ-ის მაღალი რისკის მქონე

პაციენტებს სამიზნე დსლქ მაჩვენებლების მისაღწევად, ხანდახან ესაჭიროებათ დამატებითი პრეპარატების დანიშვნა, ისეთების, როგორიცაა ეზეტიმბი, ნიაკინი, ნალვლის მჟავები. ამას გარდა, გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკ-ფაქტორები ხშირად თანაარსებობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ პაციენტებს დისლიპიდემიით ხშირად ესაჭიროებათ დამატებითი მედიკამენტების დანიშვნა არტერიული ჰიპერტენზიის, დიაბეტის და თირკმლის დაავადებებისთვის. აღსანიშნავია, რომ ასაკთან ერთად პოლიფარმაციის საჭიროებაც იზრდება. 80 და მეტი ასაკის პირებში, აღინიშნება ათეროსკლეროზის არსებობა 75-80%-შემთხვევაში [18], ხოლო გულსისხლძარღვთა მოვლენების პირველი გამოვლინდება ხდება 65 წლის ასაკიდან [7]. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, დისლიპიდემია უმეტეს შემთხვევაში საჭიროებს პოლიფარმაციას.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე აღსანიშნავია, რომ მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დაქვეითება და ტრიგლიცერიდების მატება, დამოუკიდებელ რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს კორონარული სისხლძარღვების დაავადების განვითარებისთვის [7]. აქედან გამომდინარე, მკურნალობის სტრატეგია მიმართული უნდა იყოს, არა მხოლოდ დსლქ-ს შესამცირებლად, არამედ, მსლქ-ს და ტკ რაოდენობის კორექციისკენ. მიუხედავად იმისა, რომ მაღალეფექტური სტატინების (ატორვასტატინი, სიმვასტატინი, პრავასტატინი, ფლუვასტატინი, როზუვასტატინი) უმრავლესობას გააჩნია დსლქ-ს შესამცირებელი ეფექტი, ნათელი ხდება, რომ ზოგიერთ მათგანს აქვს დამატებითი სასარგებლო თვისებები. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს ეფექტი მოიცავს ანტიანთებით თვისებებს, დადებით გავლენას ენდოთელიუმზე, გლუვკუნთოვანი უჯრედების პროლიფერაციის ინჰიბირებაზე, რამაც შესაძლოა მოახდინოს დადებითი გავლენა კორონარული ფოლადის სტაბილიზაციაზე და მისი რეგრესიაც კი [19-27].

კარგად ნაცნობი სტატინების ჯგუფიდან ხაზი უნდა გაესვას პიტავასტატინს მისი უნიკალური თვისებების გამო. პიტავასტატინი პირველად წარმოებული იყო იაპონიაში, 2003 წელს, ჰიპერქოლესტერინემიისა და ოჯახური ჰიპერქოლესტერინემიის სამკურნალოდ, დღესდღეობით გამოირჩევა უდიდესი აქტუალობით და გამოიყენება ფართო მოხმარებაში მსოფლიოს მასშტაბით დისლიპიდემიის მკურნალობაში.

პიტავასტატინი წარმოადგენს HMG-CoA რედუქტაზას სინთეზირებულ ინჰიბიტორს, საწყისი სტრუქტურით ჰეპტენოატი, ქინოლინური რგოლებით ბირთვში და ფლუოროფენილური და ციკლოპროფილური გვერდითი ჯაჭვებით [28]. ინ ვიტრო კვლევების თანახმად ნაჩვენებია, რომ პიტავასტატინს გააჩნია HMG-CoA რედუქტაზას ინჰიბიტორის გაცილებით მაღალი უნარი, დსლქ რეცეპტორების ექსპრესიის მეტი ინდუქციისთვის, დსლქ მიტაცებისთვის და მეტი ეფექტურობით აინჰიბირებს ძალიან დაბალი ლიპოპროტეინების (dლქ) სეკრეციას HepG2 უჯრედებიდან სხვა სტატინებთან შედარებით [28-32].

სტატინის თვისება, HMG-CoA რედუქტაზას ინჰიბირება, არ არის დამოკიდებული მის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე, ზოგიერთმა მისმა თვისებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სტატინის ტრანსპორტირების, განაწილების, მეტაბოლიზმის და გამოყოფის ხასიათზე [33,34]. პიტავასტატინი მინიმალურად მეტაბოლიზდება. მისი პერორალურად მიღებული, უდიდესი ნაწილი, უცვლელად გამოიყოფა ნალვლის წვენთან ერთად და ხელახლა რეაბსორბირდება წვრილი ნაწლავით. მის საპირისპიროდ, ლოვასტატინი, სიმვასტატინი და ატორვასტატინი ძირითადად მეტაბოლიზდება ღვიძლში CYP3A4-ის მეშვეობით. რაც შეეხება ფლუვასტატინს, პრავასტატინს და როზუვასტატინს, ისინი მეტაბოლიზდებიან CYP2C9-ის მეშვეობით [33,35-38]. პიტავასტატინის მეტაბოლიზმის უკმარისობა ღვიძლსა და ნაწლავში, აიხსნება მისი მაღალი ბიომეცნევალობით, რომელიც 51-60%-ით უფრო მაღალია, სხვა სტატინებთან შედარებით (ლოვასტატინის და სიმვასტატინისთვის <5%-ზე; ატორვასტატინისთვის <12%-ზე; პრავასტატინისთვის 17%; 10-35% ფლუვასტატინისთვის; 20% როზუვასტატინისთვის) [36,39].


როგორც ცნობილია, დსლქ-ის შემცირების ეფექტი დამოკიდებულია სტატინების დოზაზე. დაბალი დოზის მაღალეფექტური პრეპარატების გამოყენებას აქვს პოტენციალი, სამიზნე დსლქ-ის დონის მისაღწევად, მაქსიმალურად მცირე გვერდითი მოვლენების გამოვლენით. სტატინით მკურნალობის გზის შერჩევის გასაიოლებლად, იაპონიაში გამოიყენება „ძლიერი“ და „სუსტი“ სტატინის კატეგორიები [40]. ცნება „ძლიერი“ სტატინები მოიცავს ატორვასტატინს, როზუვასტატინს და პიტავასტატინს [35].

იაპონელ პაციენტებთან, ჰიპერქოლესტერინემიით, დოზის შესარჩევ, 12-კვირიან კვლევაში, პიტავასტატინის ეფექტი დსლქ-ის შესამცირებლად შეადგენდა 34%-ს ($n=81$) პიტავასტატინის 1მგ დოზის მიღებისას, 42%-ს ($n=75$) 2მგ დოზის მიღებისას და 47%-ს ($n=76$) 4მგ-იანი დოზის მიღებისას [42].

ეს შედარება იყო მოცემული ატორვასტატინთან 37%, 42% და 47% მისი 10მგ, 20მგ და 40მგ დოზების გამოყენებისას, ხოლო სიმვასტატინის 10მგ, 20მგ და 40მგ-იანი დოზის გამოყენების შემთხვევაში 28%, 35% და 39% [36]. აღნიშნულ და სხვა კვლევებზე დაყრდნობით, პიტავასტატინის საწყისი დოზა შეადგენდა დღეში 1 მგ-ს, 4 კვირის განმავლობაში, დოზის 4 მგ-მდე გაზრდით და დამოკიდებული იყო დსლქ-ის საწყის მაჩვენებელზე [39].

პიტავასტატინის განსაკუთრებული როლი - ლიპიდების შემამცირებელი ეფექტები ჰიპერქოლესტერინემიის და შერეული დისლიპიდემიის მქონე პაციენტებში უფრო და უფრო იკიდებს ფეხს. არაერთმა კვლევამ აჩვენა პიტავასტატინის ძლიერი ჰიპოქოლესტერინემიული ეფექტი, პირველადი ჰიპერქოლესტერინემიისა და შერეული დისლიპიდემიის შემთხვევაში, სხვა ჰიპოქოლესტერინემიულ მედიკამენტებთან შედარებით (სურ. 1-3) [43-49]. ერთ-ერთ მესამე ფაზის კვლევაში, 821 კავკასიელი წარმოშობის პაციენტი, პირველადი ჰიპერქოლესტერინემიით და კომბინირებული დისლიპიდემიით იყო ჩართული კვლევაში. აღნიშნული პაციენტები, რანდომიზაციამდე, იმყოფებოდნენ ჰიპოქოლესტერინემიულ დიეტაზე კვლევამდე 6-8 კვირის განმავლობაში, ჩატარებული მკურნალობის ოთხიდან ერთ-ერთი მეთოდით, რომელიც გაგრძელდა 12 კვირის განმავლობაში [45]. 2 ჯგუფი ღებულობდა პიტავასტატინის 2 მგ-იან, ან ატორვასტატინის 10მგ-იან დოზას დღეში 1-ჯერ. დანარჩენ ორ ჯგუფს კი უტარდებოდა მკურნალობა დოზის მაღალი ტიტრაციით (პიტავასტატინი 4მგ ან ატორვასტატინი 20მგ), 4 კვირის განმავლობაში. 12 კვირიანი მკურნალობის შემდეგ, პიტავასტატინმა აჩვენა დსლქ-ის და ტრიგლიცერიდების შემცირების შეუქცევადი ჰიპოქოლესტერინემიული ეფექტი საწყისი მაჩვენებლიდან, ატორვასტატინთან შედარებით (სურ. 1).


სურ.1. მესამე ფაზის კვლევით შედარებული პიტავასტატინისა და ატორვასტატინის ეფექტი პაციენტებში პირველადი ჰიპერქოლესტერინემიითა და შერეული დისლიპიდემიით
LDLC (დსლ ქს); QD (ყოველდღე); TC (საერთო ქოლესტეროლი); TG (ტრიგლიცერიდები)



დსლქ-ის შემთხვევაში შემცირების საშუალო მაჩვენებელი წარმოადგენდა 37,9% და 37,8%-ს, 2 მგ-იანი პიტავასტატინის და 10 მგ-იანი ატორვასტატინის მიღების შემთხვევაში, ხოლო 44,6% და 43,5% დსლქ-ის შემცველობის შემცირება გამოვლინდა პიტავასტატინის 4მგ და ატორვასტატინის 20მგ დოზით მიღების დროს. მსლქ-ის დონის მატება პიტავასტატინის შემთხვევაში მისი 2 მგ-იანი და 4 მგ-იანი დოზის მიღებისას გამოვლინდება 4% და 5%-ით, ატორვასტატინთან შედარებით, სადაც მისი 10 და 20 მგ დოზის მიღებისას მსლქ-ის ცვლილება-მატება 3% და 2,5%-ს წარმოადგენს (სურ 2).

სურ.2. მესამე ფაზის კვლევაში, ღია ფაზა, პაციენტებთან ვინც ღებულობდა პიტავასტატინს 4 მგ დოზით, 52 კვირის განმავლობაში

HDL-C (მსლ ქს) LDL-C (დსლ ქს); TC (საერთო ქოლესტეროლი); TG (ტრიგლიცერიდები)




მსგავსი შედეგები მიღებულ იქნა კოლაბორაციულ კვლევაში ჰიპერქოლესტეროლემიისას წამლებით ინტერვენციისას და მათი ბენეფიტების განსაზღვრისას, ათეროსკლეროზის პრევენციის მიზნით [49]. იაპონური კვლევის მეოთხე ფაზაში პაციენტებთან, რომელთაც აღენიშნებოდათ საერთო ქოლესტერინის მატება >220 მგ/დლ, იყვნენ რანდომიზირებულნი პიტავასტატინის 2 მგ-იანი ($n = 126$) დოზის მისაღებად, დღეში ერთხელ, ან ატორვასტატინის 10 მგ-იანი ($n = 125$) დოზის მისაღებად, 12 კვირის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ორივემ, პიტავასტატინმაც და ატორვასტატინმაც შეამცირა დსლქ-ის დონე 42,6% და 44,1%-ით, საერთო ქოლესტერინის შემთხვევაში, 29,7% და 31,1%-ით, ტრიგლიცერიდების შემთხვევაში, 17,3% და 10,7%-ით. მსლქ-ის შემთხვევაში გამოვლინდა მისი მნიშვნელოვანი მატება 12 კვირიანი მკურნალობის შემდეგ, პიტავასტატინის შემთხვევაში მისი 3,2%-ით მატება $p = 0.033$ - მსლქ-ის საწყის მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო ატორვასტატინის შემთხვევაში სარწმუნო სხვაობა მკურნალობამდე და მკურნალობის შემდგომ არ გამოვლენილა (1,7%, $p = 0.221$).

მესამე ფაზის კვლევის შემდეგი ეტაპი რაც გულისხმობდა ასევე პიტავასტატინის 2-4 ერთჯერად დღიური დოზის შედარებას სიმვასტატინთან, მისი 20-40მგ დოზის მიღებისას, კავკასიელ 857 პაციენტში პირველადი ჰიპერქოლესტერინემიითა და შერეული დისლიპიდემიით. სიმვასტატინის 20მგ დოზის მიღებასთან შედარებით, პიტავასტატინის 2 მგ დოზის მიღებისას, აღინიშნა დსლქ-ის მნიშვნელოვანი დაქვეითების სტატისტიკური სხვაობა, 20 მგ-იანი სიმვასტატინის მიღებასთან შედარებით (35% - სიმვასტატინის, ხოლო 39% პიტავასტატინის მიღების შემთხვევაში; $p = 0.014$) (სურათი 3) [29]. სიმვასტატინისა და პიტავასტატინის მომატებული დოზით მკურნალობის შედეგების შედარებისას, მსგავსი შედეგები გამოვლინდა (44,0% პიტავასტატინის შემთხვევაში, 42,8% სიმვასტატინით მკურნალობისას $p = 0.049$). მსლქ-ის მაჩვენებლები იყო მნიშვნელოვნად მომატებული, თუმცა სარწმუნო სტატისტიკური სხვაობის გარეშე, ორივე მედიკამენტის საწყისი და გაზრდილი დოზების მიღების შემთხვევაში (პიტავასტატინის 2მგ და 4მგ დოზის მიღებისას, აღინიშნა

მსლქს 6,0% და 6,2%-იანი მატება, ხოლო სიმვასტატინის 20მგ და 40მგ დოზის მიღებისას მისი 5,0% და 6,8%-იანი მატება).

სურ 3. მესამე ფაზის კვლევა, სიმვასტატინისა და პიტავასტატინის შედარება პაციენტებში პირველადი ჰიპერქოლესტერინემიითა და შერეული დისლიპიდემიით
LDLC (დსლ ქს); QD (ყოველდღე); TC (საერთო ქოლესტეროლი); TG (ტრიგლიცერიდები); HDLC (მსლ ქს)



ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლინდა, რომ პიტავასტატინს აქვს ატორვასტატინსა და სიმვასტატინის ანალოგიური ეფექტი, იაპონელ და კავკასიელ პირებში, თუმცა, დამატებით პიტავასტატინს ასევე აღენიშნება მსლქ-ის მატების ეფექტიც, ამ მედიკამენტით ხანგრძლივი მკურნალობის შემთხვევაში.

პიტავასტატინის შემცველი ერთ-ერთი თვალსაჩინო და ეფექტური საშუალება ქართულ ბაზარზე, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული ეფექტურობით, არის ლივაზო. ლივაზო, რომელიც გვევლინება 1მგ, 2მგ, და 4 მგ-იანი ფორმით, შეიცავს ლაქტობას მონოჰიდრატს 63,085მგ, 126,17მგ, 252,34მგ შესაბამისად. ლივაზო (პიტავასტატინის) მაღალეფექტურობის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, რომ მკურნალობამდე პაციენტები იმყოფებოდნენ ქოლესტერინით ღარიბ დიეტაზე. ასევე მნიშვნელოვანია, ქოლესტერინით ღარიბი დიეტა დაცული იყოს მკურნალობის განმავლობაში.

საშუალოდ მკურნალობის დასაწყებად, საწყისი დოზა არის დღეში 1მგ. დოზის კორექტირება სასურველია მოხდეს 4 კვირის მკურნალობის შემდგომ. დოზის შერჩევა ინდივიდუალურად სასურველია დსლ ქს-ის შემცველობის, თერაპიის საბოლოო მიზნის და პაციენტის მკურნალობაზე პასუხის შესაბამისად. ლივაზოს მაქსიმალური დოზა-4მგ. 70 წელზე მეტი ასაკის პაციენტებში დოზის კორექტირება არ არის აუცილებელი.

პედიატრიულ პრაქტიკაში ლივაზო გამოიყენება 6 წლის და მეტი ასაკის პაციენტებში, პაციენტებში ჰიპერლიპიდემიით და მუდმივად უნდა ხდებოდეს ლიპიდური პროფილის მონიტორინგი. ბავშვებსა და მოზარდებში ჰეტეროზიგოტური ოჯახური ჰიპერქოლესტერინემიით, საწყისი დღიური დოზა არის 1მგ. დოზის კორექტირება ასევე ხდება მკურნალობის დაწყებიდან 4 კვირის, ან მეტი ვადის გასვლის შემდეგ. დოზის შერჩევა ასევე ხდება ინდივიდუალურად, დსლ ქს-ის დონის მიხედვით. ბავშვებში 6-დან 9 წლამდე, მაქსიმალური დოზა არის 2მგ. 10 წლიდან და მეტი ასაკის ბავშვებში კი მაქსიმალური დოზა 4 მგ-ია. 6 წლამდე ასაკის ბავშვებში პრეპარატის

ეფექტურობა და უსაფრთხოება არ არის დამტკიცებული არასაკმარისი მონაცემების არსებობის გამო.

პაციენტებში თირკმლის ფუნქციის დარღვევით, მისი სანყისი სტადიების არსებობისას, დოზის კორექცია აუცილებლობას არ წარმოადგენს, თუმცა აუცილებელია პრეპარატის მიღება სიფრთხილით. მონაცემები პრეპარატის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არასაკმარისია 4 მგ დოზით მკურნალობის შემთხვევაში, ამიტომ თირკმლის მაღალი ხარისხის უკმარისობის არსებობის დროს, პრეპარატის მიღება 4 მგ-იანი დოზით არ არის რეკომენდებული.

პაციენტებში, ღვიძლის უკმარისობის საშუალო და მძიმე დარღვევით, ლივაზო-4 მგ დოზა არ არის რეკომენდებული. მუდმივი მონიტორინგის ქვეშ 2მგ დოზა დასაშვებია.

ლივაზოს მიღება შესაძლებელია დროის ნებისმიერ მონაკვეთში, საჭმლის მიღებისგან დამოუკიდებლად. ლიპიდური მეტაბოლიზმის ცირკადულობიდან გამომდინარე, რეკომენდებულია მისი მიღება საღამოს საათებში.

დაუშვებელია ლივაზოს მიღება:

1. პაციენტებისთვის, პიტავასტატინისადმი ჰიპერმგრძნობელობის არსებობისას
2. პაციენტებთან ღვიძლის მძიმე ხარისხის უკმარისობით, აქტიური ღვიძლის დაავადებებით, სისხლის შრატში ტრანსამინაზების აუხსნელი მატებისას (მათი ნორმაზე სამჯერ მეტად მატებისას)
3. პაციენტებთან მიოპათიით
4. პაციენტებთან, რომლებიც ღებულობენ ციკლოსპორინებს
5. ორსულობისას, ან მეძუძური დედების შემთხვევაში.

სხვა HMG-CoA რედუქტაზას ინჰიბიტორებთან ერთად (სტატინები), ასევე არსებობს მიალგიის, მიოპათიის და იშვიათად რაბდომიოლიზისის განვითარების რისკი. პაციენტები გაფრთხილებულები უნდა იყვნენ ამ შესაძლო გართულების შესახებ. კრეატინინკინაზა უნდა იყოს განსაზღვრული ყველა შემთხვევაში კუნთების ტკივილის არსებობის შემთხვევაში. კუნთების სისუსტის ან ტკივილის დროს, განსაკუთრებით, როდესაც, ამ ყველაფერს თან ახლავს ცხელება. კრეატინინკინაზა არ უნდა იყოს განსაზღვრული კუნთების ტკივილის სხვა შესაძლო მიზეზის არსებობის დროს, ან ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშის დასრულების შემდგომ, რადგან ამან შესაძლოა მოახდინოს ობიექტური შედეგის გაუკუღმართება. როდესაც აღინიშნება კრეატინინკინაზას მომატებული დონე (>5 - ხუთჯერადი მატება), შედეგის დამადასტურებელი ტესტი უნდა გაკეთდეს 5-7 დღის განმავლობაში.

აღწერილი იყო იშვიათი შემთხვევები, იმუნური სისტემით გაშუალებული ნეკროზული იმუნოპათია, სტატინებით მკურნალობის დროს ან მკურნალობის შემდეგ, რა დროსაც გვხვდება პროქსიმალური კუნთების სისუსტე, ტკივილი და კრეატინინკინაზას მომატებული დონე. აღნიშნული პერსისტირებს სტატინების შეწყვეტის შემდეგ, გარკვეული პერიოდი.

ლივაზო დანიშნული უნდა იყოს სიფრთხილით, სხვა სტატინების მსგავსად იმ პაციენტებში, რომელთაც აქვთ წინასწარგანწყობა რაბდომიოლიზისის მიმართ. ამიტომ ყველა საეჭვო პაციენტის შემთხვევაში მკურნალობის დაწყებამდე უნდა იყოს განსაზღვრული კრეატინინკინაზას დონე სისხლში. ლივაზოს შემთხვევაში მკურნალობა არ უნდა იყოს დაწყებული, თუ კრეატინინკინაზას დონე არის $>5x$ ხუთჯერადი მატება.

სხვა სტატინების მსგავსად, ლივაზოს გამოყენება უნდა შეწყდეს ღვიძლის მწვავე პროცესების გამოვლენისას. მკურნალობის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს ღვიძლის ფუნქციური სინტეზი. მათი კონტროლი პერიოდულად უნდა ხდებოდეს სტატინებით მკურნალობის პარალელურად და უნდა შეწყდეს სტატინების მიღება შრატში ტრანსამინაზების სამჯერ მეტად მომატების გამოვლენის შემთხვევაში.

ლივაზო, ისევე, როგორც სხვა სტატინები, სიფრთხილით უნდა გამოიყენებოდეს თირკმლის უკმარისობის მძიმე ხარისხის გამოვლენის შემთხვევაში, ხოლო პაციენტებთან მძიმე ხარისხის თირკმლის უკმარისობით, სასურველია თავი იქნას შეკავებული ლივაზოს 4მგ დოზირებისგან.

შაქრიან დიაბეტთან მიმართებაში, სტატინების როლის განსაზღვრისას ვლინდება კარგად ნაცნობი გვერდითი მოვლენა, გამოხატული, გლუკოზის დონის მატებით სისხლში. ამ უმნიშვნელო რისკის უგულებელყოფა შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ პრეპარატის სარგებელს სისხლძარღვებში მიმდინარე პროცესებზე, რის გამოც შაქრიანი დიაბეტი მკურნალობის შეწყვეტის ჩვენებას არ წარმოადგენს.

პრეპარატი შეიცავს ლაქტოზას, რის გამოც, პაციენტებმა იშვიათი გენეტიკური დაავადებებით, გალაქტოზას აუტანლობა და ა.შ თავი უნდა შეიკავონ აღნიშნული პრეპარატის მიღებისგან.

ორსულობა და ლაქტაცია წარმოადგენს პრეპარატის შეწყვეტის წინაპირობას, დაუგეგმავი ორსულობის შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს პრეპარატის მიღება. ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინა პრეპარატის შესაძლო რეპროდუქციული ტოქსიურობა, მაგრამ არა ტერატოგენობა. თუმცა ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელება აუცილებელია, რათა დაზუსტებით შეფასდეს შესაძლო რისკები და სარგებელი. მსგავსის აღნიშვნა შეიძლება ძუძუთი კვებაზე, რაც ასევე წარმოადგენს პრეპარატის შეწყვეტის ჩვენებას, რადგან ვირთხებზე ჩატარებული კვლევების მიხედვით, მედიკამენტი ექსკრეტირდება ვირთხის რძეში. რაც შეეხება ქალი რძეზე, ამ საკითხზე კვლევები არ ჩატარებულა.

მედიკამენტი-ლივაზოს შემთხვევაში ჩატარებული კლინიკური კვლევების დროს 4%-ზე ნაკლები ავადმყოფი გამოეთიშა კვლევას, რომელთა შემთხვევაშიც არასასურველი გამოვლინება დაკავშირებული იყო პიტავასტატინით გამოწვეულ მიალგიასთან.

პედიატრიულ პრაქტიკაში დაკვირვებისას, ლივაზოს უმნიშვნელო გვერდითი ეფექტები, მიალგიის, თავის ტკივილისა და დისკომფორტის გამოვლინებით მუცლის არეში, აღინიშნა მცირე რაოდენობით პაციენტებში და მსგავსია ზრდასრული ასაკის პირებში ჩატარებული კვლევების შედეგებისას.

პრეპარატის გადაჭარბებული დოზის მიღებისას, მკურნალობა უნდა ჩატარდეს სიმპტომურად, ღვიძლის ფუნქციური სინჯებისა და კრეატინინკინაზას კონტროლის პარალელურად.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: HMG-CoA რედუქტაზას ინჰიბიტორი.

პიტავასტატინი აინჰიბირებს HMG-CoA რედუქტაზას, ფერმენტს რომელიც ზღუდავს ქოლესტერინის ბიოსინთეზის სიჩქარეს და თრგუნავს ქოლესტერინის სინთეზს ღვიძლში, დსლ ქს-ის რეცეპტორების ექსპრესია ღვიძლში იზრდება, რომელთაც აქვთ სისხლში მოციკულირე დსლ ქს მიტაცების უნარი. შედეგად სახეზეა საერთო ქოლესტერინისა და დლს ქს-ის დონის შემცირება სისხლში. მისი უნარი, შეამციროს ღვიძლში ქოლესტერინის სინთეზი საბოლოოდ იწვევს სისხლში ტრიგლიცერიდების დონის შემცირებას.

პრეპარატი ლივაზოს ფარმაკოდინამიკური ეფექტებიდან აღსანიშნავია მის მიერ დსლ ქს-ის, ტრიგლიცერიდების და საერთო ქოლესტერინის შემცირების, ასევე მსლ ქს-ის მატების უნარი სისხლში.

კლინიკურ კონტროლირებად კვლევაში, სადაც მონაწილეობდა 1687 პაციენტი პირველადი ჰიპერქოლესტერინემიითა და შერეული დისლიპიდემიით, 1239 პაციენტის მკურნალობა ხდებოდა თერაპიული დოზებით (დსლ ქს საშუალო დონე შეადგენდა 4,8მმოლ/ლ), ლივაზომ შეამცირა დსლქ, საერთო ქოლესტერინის დონე, ტრიგლიცერიდების დონე, ასევე გამოვლინდა მსლქ-ის დონის მატება. ლივაზოს 2მგ-იანი დოზის მიღებისას, დსლქ-ის დონე იყო შემცირებული 38-39%,

ხოლო მისი 4 მგ-იანი დოზის მიღებისას, დსლქ-ის დონე შემცირდა 44-45%-ით. პაციენტთა უმრავლესობას, რომლებიც ღებულობდნენ პრეპარატს 2მგ-იანი დოზით აღენიშნათ დსლქ-ის დაქვეითება, ევროპული ათეროსკლეროზის საზოგადოების სამიზნე მაჩვენებელამდე (<3 მმოლ/ლ). კლინიკურ კონტროლირებად კვლევაში, 942 პაციენტთან, რომელთა ასაკი შეადგენდა >65 წელს (434 პირს უტარდებოდა მკურნალობა პრეპარატი ლივაზოს გამოყენებით: 1მგ, 2მგ, 4მგ), პირველადი ჰიპერქოლესტერინემიითა და შერეული დისლიპიდემიით (დსლქ-ის სანყისი საშუალო მნიშვნელობა იყო 4,2მმოლ/ლ), დსლქ-ის დონე შემცირდა 31%, 39% და 44,3%-ით შესაბამისად და დაახლოებით 90% შემთხვევაში მიღწეული იყო EAS მკურნალობის სამიზნე ეფექტი. პრეპარატის ეფექტურობისა და უსაფრთხოების მსგავსი მაღალი სტატისტიკა აღინიშნა კვლევაში ჩართულ სხვა ასაკის პირებშიც ასევე კლინიკურ კონტროლირებად კვლევაში, რომელშიც ჩართული იყო 761 პაციენტი (507 პირს უტარდებოდა მკურნალობა 4მგ ლივაზოთი), რომელთაც აღენიშნებოდათ პირველადი ჰიპერქოლესტერინემია და შერეული დისლიპიდემია, ასევე აღენიშნებოდათ ორი ან მეტი გულსისხლძარღვთა რისკ-ფაქტორის არსებობა (დსლქ-ის სანყისი საშუალო მნიშვნელობა იყო 4,1მმოლ/ლ), ან შერეული დისლიპიდემია, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 თანხლებით (დსლქ-ის სანყისი საშუალო მაჩვენებელი იყო 3,6მმოლ/ლ), 80% შემთხვევაში აღინიშნა EAS სამიზნე მაჩვენებლის (3 ან $2,5$ მმოლ/ლ, დამოკიდებული რისკის ფაქტორზე) მიღწევა, დსლქ შემცირდა 44% და 48%-ით შესაბამისად.

60 კვირიან, გრძელვადიან კვლევაში, EAS სამიზნე მაჩვენებლის მიღწევა ხდებოდა დსლქ-ის დონის მდგრადი დაქვეითებით, და მსლქ-ის ასევე მდგრადი მატებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1346 პაციენტმა, რომელთაც ჰქონდათ დასრულებული 12 კვირიანი მკურნალობა სტატინებით (დსლქ-ის დონე შემცირდა 42,3%-ით, მსლქ-ის დონე გაიზარდა 5,6%-ით), ხოლო შემდგომმა 52 კვირიანმა მკურნალობამ 4მგ პიტავასტატინით, განაპირობა დსლქ-ის დონის შემცირება 42,9%-ით, მსლქ-ის დონის მატება 14,3%-ით EAS სამიზნე დონის შესაბამისად.

იაპონიაში ჩატარებული კვლევის შედეგად სადაც 6582 პაციენტი ჰიპერქოლესტერინემიით იყო ჩართული, პაციენტები ღებულობდნენ პიტავასტატინს 1მგ, 2მგ, 4 მგ-იანი დოზით, 2 წლის განმავლობაში, თუმცა მკურნალობა გაგრძელდა მომდევნო 3 წელი და საერთო ჯამში კვლევის ხანგრძლივობა განისაზღვრა 5 წლით. ამ ხუთწლიანი მკურნალობის განმავლობაში, დსლქ-ის დონე შემცირდა 30,5%-ით მესამე თვიდან და შენარჩუნებული იყო მთელი კვლევის განმავლობაში. მსლქ-ის დონის მატება გამოვლინდა 5,7%-ით.

პრეპარატის ფარმაკოკინეტიკური თვისებები: პიტავასტატინი სწრაფად აბსორბირდება ზედა გასტროინტესტინალური ტრაქტიდან და პლაზმაში პიკურ კონცენტრაციას აღწევს პრეპარატის პერორალური მიღებიდან ერთ საათში. საკვების მიღება არ ახდენს გავლენას შეწოვაზე. შეუცვლელი სახით ხვდება ენტეროჰეპატურ ცირკულაციაში და კარგად შეიწოვება წვრილი და მღვივი ნაწლავიდან. პიტავასტატინის სრული ბიოშეღწევადობა წარმოადგენს 51%-ს პიტავასტატინის 99% უკავშირდება პლაზმის ცილებს, ძირითადად ალბუმინს და ალფა-1 მუჟავს გლიკოპროტეინს. პიტავასტატინი აქტიურად ტრანსპორტირდება ჰეპატოციტებში, მეტაბოლიზმისა და მოქმედების ადგილზე, ღვიძლის მრავლობითი ტრანსპორტერის მეშვეობით, მათ შორის, OATP1B1 და OATP1B3.

ბიოტრანსფორმაცია: შეუცვლელი პიტავასტატინი გვხვდება პლაზმაში. ძირითად მეტაბოლიტს წარმოადგენს არააქტიური ლაქტონი, რომელიც წარმოიქმნება პიტავასტატინის ეთერული ტიპის გლუკურონიდის კონიუგატიდან UDP გლუკურონიზირებას მეოთხით.

ელიმინაცია: შეუცვლელი სახით პიტავასტატინი სწრაფად ელიმინირდება ნალველში, მაგრამ ხვდება ენტეროჰეპატურ რეცირკულაციაში, რაც უზრუნველყოფს პრეპარატის მოქმედების გახანგრძლივებას. 5%-ზე ნაკლები ექსკრეტირდება შარდთან ერთად. პლაზმიდან ნახევარდაშლის

პერიოდი წარმოადგენს 5,7სთ-ს (ერთჯერადი დოზა), ხოლო საშუალო კლირენსი 43,4ლ/სთ, პრეპარატის ერთჯერადი მიღებისას.

მსოფლიოში სტატინების ფართო ხელმისაწვდომობის მიუხედავად, კლინიკურ პრაქტიკაში, პაციენტთა დიდი ნაწილი (47-84% პაციენტების მსოფლიოში) ვერ აღწევს დსლ ქს-ის სამიზნე დონეს [16,17]. ამის მიზეზს ხშირად მკურნალობის არასრულყოფილი ჩატარება წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ პაციენტებში, რომელთაც მედიკამენტებით კომბინირებული თერაპია ესაჭიროებათ [50,51]. აქედან გამომდინარე, მაღალეფექტური სტატინები დაბალი დოზით, საკმაოდ ეფექტურად ახერხებენ დსლქ-ის სამიზნე დოზის მიღწევას. იმისდა გათვალისწინებით, რომ გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკს მკვეთრად გაზრდილია იმ პაციენტებშიც კი, რომლებიც ახერხებენ მიაღწიონ სამიზნე დსლქ-ის დონეს [52], მეტად ეფექტურ სტატინებად ითვლება ის პრეპარატები, რომლებიც ცვლიან ისეთ ლიპიდურ კომპონენტებს, როგორიც არის მსლ ქს, საერთო ქოლესტერინი, ტრიგლიცერიდები და ლიპიდური პროფილის დანევის გარდა აქვთ პლეოტროპული ეფექტი.

მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ პიტავასტატინის დაბალი დოზები (1მგ, 2მგ, 4მგ) აუმჯობესებენ ლიპიდურ პროფილს (სურ 1-3) და მაღალი ეფექტურობით ახერხებენ დსლქ-ის სამიზნე დონის მიღწევას, რომელიც ანალოგიურია ეფექტისა ატორვასტატინის, სიმვასტატინის, პრავასტატინის სტანდარტული დოზების ჰიპერქოლესტერინემიის და კომბინირებული დისლიპიდემიის შემთხვევაში [53,29,44,45,47-49]. მიუხედავად ამისა, პიტავასტატინი, როგორც წესი, ასოცირდება მსლქ-ის დონის მაღალეფექტურ სწრაფ მატებასთან ატორვასტატინთან, სიმვასტატინთან და პრავასტატინთან შედარებით, რომელთა შემთხვევაშიც მსლ ქს-ის მატება ხდება მოგვიანებით, გახანგრძლივებულ პერიოდში [29,53,44,45,55,47-49]. პიტავასტატინის ლიპიდურ პროფილზე მძლავრი ზემოქმედების გარდა, გამოვლენილი იყო მისი პლეოტროპული თვისებები, რომლებმაც შესაძლოა განაპირობოს დარჩენილი გულსისხლძარღვთა რისკის შემცირება პაციენტებში დისლიპიდემიით, კორონარულ სისხლძარღვებში ფოლადების ზომის შემცირება [56-69]. აღსანიშნავია, რომ პიტავასტატინის დოზების (1-4მგ) უსაფრთხოება ანალოგიურია ატორვასტატინის, პრავასტატინის და სიმვასტატინისა. მიუხედავად იმისა, რომ საჭიროა მომავალში კვლევების გაგრძელება პიტავასტატინით მკურნალობის გავლენისა გულსისხლძარღვთა დაავადებებზე, დღესდღეობით არსებული კვლევების მიხედვით, პიტავასტატინი იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას დისლიპიდემიის მკურნალობაზე და ზოგადად გულსისხლძარღვთა დაავადების რისკების შემცირებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. World Health Organization (2010) Definition, diagnosis and classification of diabetes mellitus and its complications: Report of a WHO Consultation. Part 1. Diagnosis and classification of diabetes mellitus. Available at: www.who.int/diabetes/publications/en/ (accessed May 2010).
2. O'Donnell M.J., Xavier D., Liu L., Zhang H., Chin S.L., Rao-Melacini P., et al. (2010) Risk factors for ischaemic and intracerebral haemorrhagic stroke in 22 countries (the INTERSTROKE study): A case-control study. *Lancet* 376: 112-123
3. Graham I., Atar D., Borch-Johnsen K., Boysen G., Burell G., Cifkova R., et al. (2007) European guidelines on cardiovascular disease prevention in clinical practice: Full text. Fourth Joint Task Force of the European Society of Cardiology and other societies on cardiovascular disease prevention in clinical practice. *Eur J Cardiovasc Prev Rehabil* 14(Suppl 2): S1-113
4. Grundy S.M., Cleeman J.I., Merz C.N., et al. (2004) Implications of recent clinical trials for the National Cholesterol Education Program Adult Treatment Panel III guidelines. *Circulation* 110: 227-239
5. Yusuf S., Hawken S., Ounpuu S., Dans T., Avezum A., Lanas F., et al. (2004) Effect of potentially modifiable risk factors associated with myocardial infarction in 52 countries (the INTERHEART study): Case-control study. *Lancet* 364: 937-952

6. National Cholesterol Education Program (NCEP) Expert Panel on Detection, Evaluation Treatment of High Blood Cholesterol in Adults (Adult Treatment Panel III) (2002) Third report of the National Cholesterol Education Program (NCEP) Expert Panel on Detection, Evaluation, and Treatment of High Blood Cholesterol in Adults (Adult Treatment Panel III). *Circulation* 106: 3143–3421
7. Baigent C., Keech A., Kearney P.M., Blackwell L., Buck G., Pollicino C., et al. (2005) Efficacy and safety of cholesterol-lowering treatment: Prospective meta-analysis of data from 90,056 participants in 14 randomised trials of statins. *Lancet* 366(9493): 1267–1278
8. LaRosa J.C., Grundy S.M., Waters D.D., Shear C., Barter P., Fruchart J.C., et al. (2005) Intensive lipid lowering with atorvastatin in patients with stable coronary disease. *N Engl J Med* 352: 1425–1435
9. Sever P.S., Dahlöf B., Poulter N.R., Wedel H., Beevers G., Caulfield M., et al. (2003) Prevention of coronary and stroke events with atorvastatin in hypertensive patients who have average or lower-than-average cholesterol concentrations, in the Anglo-Scandinavian Cardiac Outcomes Trial-Lipid Lowering Arm (ASCOT-LLA): A multicentre randomised controlled trial. *Lancet* 361: 1149–1158
10. ALLHAT Officers Coordinators for the ALLHAT Collaborative Research Group (2002) Major outcomes in moderately hypercholesterolemic, hypertensive patients randomized to pravastatin vs usual care. *JAMA* 288: 2998–3000
11. Heart Protection Study Collaborative Group (2002) MRC/BHF Heart Protection Study of cholesterol lowering with simvastatin in 20 536 high-risk individuals: A randomised placebo-controlled trial. *Lancet* 360: 7–22
12. Long-Term Intervention with Pravastatin in Ischaemic Disease (LIPID) Study Group (1998) Prevention of cardiovascular events and death with pravastatin in patients with coronary heart disease and a broad range of initial cholesterol levels. *N Engl J Med* 339: 1349–1357
13. Shepherd J., Cobbe S.M., Ford I., Isles C.G., Lorimer A.R., et al. (1995) Prevention of coronary heart disease with pravastatin in men with hypercholesterolemia. *N Engl J Med* 333: 1301–1307
14. Scandinavian Simvastatin Survival Study Group (1994) Randomised trial of cholesterol lowering in 4444 patients with coronary heart disease: The Scandinavian Simvastatin Survival Study (4S). *Lancet* 344: 1383–1389
15. National Cholesterol Education Program (NCEP) Expert Panel on Detection, Evaluation Treatment of High Blood Cholesterol in Adults (Adult Treatment Panel III) (2002) Third report of the National Cholesterol Education Program (NCEP) Expert Panel on Detection, Evaluation, and Treatment of High Blood Cholesterol in Adults (Adult Treatment Panel III). *Circulation* 106: 3143–3421
16. Kotseva K., Wood D., De Backer G., De Bacquer D., Pyörälä K., Keil U. (2009) EUROASPIRE III: A survey on the lifestyle, risk factors and use of cardioprotective drug therapies in coronary patients from 22 European countries. *Lancet* 373: 929–940
17. Waters D.D., Brotons C., Chiang C.W., Ferrières J., Foody J., Jukema J.W., et al. (2009) Lipid treatment assessment project 2: A multinational survey to evaluate the proportion of patients achieving low-density lipoprotein cholesterol goals. *Circulation* 120: 28–34
18. Packard C.J., Ford I., Robertson M., Shepherd J., Blauw G.J., Murphy M.B., et al. (2005) Plasma lipoproteins and apolipoproteins as predictors of cardiovascular risk and treatment benefit in the PROspective Study of Pravastatin in the Elderly at Risk (PROSPER). *Circulation* 112: 3058–3065
19. Ridker P.M., Danielson E., Fonseca F.A., Genest J., Gotto A.M., Jr, Kastelein J.J., et al. (2009) Reduction in C-reactive protein and LDL cholesterol and cardiovascular event rates after initiation of rosuvastatin: A prospective study of the JUPITER trial. *Lancet* 373: 1175–1182
20. Crouse J.R., 3rd, Raichlen J.S., Riley W.A., Evans G.W., Palmer M.K., O'Leary D.H., et al. (2007) Effect of rosuvastatin on progression of carotid intima-media thickness in low-risk individuals with subclinical atherosclerosis: The METEOR Trial. *JAMA* 297: 1344–1353
21. de Lemos J.A., Blazing M.A., Wiviott S.D., Lewis E.F., Fox K.A., White H.D., et al. (2004) Early intensive vs a delayed conservative simvastatin strategy in patients with acute coronary syndromes: Phase Z of the A to Z trial. *JAMA* 292: 1307–1316

22. Nissen S.E., Nicholls S.J., Sipahi I., Libby P., Raichlen J.S., Ballantyne C.M., et al. (2006) Effect of very high-intensity statin therapy on regression of coronary atherosclerosis: The ASTEROID trial. *JAMA* 295: 1556–1565
23. Nissen S.E., Tuzcu E.M., Schoenhagen P., Brown B.G., Ganz P., Vogel R.A., et al. (2004) Effect of intensive compared with moderate lipid-lowering therapy on progression of coronary atherosclerosis: A randomized controlled trial. *JAMA* 291: 1071–1080
24. Pasterkamp G., Schoneveld A.H., van der Wal A.C., Hijnen D.J., et al. (1999) Inflammation of the atherosclerotic cap and shoulder of the plaque is a common and locally observed feature in unruptured plaques of femoral and coronary arteries. *Arterioscler Thromb Vasc Biol* 19: 54–58
25. Little W.C. (1990) Angiographic assessment of the culprit coronary artery lesion before acute myocardial infarction. *Am J Cardiol* 66: 44G–47G
26. Barter P., Gotto A.M., LaRosa J.C., Maroni J., Szarek M., Grundy S.M., et al. (2007) HDL cholesterol, very low levels of LDL cholesterol, and cardiovascular events. *N Engl J Med* 357: 1301–1310
27. Giroud D., Li J.M., Urban P., Meier B., Rutishauer W. (1992) Relation of the site of acute myocardial infarction to the most severe coronary arterial stenosis at prior angiography. *Am J Cardiol* 69: 729–732
28. Yamazaki H., Fujino H., Kanazawa M. (2004) Pharmacological and pharmacokinetic features and clinical effects of pitavastatin (Livalo Tablet). [In Japanese] *Folia Pharmacol Jpn* 123: 349–362
29. Ose L., Budinski D., Hounslow N.J., Arneson V. (2010) Long-term treatment with pitavastatin is effective and well tolerated by patients with primary hypercholesterolemia or combined dyslipidemia. *Atherosclerosis* 210: 202–208
30. Saito Y. (2009) Critical appraisal of the role of pitavastatin in treating dyslipidemias and achieving lipid goals. *Vasc Health Risk Man* 5: 921–936
31. Morikawa S., Umetani M., Nakagawa S., Yamazaki H., Suganami H., Inoue K., et al. (2000) Relative induction of mRNA for HMG CoA reductase and LDL receptor by five different HMG-CoA reductase inhibitors in cultured human cells. *J Atheroscler Thromb* 7: 138–144
32. Aoki T., Nishimura H., Nakagawa S., Kojima J., Suzuki H., Tamaki T., et al. (1997) Pharmacological profile of a novel synthetic inhibitor of 3-hydroxy-3-methylglutaryl-coenzyme A reductase. *Arzneimittelforschung* 47: 904–909
33. Ose L., Budinski D., Hounslow N.J., Arneson V. (2010) Long-term treatment with pitavastatin is effective and well tolerated by patients with primary hypercholesterolemia or combined dyslipidemia. *Atherosclerosis* 210: 202–208
34. Shitara Y., Sugiyama Y. (2006) Pharmacokinetic and pharmacodynamic alterations of 3-hydroxy-3-methylglutaryl coenzyme A (HMG-CoA) reductase inhibitors: Drug-drug interactions and interindividual differences in transporter and metabolic enzyme functions. *Pharmacol Ther* 112: 71–105
35. Saito Y., Yamada N., Teramoto T., et al. (2002) Clinical efficacy of pitavastatin, a new 3-hydroxy-3-methylglutaryl coenzyme A reductase inhibitor, in patients with hyperlipidemia. Dose-finding study using the double-blind, three-group parallel comparison. *Arzneimittelforschung* 52: 251–255
36. Mukhtar R.Y., Reid J., Reckless J.P. (2005) Pitavastatin. *Int J Clin Pract* 59: 239–252
37. Fujino H., Saito T., Tsunenari Y., Kojima J., Sakaeda T. (2004) Metabolic properties of the acid and lactone forms of HMG-CoA reductase inhibitors. *Xenobiotica* 34: 961–971
38. Fujino H., Yamada I., Shimada S., Yoneda M., Kojima J. (2003) Metabolic fate of pitavastatin, a new inhibitor of HMG-CoA reductase: Human UDP-glucuronosyltransferase enzymes involved in lactonization. *Xenobiotica* 33: 27–41
39. Pitavastatin Prescribing Information (2010) Kowa Pharmaceuticals, America. www.kowapharma.com/documents/LIVALOpitavastatinprescribinginformationV1_220100131.pdf (accessed September 2010).
40. Hayashi T., Yokote K., Saito Y., Iguchi A. (2007) Pitavastatin: Efficacy and safety in intensive lipid lowering. *Expert Opin Pharmacother* 8: 2315–2327
41. Saito Y. (2009) Critical appraisal of the role of pitavastatin in treating dyslipidemias and achieving lipid goals. *Vasc Health Risk Man* 5: 921–936

42. Saito Y., Yamada N., Teramoto T., et al. (2002) Clinical efficacy of pitavastatin, a new 3-hydroxy-3-methylglutaryl coenzyme A reductase inhibitor, in patients with hyperlipidemia. Dose-finding study using the double-blind, three-group parallel comparison. *Arzneimittelforschung* 52: 251–255
43. Hounslow N.J., Budinski D., Eriksson M. (2010) Pitavastatin 4 mg shows comparable LDL-cholesterol and superior triglyceride reduction to simvastatin 40 mg in high risk primary hypercholesterolemia or combined dyslipidaemia. *EAS 2010: Abstract 890*.
44. Watson K.E. (2010) Pitavastatin: The newest HMG-CoA reductase inhibitor. *Rev Cardiovasc Med* 11: 26–32
45. Budinski D., Arneson V., Hounslow N., Gratsiansky N. (2009) Pitavastatin compared with atorvastatin in primary hypercholesterolemia or combined dyslipidemia. *Clin Lipidol* 4: 291–302
46. Ose L., Budinski D., Hounslow N.J., Arneson V. (2010) *Long-term treatment with pitavastatin is effective and well tolerated by patients with primary hypercholesterolemia or combined dyslipidemia. Atherosclerosis* 210: 202–208
47. Stender S., Hounslow N. (2009) Robust efficacy of pitavastatin and comparable safety to pravastatin. *Atheroscler Suppl* 10: P770
48. Kurihara Y., Douzono T., Kawakita K., Nagasaka Y. (2008) A large-scale, long-term prospective post-marketing surveillance of piavastatin (Livalo) — Livalo effectiveness and safety study (LIVES). *Jpn Pharmacol Ther* 36: 709–731
49. Yokote K., Bujo H., Hanaoka H., Shinomiya M., Miyashita Y., Nishikawa T., et al. (2008) *Multicenter collaborative randomized parallel group comparative study of pitavastatin and atorvastatin in Japanese hypercholesterolemic patients Collaborative study on hypercholesterolemia drug intervention and their benefits for atherosclerosis prevention (CHIBA study). Atheroscler* 201: 345–352
50. Shalev V., Chodick G., Silber H., Kokia E., Jan J., Heymann A.D. (2009) *Continuation of statin treatment and all-cause mortality: A population-based cohort study. Arch Intern Med* 169: 260–268
51. Meade L.T. (2007) Barriers to achieving LDL cholesterol goals. *US Pharm* 32: 66–71
52. Baigent C., Keech A., Kearney P.M., Blackwell L., Buck G., Pollicino C., et al. (2005) Efficacy and safety of cholesterol-lowering treatment: Prospective meta-analysis of data from 90,056 participants in 14 randomised trials of statins. *Lancet* 366(9493): 1267–1278
53. Hounslow N.J., Budinski D., Eriksson M. (2010) Pitavastatin 4 mg shows comparable LDL-cholesterol and superior triglyceride reduction to simvastatin 40 mg in high risk primary hypercholesterolemia or combined dyslipidaemia. *EAS 2010: Abstract 890*.
54. Hiro T., Kimura T., Morimoto T., Miyauchi K., Nakagawa Y., Yamagishi M., et al. (2009) Effect of intensive statin therapy on regression of coronary atherosclerosis in patients with acute coronary syndrome: A multicenter randomized trial evaluated by volumetric intravascular ultrasound using pitavastatin versus atorvastatin (JAPAN-ACS [Japan assessment of pitavastatin and atorvastatin in acute coronary syndrome] study). *J Am Coll Cardiol* 54: 293–302
55. Teramoto T., Sasaki J., Ueshima H., Egusa G., Kinoshita M., Shimamoto K., et al. (2007) Executive summary of Japan Atherosclerosis Society JAS guideline for diagnosis and prevention of atherosclerotic cardiovascular diseases for Japanese. *J Atheroscler Thromb* 14: 45–50
56. Motomura T., Okamoto M., Kitamura T., Yamamoto H., Otsuki M., Asanuma N., et al. (2009) *Effects of pitavastatin on serum lipids and high sensitivity C-reactive protein in type 2 diabetic patients. J Atheroscler Thromb* 16: 546–552
57. Koshiyama H., Taniguchi A., Tanaka K., Kagimoto S., Fujioka Y., Hirata K., et al. (2008) Effects of pitavastatin on lipid profiles and high-sensitivity CRP in Japanese subjects with hypercholesterolemia: Kansai Investigation of Statin for Hyperlipidemic Intervention in Metabolism and Endocrinology (KISHIMEN) investigators. *J Atheroscler Thromb* 15: 345–350
58. Inoue K., Sugiyama A., Reid P.C., Ito Y., Miyauchi K., Mukai S., et al. (2007) *Establishment of a high sensitivity plasma assay for human pentraxin3 as a marker for unstable angina pectoris. Arterioscler Thromb Vasc Biol* 27: 161–167
59. Sagara N., Kawaji T., Takano A., Inomata Y., Inatani M., Fukushima M., et al. (2007) Effect of pitavastatin on experimental choroidal neovascularization in rats. *Exp Eye Res* 84: 1074–1080

60. Kawakami A., Tani M., Chiba T., Yui K., Shinozaki S., Nakajima K., et al. (2005) Pitavastatin inhibits remnant lipoprotein-induced macrophage foam cell formation through ApoB48 receptor-dependent mechanism. *Arterioscler Thromb Vasc Biol* 25: 424–429
61. Kibayashi E., Urakaze M., Kobashi C., Kishida M., Takata M., Sato A., et al. (2005) Inhibitory effect of pitavastatin (NK-104) on the C-reactive-protein-induced interleukin-8 production in human aortic endothelial cells. *Clin Sci (Lond)* 108: 515–521
62. Han J., Zhou X., Yokoyama T., et al. (2004) Pitavastatin downregulates expression of the macrophage type B scavenger receptor, CD36. *Circulation* 109: 790–796
63. Hiraoka M., Nitta N., Nagai M., Shimokado K., Yoshida M. (2004) MCP-1-induced enhancement of THP-1 adhesion to vascular endothelium was modulated by HMG-CoA reductase inhibitor through RhoA GTPase-, but not ERK1/2-dependent pathway. *Life Sci* 75: 1333–1341
64. Hiraoka M., Yoshida M. (2003) A novel HMG-CoA reductase inhibitor, pitavastatin inhibits IL-6-induced CRP in liver cells via ERK1/2-dependent but not STAT3-dependent signaling transduction. *Circ J* 67(Suppl 1): 271
65. Morikawa S., Takabe W., Mataka C., Kanke T., Itoh T., Wada Y., et al. (2002) The effect of statins on mRNA levels of genes related to inflammation, coagulation, and vascular constriction in HUVEC. Human umbilical vein endothelial cells. *J Atheroscler Thromb* 9: 178–183
66. Morikawa S., Takabe W., Mataka C., Wada Y., Izumi A., Saito Y., et al. (2004) Global analysis of RNA expression profile in human vascular cells treated with statins. *J Atheroscler Thromb* 11: 62–72
67. Hiraoka M., Yoshida M. (2003) A novel HMG-CoA reductase inhibitor, pitavastatin inhibits IL-6-induced CRP in liver cells via ERK1/2-dependent but not STAT3-dependent signaling transduction. *Circ J* 67(Suppl 1): 271
68. Markle R.A., Han J., Summers B.D., Yokoyama T., et al. (2003) Pitavastatin alters the expression of thrombotic and fibrinolytic proteins in human vascular cells. *J Cell Biochem* 90: 23–32
69. Suzuki H., Kobayashi H., Sato F., Yonemitsu Y., Nakashima Y., Sueishi K. (2003) Plaque-stabilizing effect of pitavastatin in Watanabe heritable hyperlipidemic (WHHL) rabbits. *J Atheroscler Thromb* 10: 109–116

მარია გუბიაშვილი ¹, ნონა კაკაურიძე ², პავლე მაჭავარიანი ¹, ტატიანა გუბიაშვილი ¹

პიტავასტატინით მკურნალობის უპირატესობა კლინიკურ პრაქტიკაში

¹თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ²თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

რეზიუმე

გულისხმადარღვთა დაავადებები (გსძდ) დღესდღეობით წარმოადგენს სიკვდილიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს მსოფლიოს მასშტაბით, ძირითადად გამოწვეული ათეროსკლეროზით. სხვა მოდიფიცირებულ რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება: დისლიპიდემია, მწვეულობა, არტერიული ჰიპერტენზია, დიაბეტი, სტრესი, სიმსუქნე. დისლიპიდემია, კერძოდ კი დსლქ დონის მატება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სწორედ მასზე მოდის 50% რისკის ფაქტორებისა.

ფარმაკოლოგიური ჩარევა, განსაკუთრებით კი სტატინების ჩართვა მკურნალობის პროცესში წარმოადგენს ქვაკუთხედს დისლიპიდემიის მკურნალობის საკითხში. სტატინები ამცირებენ ენდოგენური ქოლესტერინის სინთეზს ღვიძლში. იყო ნაჩვენები, რომ სტატინებს აქვთ უნარი შეამცირონ დსლ ქს 20-55%, ასევე გაზარდონ მსლ-ქ-ის დონე 5-15%-ით და შეამცირონ ტრიგლიცერიდების დონე 12-43%-ით, დოზის მიხედვით. საერთო ქოლესტერინის დონე კი შესაძლოა იყოს შემცირებული 17-46%-ით.

მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დაქვეითება და ტრიგლიცერიდების მატება, დამოუკიდებელ რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს კორონარული სისხლძარღვების დაავადების განვითარებისთვის. მკურნალობის სტრატეგია მიმართული უნდა იყოს, არა მხოლოდ დსლქ შესამცირებლად, არამედ, მსლქ და ტგ რაოდენობის კორექციისკენ. კარგად ნაცნობი სტატინების ჯგუფიდან ხაზი უნდა გაესვას პიტავასტატინს მისი უნიკალური თვისებების გამო. პიტავასტატინი წარმოადგენს HMG-CoA რედუქტაზას სინთეზირებულ ინჰიბიტორს. პიტავასტატინს გააჩნია HMG-

CoA რედუქტაზას ინჰიბიტორის გაცილებით მაღალი უნარი. ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლინდა, რომ პიტავასტატინს აქვს ატორვასტატინისა და სიმვასტატინის ანალოგიური ეფექტი, იაპონელ და კავკასიელ პირებში, თუმცა, დამატებით პიტავასტატინს ასევე აღენიშნება მსლქ-ის მატების ეფექტიც, ამ მედიკამენტით ხანგრძლივი მკურნალობის შემთხვევაში.

პიტავასტატინის შემცველი ერთ-ერთი თვალსაჩინო და ეფექტური საშუალება ქართულ ბაზარზე, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული ეფექტურობით, არის ლივაზო. ლივაზომ შეამცირა დსლქ, საერთო ქოლესტერინის დონე, ტრიგლიცერიდების დონე, ასევე გამოვლინდა მსლქ-ის დონის მატება. პიტავასტატინი სწრაფად აბსორბირდება ზედა გასტროინტესტინალური ტრაქტიდან და პლაზმაში პიკურ კონცენტრაციას აღწევს პრეპარატის პერორალური მიღებიდან ერთ საათში. შეუცვლელი სახით პიტავასტატინი სწრაფად ელიმინირდება ნალველში, მაგრამ ხვდება ენტეროჰეპატურ რეციკულაციაში, რაც უზრუნველყოფს პრეპარატის მოქმედების გახანგრძლივებას. აქედან გამომდინარე, მაღალეფექტური სტატინები დაბალი დოზით, საკმაოდ ეფექტურად ახერხებენ დსლქ-ის სამიზნე დოზის მიღწევას. დღესდღეობით არსებული კვლევების მიხედვით, პიტავასტატინი იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას დისლიპიდემიის მკურნალობაზე და ზოგადად გულსისხლძარღვთა დაავადების რისკების შემცირებაზე.



ზვიად მაღლაფერიძე, ვერა კაპეტივაძე, თამარ ლაზაშვილი, ირინა კაპეტივაძე
ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორის, მისი შემაკავშირებელი პროტეინისა და
მეტაბოლური პარამეტრების კორელაცია კოლორექტული კიბოს მქონე პაციენტებში -
მრავლობითი რეგრესიული ანალიზის შედეგები
 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.11>

ZVIAD MAGLAPHERIDZE, VERA KAPETIVADZE, TAMAR LAZASHVILI, IRINA KAPETIVADZE
CORRELATION OF INSULIN-LIKE GROWTH FACTOR, ITS BINDING PROTEIN AND METABOLIC
PARAMETERS IN PATIENTS WITH COLORECTAL CANCER – RESULTS OF MULTIPLE
REGRESSION ANALYSIS

Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

SUMMARY

The aim of the study was to study the correlation between insulin-like growth factor (IGF), its binding protein (IGF-BP3) and metabolic parameters in patients with colorectal cancer (CRC) through multiple regression analysis.

Methods. 50 patients with CRC were examined. Before the inclusion of patients in the study, the patients confirmed their willingness to participate in the study on the informed consent protocol. Blood serum of patients with malignant tumors was taken 2-3 days before surgery and determined: fasting and postprandial glucose (glucose oxidation method), fasting insulin and C-peptide (radioimmunoassay), IGF-1 and IGF-BP3 (ECLIA-assay). Insulin resistance (IR) was determined by the Homeostasis Model Assessment (HOMA) determining the HOMA-IR index. Lipid parameters were determined in the same blood samples by biochemical method. Anthropometric parameters, body mass index (BMI), systolic and diastolic blood pressure were determined for each patient. The obtained results were statistically processed through the computer program SPSS23.0. The significant factors (dependent variables) with a joint influence on the outcome were studied using the multiple linear regression model. On stage 1, IGF-1 was selected as the outcome, and on stage II – IGF-BP3.

Results. The factors with a joint influence on the value of IGF-1 were: gender, complaints - flatulence/gas/bloating and diarrhea, BMI, waist circumference, HOMA-IR, systolic blood pressure. The

factors with a joint influence on the value of IGF-BP3 were: gender, complaints - flatulence/gas/bloating, HOMA-S, HOMA-IR, creatinine.

Conclusion. We should consider the gender of the patient, MS features - IR, obesity, hypertension as factors having a joint influence on the concentrations of IGF and IGF-BP3 in the patients with CRC. On the other hand, insulin sensitivity and the level of IGF-BP are negatively correlated with the development of CRC. Therefore, it is crucial to control these modifiable risk factors, primarily through lifestyle changes, which will be a major step in the prevention of CRC.

Keywords. Colorectal Cancer, IGF-1, IGF-BP3, Insulin Resistance, Metabolic Syndrome

შესავალი. სადღეისოდ კოლორექტულ კიბოს (კრკ) წამყვანი ადგილი უჭირავს ონკოლოგიური დაავადებების სიხშირეში, როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში, ამასთან, როგორც ავადობის, ასევე სიკვდილიანობის სიხშირე სამწუხაროდ თანდათანობით იზრდება. კოლორექტულ კიბოს მსოფლიოში ყველა სიმსივნეს შორის ქალებში მეორე-მესამე ადგილი უჭირავს, რაც წელიწადში 380000-ზე მეტ დაავადების რეგისტრირებულ შემთხვევებს შეადგენს [1].

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში სულ უფრო ხშირად მიუთითებენ ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორის (იმზფ) სისტემის როლზე კრკ-ს წარმოშობასა და განვითარებაში, ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ამ ავადმყოფებში ინსულინის და ინსულინრეზისტენტობის გავლენის შესწავლისათვის [2]. ინვაზიის და მეტასტაზირების პროცესები კრკ-ს დროს პროგრესიის ძირითადი გამოვლინებებია. კიბოს პროგრესირების მექანიზმებში იმზფ-1-ის ადგილის განსაზღვრა სადღეისოდ ერთ-ერთი საჭირობოროტო ამოცანაა. აქ ერთ-ერთი საკვანძო როლი იმზფ-1-ის რეცეპტორს (იმზფ-1რ) უნდა მიეკუთვნოს. Christopoulos და სხვ. ნაშრომში გამოვლენილია საკმაოდ ძლიერი დადებითი კორელაცია იმზფ-1რ-სა და სიმსივნის უფრო დაბალ დიფერენცირებასთან და პროცესის მიშვებულ სტადიასთან [2]. ასევე დადასტურებულია კავშირი მეტაბოლურ სინდრომსა (მს) და კრკ-ს შორის [3,4]. თავის მხრივ, დადგენილ იქნა დადებითი კორელაცია შრატის გლუკოზასა და კიბოს რისკს შორის [5].

მიუხედავად იმისა, რომ ინსულინის და იმზფ-1-ის როლი მეტაბოლიზმის რეგულირებაში ნუტრიენტების საპასუხოდ კარგად არის ცნობილი, იმზფ-1-ის როლი სიმსუქნისა და ინსულინრეზისტენტობის მექანიზმებში ნაკლებად არის აღწერილი [6,7]. ცილის შემცველობა საკვებში და ენერგიის მიღება არეგულირებენ უჯრედული იმზფ-1-ის კონცენტრაციას ზრდასრულ მოხალისეებში; ენერგიის მიღებას უფრო დიდი პოტენციური მნიშვნელობა ენიჭება [7-176]. იმზფ-1 ავლენს უკუკორელაციურ კავშირს მეტაბოლურ სინდრომსა და მის მახასიათებლებთან. თავის მოდელმა აჩვენა, რომ მხოლოდ იმზფ-1-ის ნაწილობრივი დეფიციტი არის პასუხისმგებელი გლუკოზისა და ლიპიდურ მეტაბოლიზმში ჩართული გენების ექსპრესიის შემცირებაზე ღვიძლში, რაც იწვევს ჰიპერგლიკემიას და დისლიპიდემიას. ინსულინთან შედარებით იმზფ-1 იწვევს საპირისპირო ეფექტებს, რადგან იმზფ-1-ის დეფიციტი ამცირებს გლუკოზის მეტაბოლიზმში ჩართული გენების ექსპრესიას; როგორც ჩანს, იმზფ-1-ის მოქმედებები ინსულინის ანტაგონისტურია და არა „ინსულინის მსგავსი“ [8]. მეტაბოლური სინდრომის დროს იმზფ-1-ის დონეები სარწმუნოდ უფრო დაბალია, ვიდრე ამ სინდრომის გარეშე, რაც ამ ფაქტორს ინსულინრეზისტენტობის პოტენციურ მარკერად აქცევს [9]. მაშასადამე, იმზფ-1 გავლენას ახდენს მეტაბოლიზმზე (განსაკუთრებით ნახშირწყლებისა და ლიპიდების), ხოლო იმზფ-1-ის დეფიციტი - მეტაბოლური სინდრომის ჩამოყალიბებაზე [10].

გემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორის, მისი შემაკავშირებელი პროტეინისა და მეტაბოლური პარამეტრების კორელაციური კავშირის შესწავლა კოლორექტული კიბოს მქონე პაციენტებში მრავლობითი რეგრესიული ანალიზით.

კვლევის მეთოდები. გამოკვლეულ იქნა კრკ-ს მქონე 50 ავადმყოფი (ICD კოდები C18.0–18.4 - პროქსიმალური მსხვილი ნაწლავის კიბო; C18.5–18.7, C19.0 - დისტალური მსხვილი ნაწლავის კიბო; C20.0 - რექტალური კიბო). პაციენტების კვლევაში ჩართვამდე ავადმყოფებმა დაადასტურეს კვლევაში მონაწილეობის სურვილი ინფორმირებული თანხმობის ოქმზე.

ჩართვის კრიტერიუმები: ავადმყოფები კოლორექტული ავთვისებიანი სიმსივნით.

გამორიცხვის კრიტერიუმები: ალკოჰოლის ხშირი მოხმარება, ნარკომანები, ორსულობა, ასევე გამორიცხული იქნა კვლევიდან ჰეპატიტი და შიდს-ით დაავადებულები.

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ავადმყოფების სისხლის შრათი აღებულ იქნა ოპერაციამდე 2-3 დღით ადრე და განისაზღვრა: გლუკოზა უზმოდ და პოსტპრანდიული (გლუკოზოტოქსიდაციური მეთოდით), ინსულინი უზმოდ და C-პეპტიდი (რადიო-იმუნოლოგიური მეთოდით), **იმზფ-1**-ისა და შემაკავშირებელი პროტეინი-3 (**იმზფშპ-3**, ECLIA-ს მეთოდით). **ირ** განისაზღვრა ჰომეოსტაზის მოდელის შეფასებით (Homeostasis Model Assessment – HOMA) HOMA-IR ინდექსის განსაზღვრით. ამ მოდელითვე შეფასდა ბეტა-უჯრედული ფუნქცია (HOMA-B, %) და მგრძნობელობა ინსულინის მიმართ (HOMA-S, %). ლიპიდური სპექტრის პარამეტრები განისაზღვრა სისხლის იმავე ნიმუშებში ბიოქიმიური მეთოდით.

თითოეულ პაციენტს განესაზღვრა: სხეულის სიმაღლე, მასა, მასის დანაკარგი ბოლო წელიწადის მანძილზე, სხეულის მასის ინდექსი (სმი), ცხიმის შემცველობა სხეულში, მემკვიდრეობა (ანამნეზური მონაცემები), სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევის მაჩვენებლები.

მიღებული შედეგები სტატისტიკურად დამუშავდა კომპიუტერული პროგრამა SPSS23.0-ის მეშვეობით. რაოდენობრივი ცვლადები წარმოდგენილია საშუალო±სტანდარტული გადახრის (SD) სახით. ჯგუფებს შორის მათი შედარება კი განხორციელდა ფიშერის ზუსტი F-ტესტისა და დამოუკიდებელი t-ტესტის საშუალებით. კატეგორიული ცვლადები წარმოდგენილია პროცენტული მაჩვენებლებით. ჯგუფებს შორის მათი შედარება განხორციელდა Chi2-ტესტით. კორელაციური კავშირების ანალიზი ჩატარდა პირსონის (r და R2) კოეფიციენტის გამოყენებით. სარწმუნოების კრიტერიუმად მიღებულ იქნა $p < 0.05$.

მრავლობითი წრფივი რეგრესიის მოდელით შესწავლილ იქნა გამოსავალზე ერთობლივი ზეგავლენის მქონე სარწმუნო ფაქტორები (ცვლადები). I ეტაპზე გამოსავლის როლში შეირჩა **იმზფ-1** (მოდელში იგი აღინიშნა Y1-ით), II ეტაპზე კი - **იმზფშპ-3** (მოდელში იგი აღინიშნა Y2-ით). გამოსავალზე ზეგავლენის მქონე ფაქტორები (დამოკიდებული ცვლადები) კი მოყვანილია ცხრილში #1.

ცხრილი 1. მრავლობითი რეგრესიის მოდელში შემავალი ცვლადები.

ცვლადი	ცვლადის დასახელება და მნიშვნელობები
X1	სქესი (მამრობითი - 1; მდედრობითი - 2)
X2	ასაკი, წ.
X3	სტადია (1; 2; 3; 4)
X4	ოპერაციის კოდი (JFSB46-1; JFSB43-2; JFSB40-3; JFSB30-4; JGSB00-5; JGSB20-6; JGSB30-7)
X5	ჩივილი A04 სისუსტე/დაღლილობა ზოგადად (კი - 1; არა - 2)
X6	ჩივილი A10 სისხლდენა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული (კი - 1; არა - 2)
X7	ჩივილი A29 სხვა ზოგადი სიმპტომი/ჩივილი (კი - 1; არა - 2)
X8	ჩივილი D01 მუცლის ტკივილი/სპაზმი ზოგადად (კი - 1; არა - 2)
X9	ჩივილი D02 მუცლის ტკივილი ეპიგასტრიუმის არეში (კი - 1; არა - 2)
X10	ჩივილი D04 ტკივილი სწორი ნაწლავის/ანუსის არეში (კი - 1; არა - 2)
X11	ჩივილი D06 სხვა ლოკალიზაციის მუცლის ტკივილი (კი - 1; არა - 2)
X12	ჩივილი D07 დისპეფსია/საჭმლის მონელების დარღვევა (კი - 1; არა - 2)
X13	ჩივილი D08 მეტეორიზმი/გაზები/ბოყინი (კი - 1; არა - 2)

X14	ჩივილი D11 დიარეა/ფაღარათი (კი - 1; არა - 2)
X15	ჩივილი D16 სისხლდენა სწორი ნაწლავიდან (კი - 1; არა - 2)
X16	ჩივილი T03 მადის დაკარგვა (კი - 1; არა - 2)
X17	ჩივილი T08 წონის კლება (კი - 1; არა - 2)
X18	ჩივილი P13 ენკოპრეზის/დევუკაციის პრობლემა (კი - 1; არა - 2)
X19	კოლოსტომა (კი - 1; არა - 2)
X20	ქიმიოთერაპიის ან სხივური თერაპიის კურსი ოპერაციამდე (კი - 1; არა - 2)
X21	BMI, კგ/მ2
X22	წელის გარშემოწერილობა, სმ
X23	გლიკემია უზმოდ, მმოლ/ლ
X24	C-პეპტიდი უზმოდ, ნგ/მლ
X25	ინსულინი, μ U/მლ
X26	HOMA-B
X27	HOMA-S
X28	HOMA-IR
X29	სისტოლური არტერიული წნევა, მმ.ვწყ.სვ.
X30	დიასტოლური არტერიული წნევა, მმ.ვწყ.სვ.
X31	კრეატინინი, მგ/დლ
X32	ტკივილი, ქულა
X33	ECOG, ქულა

კვლევის შედეგები. პირველი მოდელის მიხედვით რეგრესია ჩატარდა უკუბიჯობრივი მეთოდით და შექმნილი მოდელიდან რეგრესიით გამოირიცხა არასარწმუნო ცვლადები: X7, X31, X32, X19, X6, X4, X10, X15, X18, X27, X2, X5, X8, X9, X25, X33, X17, X16, X30, X23, X26, X20, X12, X11.

საბოლოოდ მოდელში დარჩა სარწმუნო ცვლადები (ფაქტორები), რომლებიც ერთობლივ ზეგავლენას ახდენენ გამოსავალზე (იმზფ-1-ის მნიშვნელობაზე). წრფივი მრავლობითი რეგრესიის ფუნქციამ მიიღო შემდეგი სახე:

$$Y = 131.9 - 27.3 X1 - 5.7 X3 + 54.0 X13 + 19.4 X14 + 3.9 X21 - 0.98 X22 - 7.3 X24 + 17.4 X28 - 0.5 X29$$

ამ ფუნქციის კოეფიციენტთა სარწმუნოების მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილში #2.

ცხრილი 2. წრფივი მრავლობითი რეგრესიით მიღებული ფუნქციის კოეფიციენტები

	რეგრესიის კოეფიციენტი*	სტანდარტული გადახრა	t-ტესტი	P
β_0	131.95	36.42	3.62	< 0.001
β_1	-27.26	4.30	-6.34	< 0.001
β_3	-5.74	2.32	-2.47	0.018
β_{13}	53.96	12.80	4.22	< 0.001
β_{14}	19.36	6.17	3.14	0.003
β_{21}	3.88	0.76	5.10	< 0.001
β_{22}	-0.98	0.24	-4.11	< 0.001
β_{24}	-7.25	3.16	-2.29	0.027
β_{28}	17.39	3.71	4.69	< 0.001
β_{29}	-0.54	0.16	-3.28	0.002

* ნიშანი "-" მიუთითებს უარყოფით, ხოლო "+" - დადებით კორელაციურ კავშირზე

მაშასადამე ეს ფაქტორებია (ფრჩხილებში თითოეულ ფაქტორს მითითებული აქვს კორელაციის ხასიათი - დადებითი ან უარყოფითი): X1 - სქესი (უარყოფითი); X3 - სტადია (უარყოფითი); X13 - ჩივილი D08 მეტეორიზმი/გაზები/ბოყინი (დადებითი); X14 - ჩივილი D11

დიარეა/ფაღარათი (დადებითი); X21 – BMI (დადებითი); X22 – წელის გარშემოწერილობა (უარყოფითი) ; X24 – C-პეპტიდი უზმო (უარყოფითი); X28 – HOMA-IR (დადებითი); X29 – სისტოლური არტერიული წნევა (უარყოფითი).

მეორე მოდელის მიხედვითაც რეგრესია ჩატარდა უკუბიჯობრივი მეთოდით და ამ მოდელიდანაც რეგრესიით გამოირიცხა არასარწმუნო ცვლადები: X33, X24, X2, X19, X32, X18, X6, X26, X11, X10, X14, X29, X17, X12, X8, X30, X9, X21, X23, X25, X3, X16, X22, X15.

საბოლოოდ მოდელში დარჩა სარწმუნო ცვლადები (ფაქტორები), რომლებიც ერთობლივ ზეგავლენას ახდენენ გამოსავალზე (იმზფშპ-3-ის მნიშვნელობაზე). წრფივი მრავლობითი რეგრესიის ფუნქციამ მიიღო შემდეგი სახე:

$$Y2 = 4.58 + 0.32 X1 - 0.06 X4 - 0.45 X5 - 1.68 X7 - 0.85 X13 - 0.50 X20 + 0.07 X27 + 0.25 X28 + 0.06 X31$$

ამ ფუნქციის კოეფიციენტთა სარწმუნოების მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილში #3.

მაშასადამე, ეს ფაქტორებია (ფრჩხილებში თითოეულ ფაქტორს მითითებული აქვს კორელაციის ხასიათი - პირდაპირი ან უკუკორელაცია): X1 - სქესი (დადებითი); X4 - ოპერაციის კოდი (უარყოფითი); X7 - ჩივილი A29 სხვა ზოგადი სიმპტომი/ჩივილი (უარყოფითი); X13 - ჩივილი D08 მეტეორიზმი/გაზები/ბოყინი (უარყოფითი); X20 – ქიმიოთერაპიის ან სხივური თერაპიის კურსი ოპერაციამდე (უარყოფითი); X27 - HOMA-S (დადებითი); X28 - HOMA-IR (დადებითი); X31 - კრეატინინი (დადებითი).

ცხრილი 3. წრფივი მრავლობითი რეგრესიით მიღებული ფუნქციის კოეფიციენტები

	რეგრესიის კოეფიციენტი*	სტანდარტული გადახრა	t-ტესტი	P
β0	4.57	1.40	3.25	0.002
β1	0.32	0.10	3.17	0.003
β4	-0.06	0.02	-3.12	0.003
β5	-0.45	0.13	-3.28	0.002
β7	-1.68	0.32	-5.20	< 0.001
β13	-0.85	0.36	-2.33	0.025
β20	-0.50	0.11	-4.39	< 0.001
β27	0.07	0.02	3.80	< 0.001
β28	0.24	0.11	2.24	0.030
β31	0.06	0.02	3.46	0.001

* ნიშანი "-" მიუთითებს უარყოფით, ხოლო "+" - დადებით კორელაციურ კავშირზე

განხილვა. კავშირი მს-სა და კოლორექტულ კიბოს (კრკ) შორის მრავალი კვლევიტაა დადასტურებული [11,12]; Esposito და თანაავტ. მეტაანალიზით ადასტურებენ, რომ მს დაკავშირებულია კრკ-ს ინციდენტობისა და სიკვდილიანობის მატებასთან როგორც მამაკაცებში (ფარდობითი რისკი - RR: 1.33 და 1.36, შესაბამისად), ისე ქალებში (RR: 1.41 და 1.16, შესაბამისად). თუმცა, მს-ის ინდივიდუალურმა მახასიათებლებმა, განსაკუთრებით სხეულის მომატებულმა მასამ/წელის გარშემოწერილობამ და/ან დისგლიკემიამ ამ პაციენტებში შესაძლოა ახსნას კრკ-ის მომატებული რისკი [11]. თავის მხრივ, Crawley და თანაავტ. მეტაანალიზმა აჩვენა დადებითი კორელაცია შრატის გლუკოზასა და კიბოს რისკს შორის. თუმცა, ადამიანის ჰეტეროგენული კიბოს კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, ამ კორელაციის მექანიზმები მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ინსულინი/ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორი-1 (იმზფ-1) ღერძის ცვლილებებით [13].

in situ კრკ-სთვის რისკის ზომიერი ზრდა დაფიქსირდა პაციენტებში მაშინ, როცა უზმოდ გლუკოზის პლაზმური დონე ≥ 116 მგ/დლ, რაც მხარს უჭერს ჰიპოთეზას, რომ ჰიპერინსულინემიამ შეიძლება ითამაშოს თავისი როლი კოლორექტულ კანცეროგენეზში [14]. Schoen და თანაავტ. აჩვენეს, რომ უზმოდ გლუკოზის დონის მიხედვით უმაღლეს კვარტილში მყოფ პაციენტებს ჰქონდათ კრკ-ის ორჯერ მომატებული რისკი [15]. გარდა ამისა, ნაჩვენებია იქნა, რომ შრატში გლუკოზის უფრო მაღალი დონე უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული კიბოს მომატებულ რისკთან კონტროლთან შედარებით (მანათა ფარდობა $OR=3.0$), ვიდრე გაზრდილი ადენომის მომატებულ რისკთან ($OR=2.1$) [16]. მეორე მხრივ, Limburg და თანაავტ. აჩვენეს, რომ თითოეული ბიომარკერის, ინსულინისა და ირ-ის ინდექსის HOMA-IR-ის უმაღლესი კვარტილები მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული კრკ-ინციდენტობასთან მაშინ, როცა გლუკოზა ზღვრულად იყო დაკავშირებული კრკ-რისკთან ($HR=1.70$) ასაკობრივ მოდელეებში. თუმცა, ავტორები საკმაოდ ფრთხილად განიხილავენ ჰიპერინსულინემიას, ჰიპერგლიკემიას და/ან ირ-ს, როგორც კრკ-ის რისკ-ფაქტორებს ამ პროსპექტულ კვლევაში გამოკვლეულ მამრობითი სქესის თამბაქოს მომხმარებლებში [17]. Gunter და თანაავტ. აღწერეს ორი დამოუკიდებელი გზა, რომლებიც დაკავშირებულია მსხვილი ნაწლავის კანცეროგენეზთან პოსტმენოპაუზურ ქალებში. ერთი მათგანი მოიცავდა ენდოგენური ესტრადიოლის მაღალ დონეს, ხოლო მეორე ასოცირდებოდა სიმსუქნესთან, ჰიპერინსულინემიასთან და თავისუფალი იმზფ-1-ის დონესთან [18]. მეორეს მხრივ, ამ ჯგუფის შემდგომმა კვლევებმა, რომელიც ჩატარდა პოსტმენოპაუზურ ქალებში, აჩვენა, რომ ინსულინის დონისა და ჰომეოსტაზის მოდელის შეფასების ნაცვლად შრატში გლუკოზის მომატება შეიძლება იყოს კრკ-ის რისკ-ფაქტორი [19]. ანალოგიურად, არ არსებობდა კავშირი პლაზმაში ინსულინის დონეს, ირ-სა და კრკ-ს შორის Vulcan et al-ის კვლევებში [20].

Xu და თანაავტ. სისტემურმა მიმოხილვამ და მეტა-ანალიზმა აჩვენა, რომ უზმოდ გლუკოზისა და ინსულინის, ირ-ს, გლიკოზირებული ჰემოგლობინის ($HbA1c$) და C-პეპტიდის უფრო მაღალი დონე სარწმუნოდ იყო დაკავშირებული კრკ-ის განვითარების რისკთან. გარდა ამისა, ავტორები მიუთითებენ, რომ კრკ-ის რისკის უფრო უკეთესი მაჩვენებელია ირ, ვიდრე გლუკოზა ან ინსულინი უზმოდ [21].

რამდენიმე ფაქტორს აქვს მარეგულირებელი ეფექტი იმზფ-1-ის სინთეზა და სეკრეციაზე. ვირთხის ნაყოფის ჰეპატოციტების in vitro კვლევებმა მხარი დაუჭირა ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ იმზფ ცილების ოჯახი დადებითად რეგულირდებოდა გლუკოზით გენის დონეზე. გლუკოზით ინდუცირებული იმზფ-2-ის მ-რნმ (ძირითადი იმზფ ნაყოფის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე) შუამავლობით ხდებოდა გენის ტრანსკრიპციის სტიმულირება და ტრანსკრიპტის გაზრდილი აქტივობა [22]. ემბრიონის განვითარების დროს დადასტურდა, რომ ინსულინს და საკვებ ნივთიერებებს უფრო დიდი გავლენა აქვთ იმზფ-სისტემის, ვიდრე ზრდის ჰორმონის რეგულირებაზე. ორივე იმზფ-ის დონის მატება ინსულინის შუამავლობით ხდება უფრო ტრანსკრიპტის სტაბილურობის გაზრდის ჰორმონის ეფექტის გამო, ვიდრე გენის ტრანსკრიპციის გაზრდის გამო [23]. თავის მხრივ, იმზფ-1 გენის ტრანსკრიფციაზე პირდაპირ გავლენას ახდენს ღვიძლში გლუკოზის მეტაბოლიზმი [24] და მისი დარღვევები [25]. ანალოგიურად, ღვიძლის მიერ გარკვეული ამინომჟავების ათვისება, რომელიც გამოწვეულია ზრდის ჰორმონით ან ინსულინით, ხელს უწყობს იმზფ-1-ის ექსპრესიას იმზფ-1 მ-რნმ-ის სტაბილიზირებით [24]. ახლახან აღწერილია ჰეპატოციტებში არგინინის შუამავლობით იმზფ-1-ის სეკრეციის რეგულირების ახალი მექანიზმი. პირველ ეტაპზე ზრდის ჰორმონი ასტიმულირებს იმზფ-1 ტრანსლაციას და ზრდის იმზფ-1 ცილის დონეს, რაც იწვევს მის სეკრეციას. შემდეგ კი არგინინი იწვევს იმზფ-1-ის გამოყოფას ენდოპლაზმური რეტიკულუმიდან, რაც გულისხმობს მის ჩართულობას იმზფ-1-ის შეკავების პროცესში ენდოპლაზმურ რეტიკულუმში [26]. ინსულინის ან ზრდის ჰორმონის გარდა, იმზფ-1-ის

სინთეზსა და სეკრეციაზე გავლენას ახდენს სხვა ჰორმონებიც, მაგ., სასქესო ჰორმონები [27], ისევე როგორც ასაკი [28], სქესი, დიეტა და კვება [29], ცირკადული რიტმი [30] და მიკრობიოტადან მიღებული მეტაბოლიტები [31].

დასკვნა. კრკ-ს მქონე პაციენტების სისხლში იმზფ-ისა და იმზფმჰ-3-ის კონცენტრაციებზე ერთობლივი ზეგავლენის მქონე ფაქტორებად უნდა განვიხილოთ პაციენტის სქესი, ჩივილი - მეტეორიზმი/გაზები/ბოყინი, სმი, წელის გარშემოწერილობა, ირ-ის ინდექსი და სისტოლური არტერიული წნევა. თავის მხრივ, ინსულინის მიმართ მგრძნობელობა და იმზფ-1-ის შემკავშირებელი პროტეინის დონე უარყოფით კორელაციურ კავშირშია კრკ-ის განვითარებასთან. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორების მოხსნას, პირველ რიგში ცხოვრების წესის ცვლილებით, რომელიც დიდი ნაბიჯი იქნება კრკ-ის პრევენციის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Arcidiacono B, Iiritano S, Nocera A, Possidente K, Nevolo MT, Ventura V, Foti D, Chiefari E, Brunetti A. Insulin Resistance and Cancer Risk: An Overview of the Pathogenetic Mechanisms. *Exp Diabetes Res.* 2012;2012:789174.
2. Christopoulos PF, Msaouel P, Koutsilieris M The role of the insulin-like growth factor-1 system in breast cancer licensee *BioMed Central* 2015;14:43.
3. Esposito K, Chiodini P, Capuano A et al. Colorectal cancer association with metabolic syndrome and its components: A systematic review with meta-analysis. *Endocrine.* 2013;44:634–647.
4. Hu J, Liu X, Chi J et al. Expressions of IGF-1, ERK, GLUT4, IRS-1 in metabolic syndrome complicated with colorectal cancer and their associations with the clinical characteristics of CRC. *Cancer Biomark.* 2018;21:883
5. Crawley DJ, Holmberg L et al. Serum glucose and risk of cancer: A meta-analysis. *BMC Cancer.* 2014;14:985.
6. Clemmons DR. Role of insulin-like growth factor in maintaining normal glucose homeostasis. *Horm. Res.* 2004;62:77–82. doi: 10.1159/000080763.
7. Isley WL, Underwood LE, Clemmons DR. Dietary components that regulate serum somatomedin-C concentrations in humans. *J. Clin. Investig.* 1983;71:175–182.
8. De Ita JR, Castilla-Cortázar I, Aguirre GA et al. Altered liver expression of genes involved in lipid and glucose metabolism in mice with partial IGF-1 deficiency: An experimental approach to metabolic syndrome. *J. Transl. Med.* 2015;13:326.
9. Sesti G, Sciacqua A, et al. Plasma concentration of IGF-I is independently associated with insulin sensitivity in subjects with different degrees of glucose tolerance. *Diabetes Care.* 2005;28:120–125.
10. Aguirre GA, De Ita JR, de la Garza RG, Castilla-Cortazar I. Insulin-like growth factor-1 deficiency and metabolic syndrome. *J. Transl. Med.* 2016;14:3.
11. Esposito K, Chiodini P, Capuano A et al. Colorectal cancer association with metabolic syndrome and its components: A systematic review with meta-analysis. *Endocrine.* 2013;44:634–647.
12. Hu J, Liu X. et al. Expressions of IGF-1, ERK, GLUT4, IRS-1 in metabolic syndrome complicated with colorectal cancer and their associations with the clinical characteristics of CRC. *Cancer Biomark.* 2018;21:883
13. Crawley DJ, Holmberg L. et al. Serum glucose and risk of cancer: A meta-analysis. *BMC Cancer.* 2014;14:985.
14. Yamada K, Araki S, Tamura M et al. Relation of serum total cholesterol, serum triglycerides and fasting plasma glucose to colorectal carcinoma in situ. *Int. J. Epidemiol.* 1998;27:794–798.
15. Schoen RE, Tangen CM, Kuller LH, et al. Increased blood glucose and insulin, body size, and incident colorectal cancer. *J. Natl. Cancer Inst.* 1999;91:1147–11454. doi: 10.1093/jnci/91.13.1147.
16. Chung Y.W, Han D.S, et al. Association of obesity, serum glucose and lipids with the risk of advanced colorectal adenoma and cancer: A case-control study in Korea. *Dig. Liver Dis.* 2006;38:668–672.

17. Limburg PJ, Stolzenberg-Solomon RZ, Vierkant RA et al. Insulin, Glucose, insulin resistance, and incident colorectal cancer in male smokers. Clin. Gastroenterol. Hepatol. 2006;4:1514–1521.
18. Gunter MJ, Hoover DR, Yu H et al. Insulin, insulin-like growth factor-I, endogenous estradiol, and risk of colorectal cancer in postmenopausal women. Cancer Res. 2008;68:329–337.
19. Kabat GC, Kim MY et al. A longitudinal study of serum insulin and glucose levels in relation to colorectal cancer risk among postmenopausal women. Br. J. Cancer. 2012;106:227–232.
20. Vulcan A, Manjer J, Ohlsson B. High blood glucose levels are associated with higher risk of colon cancer in men: A cohort study. BMC Cancer. 2017;17:842.
21. Xu J, Ye Y, Wu H et al. Association between markers of glucose metabolism and risk of colorectal cancer. BMJ Open. 2016;6:e011430.
22. Goya L, de la Puente A, Ramos S et al. Regulation of insulin-like growth factor-I and -II by glucose in primary cultures of fetal rat hepatocytes. J. Biol. Chem. 1999;274:24633–24640.
23. Goya L, de la Puente A, Ramos S et al. Regulation of IGF-I and -II by insulin in primary cultures of fetal rat hepatocytes. Endocrinology. 2001;142:5089–5096.
24. Devesa J, Almengló C, Devesa P. Multiple Effects of Growth Hormone in the Body: Is it Really the Hormone for Growth? Clin. Med. Insights Endocrinol. Diabetes. 2016;9:47–71.
25. Dogansen SC, Yalin GY, Tanrikulu S, Yarman S. Impact of Glucose Metabolism Disorders on IGF-1 Levels in Patients with Acromegaly. Horm. Metab. Res. 2018;50:408–413.
26. Tsugawa Y, Handa H, Imai T. Arginine induces IGF-1 secretion from the endoplasmic reticulum. Biochem. Biophys. Res. Commun. 2019;514:1128–1132.
27. Kanbur-Oksüz N, Derman O, Kinik E. Correlation of sex steroids with IGF-1 and IGFBP-3 during different pubertal stages. Turk. J. Pediatr. 2004;46:315–321.
28. Jogie-Brahim S, Feldman D, Oh Y. Unraveling Insulin-Like Growth Factor Binding Protein-3 Actions in Human Disease. Endocrine Reviews 2009, 30(5):417–437.
29. Livingstone C. Insulin-like growth factor-I (IGF-I) and clinical nutrition. Clin. Sci. 2013;125:265–280.
30. Chaudhari A, Gupta R, Patel S, Velingkaar N, Kondratov R. Cryptochromes regulate IGF-1 production and signaling through control of JAK2-dependent STAT5B phosphorylation. Mol. Biol. Cell. 2017;28:834–842.
31. Yan J, Charles JF. Gut Microbiota and IGF-1. Calcif. Tissue Int. 2018;102:406–414.

გვიად მალლაფერიძე, ვერა კაპეტივაძე, თამარ ლაბაშვილი, ირინა კაპეტივაძე
ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორის, მისი შემაკავშირებელი პროტეინისა და მეტაბოლური
პარამეტრების კორელაცია კოლორექტული კიბოს მქონე პაციენტებში - მრავლობითი
რეგრესიული ანალიზის შედეგები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი

რეზიუმე

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორის, მისი შემაკავშირებელი პროტეინისა და მეტაბოლური პარამეტრების კორელაციური კავშირის შესწავლა კოლორექტული კიბოს (კრკ) მქონე პაციენტებში მრავლობითი რეგრესიული ანალიზით.

კვლევის მეთოდები. გამოკვლეულ იქნა კრკ-ს მქონე 50 ავადმყოფი. პაციენტების კვლევაში ჩართვამდე ავადმყოფებმა დაადასტურეს კვლევაში მონაწილეობის სურვილი ინფორმირებული თანხმობის ოქმზე. ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული ავადმყოფების სისხლის შრავი აღებულ იქნა ოპერაციამდე 2-3 დღით ადრე და განისაზღვრა: გლუკოზა უზმოდ და პოსტპრანდიული (გლუკოზოტოლერანტული მეთოდით), ინსულინი უზმოდ და C-პეპტიდი (რადიოიმუნოლოგიური მეთოდით), **იმზფ-1**-ისა და შემაკავშირებელი პროტეინი-3 (**იმზფპ-3**, ECLIA-ს მეთოდით). ინსულინრეზისტენტობა (**ირ**) განისაზღვრა ჰომეოსტაზის მოდელის შეფასებით (Homeostasis Model Assessment – HOMA) HOMA-IR ინდექსის განსაზღვრით. ლიპიდური სპექტრის პარამეტრები განისაზღვრა სისხლის იმავ ნიმუშებში ბიოქიმიური მეთოდით. თითოეულ პაციენტს განესაზღვრა ანთროპომეტრიული პარამეტრები, სხეულის მასის ინდექსი (სმი), სისტოლური და დიასტოლური

არტერიული წნევის მაჩვენებლები. მიღებული შედეგები სტატისტიკურად დამუშავდა კომპიუტერული პროგრამა SPSS23.0-ის მეშვეობით. მრავლობითი წრფივი რეგრესიის მოდელით შესწავლილ იქნა გამოსავალზე ერთობლივი ზეგავლენის მქონე სარწმუნო ფაქტორები (ცვლადები). I ეტაპზე გამოსავლის როლში შეირჩა **იმზფ-1**, II ეტაპზე კი - **იმზფშპ-3**.

კვლევის შედეგები. იმზფ-1-ის მნიშვნელობაზე ერთობლივ ზეგავლენის მქონე ფაქტორებად გამომუდგნენ: სქესი, ჩივილი - მეტეორიზმი/გაზები/ბოყინი, ჩივილი - დიარეა/ფაღარათი, სმი, წელის გარემომონერილობა, HOMA-IR, სისტოლური არტერიული წნევა. იმზფშპ-3-ის მნიშვნელობაზე ერთობლივ ზეგავლენის მქონე ფაქტორებად გამომუდგნენ: სქესი, ჩივილი - მეტეორიზმი/გაზები/ბოყინი, HOMA-S, HOMA-IR, კრეატინინი.

დასკვნა. კრკ-ს მქონე პაციენტების სისხლში **იმზფ**-ისა და **იმზფშპ-3**-ის კონცენტრაციებზე ერთობლივი ზეგავლენის მქონე ფაქტორებად უნდა განვიხილოთ პაციენტის სქესი, მს-ის მახასიათებლები - ირ, სიმსუქნე, არტერიული ჰიპერტენზია. თავის მხრივ, ინსულინის მიმართ მგრძნობელობა და **იმზფ**-1-ის შემაკავშირებელი პროტეინის დონე უარყოფით კორელაციურ კავშირშია კრკ-ის განვითარებასთან. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორების მოხსნას, პირველ რიგში ცხოვრების წესის ცვლილებით, რომელიც დიდი ნაბიჯი იქნება კრკ-ის პრევენციის საქმეში.



*თამარ ლაშაშვილი, ვერა კაპეტივაძე, თეიმურაზ სილაგაძე,
ზვიად მაგლაფერიძე, ირინა კაპეტივაძე*

**მინი-მენტალური მდგომარეობის კვლევით შეფასებული დემენციის სიმძიმის
მეტაბოლური კორელატები**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.12>

*TAMAR LAZASHVILI, VERA KAPETIVADZE, TEIMURAZ SILAGADZE,
ZVIAD MAGLAPHERIDZE, IRINA KAPETIVADZE*

**DEMENTIA SEVERITY ASSESSED BY MINI MENTAL STATE EXAMINATION AND ITS
METABOLIC CORRELATES**

Tbilisi State Medical University, Georgia

SUMMARY

Objectives. The aim of our study was to identify the metabolic correlates of dementia severity assessed by Mini-Mental State Examination (MMSE) in patients with dementia and eating disorders.

Methods. Cross-sectional observational study was performed from 2020 to 2023 in palliative clinic “Palmedi” of Tbilisi State Medical University. The study group consisted of 77 patients with dementia (18 males, 59 females; mean age - 78.0 ± 11.1). Dementia was assessed by Mini-Mental State Examination (MMSE), and eating disorders assessed by Mini Nutritional Assessment (MNA) scale. Serum resistin levels, fasting plasma glucose (FPG) and insulin (FPI), C-peptide, parameters of lipid metabolism – total cholesterol (TC), triglycerides (TG), HDL-, LDL- and VLDL-cholesterol were measured and analyzed. Insulin resistance was assessed by HOMA model. BMI and waist circumference have been also measured. Correlation was assessed by Pearson coefficient (r).

Results. MMSE-score was significantly positively correlated with MNA-score ($r=0.605$, $p<0.001$), HDL-cholesterol levels ($r=0.237$, $p=0.038$), and BMI ($r=0.258$, $p=0.023$). The significant negative correlation was obtained between MMSE-score and age ($r= -0.264$, $p=0.020$), TG ($r= -0.311$, $p=0.006$), and resistin levels ($r= -0.309$, $p=0.006$). Correlation of MMSE-score with other studied parameters was not significant.

Conclusion. Dementia severity assessed by MMSE-score was significantly correlated with age, BMI, eating disorders assessed by MNA-score, TG and HDL-cholesterol, and resistin levels. So, it may be concluded that dementia is associated with impaired metabolism.

Keywords: Dementia, MMSE scale, Body Mass Index, Metabolism

შესავალი. კვებითი ქცევის ცვლილებები მულტიფაქტორული ხასიათისაა, ხშირად დაკავშირებულია ასაკის მატებასთან და განპირობებულია რიგი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით. კვების ცვლილებები შეიძლება გამოვლინდეს როგორც საკვები პროდუქტებისადმი შერჩევითი დამოკიდებულებით, ასევე საკვების მიღებასთან დაკავშირებული ჩვევებისა და კვების რაციონის ცვლილებებით [1]. ჯანმო-ს ექსპერტთა მონაცემებით, ხანდაზმულ პირთათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ცნს-ის მხრივ დარღვევები, კერძოდ დემენციები. მსოფლიოში 55 მილიონამდე ადამიანია დაავადებული დემენციით, უკანასკნელ წლებში შემთხვევები თანდათან იზრდება, 2030 წლისთვის კი ვარაუდობენ, რომ 78 მილიონამდე გაიზრდება დაავადებული ადამიანების რაოდენობა [2].

დემენციის სიმპტომატიკა წარმოდგენილია კოგნიტური, ქცევითი და ნეირო-ფსიქოლოგიური დარღვევებით (ჰალუცინაციები, ბოდვები, აგზნება/აგრესია, დეპრესია, შფოთვა, ეიფორია, აპათია, გაღიზიანებადობა, ძილის და კვების დარღვევები). ეს ძირითადი ნიშნები წარმოადგენს დემენციის დიაგნოზის დეტერმინანტებს [3].

კოგნიტური უნარის გლობალური გაუარესება, რომელიც წარმოდგენილია მეხსიერების, შემეცნების, ორიენტაციის, მეტყველების, მსჯელობის დარღვევებით, განაპირობებს ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვან გაუარესებას. კავშირი ტვინის დაზიანებასა და კვების ცვლილებებს შორის საკმაოდ რთულია, და წარმოდგენილია 3 ძირითადი მექანიზმით: თავის ტვინის სისხლმომარაგების გაუარესება, რაც დაკავშირებულია თავის ტვინის მკვებავი სისხლძარღვების ათეროსკლეროზთან, მიტოქონდრიულ დისფუნქციასთან და ანთებასთან [4-6]. უნდა აღინიშნოს, რომ კვების დარღვევები გულისხმობს როგორც რაოდენობრივ (ჭარბი ან არასაკმარისი რაოდენობით საკვების მიღება), ისე ხარისხობრივ (საკვებ ნივთიერებათა დეფიციტი) ცვლილებებს [7,8]. აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის მიუხედავად მსოფლიოში, რომელმაც 2015 წლისთვის შეადგინა 71,4 წელი, ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენდა 63,1 წელს. ეს განსხვავება აიხსნება ქრონიკული მდგომარეობებით, რომელიც თან ახლავს დაზიანებას. კვება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს სიცოცხლის ხარისხს ხანდაზმულ ასაკში, ასაკის მატებასთან ერთად კვებითი სტატუსის გაუარესება საკმაოდ აქტუალური მოვლენაა და განპირობებულია ფიზიკური აქტივობის შემცირებით, მეტაბოლიზმის შენელებით, ცნოსვის, გემოვნების ასაკობრივი გაუარესებით, რიგი სომატური დაავადებებით, რასაც თან ერთვის რიგი სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები [9,10].

რიგი კვლევების მიხედვით, დაავადების პროგრესირებასთან ერთად ვლინდება სხვადასხვა სახის კვებითი დარღვევები: დაავადების ადრეულ ეტაპზე საკვებთან დაკავშირებული გემოვნებითი ცვლილება (ტკბილეულის გაზრდა რაციონში), მადის (ჰიპერ-ჰიპო-ანორექსია), კვებითი ჩვევების (კვების დროის გახანგრძლივება) ცვლილებები და დისფაგია [11]. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰოსპიტალიზაციის რისკი უფრო მაღალია დემენციით დაავადებულებში, რომლებიც ცხოვრობენ მარტო. რამდენადაც მათ აქვთ ნაკლები უნარი დააკმაყოფილონ თავიანთი კვების საჭიროებები [12]. მნიშვნელოვანი კლინიკური სიმპტომი ალცჰეიმერის დაავადების მქონე პაციენტებში არის სხეულის მასის კლება [13-16]. წონის კლებასა და AD-ს შორის კავშირი ჯერ კიდევ გაურკვეველია, მაგრამ მოცემულია რამდენიმე პათოფიზიოლოგიური ახსნა [17]: წონის კლებასთან ასოცირებულია ნეიროპათოლოგიური ცვლილებები, ლიმბური სისტემის დისფუნქცია, მეზიალური ტემპორალური ქერქის ატროფია და გლუკოზის მეტაბოლიზმის დაქვეითება წინა ცინგულატურ

ქერქში [18,19]. ზოგიერთი ავტორის მიერ გამოითქვა ვარაუდი კვებითი დარღვევების კავშირის შესახებ ნეიროენდოკრინულ და მეტაბოლურ დარღვევებთან [20-22]. ალცჰეიმერის დაავადებით დაავადებულ პაციენტებში სიმპტომია დისფაგია ან ყლაპვის დარღვევა, რაც იწვევს არასრულფასოვან კვებას, დეჰიდრატაციას, წონის დაკლებას, ფუნქციურ დაქვეითებას და ჭამისა და დაღევის შიშს, ასევე ცხოვრების ხარისხის დაქვეითებას. ამრიგად, AD-ით დაავადებულ პაციენტებში დისფაგიის დიაგნოსტიკური შეფასება აუცილებელია იმისთვის, რომ ვმართოთ ეფექტურად, თავიდან ავიცილოთ გართულებები და შევამციროთ კომორბიდობა და სიკვდილიანობა დემენციით დაავადებულ პაციენტებში [23].

დისფაგია შეიძლება განვითარდეს დემენციის მქონე პაციენტებში რაც ხშირად ართულებს დაავადების მიმდინარეობას ამ პაციენტებში. გარდა ამისა, ნაჩვენებია დისფაგია სხვადასხვა ტიპის დემენციის დროს. დისფაგია შესაძლოა გამოწვეული იყოს ოროფარინგიალური ან საყლაპავის პრობლემების გამო. სამწუხაროდ, ყლაპვის დარღვევა ქმნის ბარიერს საკვების მიღებისას და შეიძლება გამოიწვიოს წონის დაკლება, მალნუტრიცია და დეჰიდრატაცია. ამ პაციენტებში გავრცელებული სიმპტომები იქნება საკვების ამოღება პირის ღრუში, ღეჭვის გაძნელება, ხველა ან დახრჩობა საკვებით ან სითხით და საკვების გადაყლაპვის შეხსენების საჭიროება. ორალური ფაზის დისფაგიის ზოგიერთი ხელშემწყობი ფაქტორი მოიცავს საკვების ვიზუალურად ამოცნობის უუნარობას, ორალურ-ტაქტილურ აგნოზიას და ყლაპვისა და კვების აპრაქსიას. ფარინგეალური ფაზის დისფაგია იწვევს ასპირაციას ყლაპვის წინ, ყლაპვის დროს და მის შემდეგ. რის შემდეგაც შესაძლოა განვითარდეს ასპირაციული პნევმონია, რომელიც ხშირად შესაძლოა გახდეს სიკვდილის მიზეზი დემენციის მქონე პაციენტებში [24].

ამრიგად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვებითი დარღვევების მონიტორინგი ჯანმრთელ ხანდაზმულებში, რადგან ისინი შეიძლება მოგვევლინონ დემენციის განვითარების პრედიქტორებად.

უკანასკნელ დეკადაში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ადიპოკინების როლმა დემენციის განვითარებაში [25-28]. ალცჰეიმერის დაავადების შესახებ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ლეპტინი ხელს უშლის ამილოიდის β ($A\beta$) ფოლაქის აგრეგაციის დესტრუქციულ ეფექტს ჰიპოკამპუსის სინაფსურ პლასტიურობაზე და გლუტამატის რეცეპტორების ტრეფიკინგზე (რეცეპტორების ტრეფიკინგი გულისხმობს რეცეპტორების უჭრედშიდა მოძრაობას სინთეზის ადგილებიდან პლაზმურ მემბრანამდე, სადაც ისინი ფუნქციონირებენ). გარდა ამისა, ლეპტინით მკურნალობა ხელს უშლის AMPA რეცეპტორების ქვეგანყოფილების $A\beta$ -ით ორიენტირებულ ინტერნალიზებას [25]. მეორე მხრივ, რეზისტინის მაღალი დონე გამოვლინდა ალცჰეიმერის დაავადების მქონე პაციენტების პლაზმაში [26]. რეზისტინის რეცეპტორის 4-ის მსგავსი რეცეპტორის (TLR4) გაზრდილი აქტივობა დაფიქსირდა როგორც ალცჰეიმერის დაავადების საწყის ნეიროდეგენერაციულ პროცესებში, ასევე დაავადების პროგრესირების დროს [27]. ამასთან, დაფიქსირდა რეზისტინის ნეიროპროტექტორული ეფექტები ალცჰეიმერის დაავადების დროს, მათ შორის მისი როლი ოქსიდაციური სტრესის თავიდან აცილებაში, მიტოქონდრიული დისფუნქცია და უჭრედების დაუცველობა სტრესის მიმართ [28].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **კვლევის მიზანს** წარმოადგენდა მინიმენტალური მდგომარეობის კვლევით შეფასებული დემენციის სიმძიმის მეტაბოლური კორელატების განსაზღვრა.

კვლევის მეთოდები. 2022-2023 წლებში შესწავლილ იქნა პალიატიურ კლინიკაში „პალმედი“ მოთავსებული 77 პაციენტი. მათგან 4-ს (5.2%) აღენიშნებოდა ალცჰეიმერის დაავადება (ICD F00), 16-ს (19.5%) - ვასკულური დემენცია (ICD F01), 3-ს (3.9%) - დემენცია სხვა სპეციფიური

დაავადებით (ICD F02) და 56-ს (71.4%) - დაუზუსტებელი ეტიოლოგიის დემენცია (ICD F03). საკვლევი ჯგუფის საშუალო ასაკი შეადგენდა 78.0 ± 11.1 წ (ცხრილი #1).

დემენციის ხარისხი შეფასდა მინი-მენტალური მდგომარეობის კვლევის მეთოდით (Mini-Mental State Examination – MMSE) [29]. კვების დარღვევების არსებობა დიაგნოსტიკდებოდა მინი ნუტრიციული შეფასების შკალით - Mini Nutritional Assessment Scale (MNA) [30]. კვებითი დარღვევა აღენიშნებოდა - 58 პაციენტს (76.3%) მათგან დისფაგია კი - 30-ს (39.0%).

ბიოქიმიური მეთოდით შესწავლილ იქნა კვლევის მონაწილეთა ლიპიდური სპექტრი: საერთო ქოლესტერინი (TCh), ტრიგლიცერიდები (TG), ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები (VLDL), დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები (LDL), მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები (HDL).

უზმოდ სისხლის პლაზმაში გლუკოზოჰოქსიდაციური მეთოდით განისაზღვრა გლიკემიის მაჩვენებელი (FPG), ხოლო სისხლის იმავე პორციის პლაზმაში ენზიმ-შეკავშირებული იმუნოგაზომებით (enzyme-linked-immunoassay – ELISA) ანალიზატორით (Analyzer Elecsys Insulin MODULAR ANALYTICS E170, COBAS e601 და e602, Roche Diagnostics, აშშ) განისაზღვრა უზმოდ ინსულინის დონე. ინსულინრეგისტენტობა (ირ) შეფასდა Homeostasis Model Assessment (HOMA). რებისტინი და C-რეაქტიული პროტეინი (CRP) განისაზღვრა ასევე ენზიმ-შეკავშირებული იმუნოგაზომებით (enzyme-linked-immunoassay – ELISA). რებისტინის შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ანალიზატორი - Analyzer IRE96 Microplate Reader (SFRI Medical Diagnostics, საფრანგეთი); C-რეაქტიული პროტეინის შემთხვევაში კი ანალიზატორი - COBAS e601 და e602 (Roche Diagnostics, აშშ).

ცხრილი #1. საკვლევი ჯგუფის დახასიათება

საკვლევი პარამეტრი	საკვლევი ჯგუფი (n, % ან Mean $\pm$ SD)
პაციენტების რაოდენობა	77 (100%)
ალცჰეიმერის დაავადება (ICD F00)	4 (5.2%)
ვასკულური დემენცია (ICD F01)	15 (19.5%)
დემენცია სხვა სპეციფიური დაავადებით (ICD F02)	3 (3.9%)
დაუზუსტებელი ეტიოლოგიის დემენცია (ICD F03)	55 (71.4%)
ასაკი, წ.	78.0 $\pm$ 11.1
სქესი	
მამრობითი	18 (23.4%)
მდედრობითი	59 (76.6%)
კვების დარღვევების არსებობა	
კვების დარღვევების გარეშე	19 (24.7%)
კვების დარღვევები დისფაგიის გარეშე	28 (36.4%)
კვების დარღვევები დისფაგიით	30 (39.0%)
ანთროპომეტრია	
სმი, კგ/მ ²	21.5 $\pm$ 4.1
წელის გარშემოწერილობა, სმ	88.4 $\pm$ 12.1
წელის გარშემოწერილობა (მამრობითი), სმ	88.4 $\pm$ 10.1
წელის გარშემოწერილობა (მდედრობითი), სმ	88.4 $\pm$ 12.8
დემენციის შეფასების შკალა	
MMSE, ქულა	11.8 $\pm$ 5.2
კვებითი დარღვევების შეფასების შკალები	
MNA-SF, ქულა	13.7 $\pm$ 3.9

მიღებული შედეგები სტატისტიკურად დამუშავდა კომპიუტერული პროგრამა SPSS23.0-ის მეშვეობით. რაოდენობრივი ცვლადები წარმოდგენილია Mean $\pm$ SD სახით. ჯგუფებს შორის მათი შედარება კი განხორციელდა ორმხრივი t-ტესტის საშუალებით. კატეგორიული ცვლადები წარმოდგენილია პროცენტული მაჩვენებლებით. ჯგუფებს შორის მათი შედარება განხორციელდა Chi2-ტესტით. კორელაციური კავშირები შესწავლილ პარამეტრებს შორის შეფასდა პირსონის კოეფიციენტით (R). სანდოობის კრიტერიუმად მიღებულ იქნა - $p < 0.05$.


კვლევის შედეგები. დემენციის ხარისხზე შესწავლილი პარამეტრების ზეგავლენის (პრედიქტორული როლის) შესწავლის მიზნით შესწავლილ იქნა კორელაციური კავშირები მათსა და დემენციის შკალის ქულების ქულობრივ მაჩვენებლებს შორის. ცხრილში 2 მოყვანილია MMSE-შკალის ქულობრივი მაჩვენებლის კორელაცია შესწავლილ პარამეტრებთან. ამ ცხრილიდან ნათლად ჩანს, MMSE-შკალის ქულა სარწმუნოდ დადებითად კორელირებდა დემენციის შეფასების შკალის ქულობრივ მაჩვენებლებთან. MNA-SF-შკალის ქულასთან კორელაცია უარყოფითია ($r = 0.6052$; $p < 0.001$), რაც მიუთითებს იმაზე, რომ MMSE-შკალის ქულის მატება ასოცირებულია MNA-SF-შკალის ქულის სარწმუნო მატებასთან (დიაგრამა 1).

MMSE-შკალის ქულა ასევე სარწმუნოდ უარყოფითად კორელირებდა პაციენტის ასაკთან ($r = -0.2642$; $p = 0.020$), დადებითად - სხეულის მასასთან ($r = 0.3194$; $p = 0.005$), დადებითად - სმი-სთან ($r = 0.2584$; $p = 0.020$) და ლიპიდური ცვლის მაჩვენებლებთან. TG-სთან კორელაცია უარყოფითია ($r = -0.3111$; $p = 0.006$), რაც მიუთითებს იმაზე, რომ MMSE-შკალის ქულის სარწმუნო კლება ასოცირებულია TG-ის დონის მატებასთან; HDL-სთან კორელაცია დადებითია ($r = 0.2367$; $p = 0.038$), რაც მიუთითებს იმაზე, რომ MMSE-შკალის ქულის კლება ასოცირებულია HDL-ის სარწმუნო კლებასთან. MMSE-შკალის ქულა სარწმუნოდ უარყოფითად კორელირებდა რეზისტინის მაჩვენებელთან ($r = -0.3085$; $p < 0.001$), რაც მიუთითებს იმაზე, რომ MMSE-შკალის ქულის მატება ასოცირებულია რეზისტინის მაჩვენებლის სარწმუნო კლებასთან.

**ცხრილი 2. MMSE-შკალის ქულის კორელაციური კავშირები
ლაბორატორიულად მიღებული ლიპიდური და ნახშირწყლოვანი ცვლის პარამეტრების
მონაცემები საკვლევ და საკონტროლო ჯგუფებში**

#	MMSE-შკალის ქულა vs. პარამეტრი	პირსონის r კოეფიციენტი	P
1	MNA-SF-შკალის ქულა	0.6052	<0.001
2	ასაკი, წ.	-0.2642	0.020
3	სმი, კგ/მ2	0.2584	0.023
4	წელის გარშემოწერილობა	0.1135	0.326
5	TG	-0.3111	0.006
6	TCh	-0.0112	0.923
7	HDL	0.2367	0.038
8	LDL	-0.0641	0.580
9	VLDL	-0.1277	0.268
11	FPG, მგ/დლ	0.0108	0.926
12	Insulin IU/მლ	-0.0898	0.437
13	HOMA-B, %	-0.0226	0.845
14	HOMA-S, %	0.1863	0.105
15	HOMA-IR	-0.0574	0.620
16	რეზისტინი, ნგ/მლ	-0.3085	0.006
17	CRP მგ/დლ	0.0520	0.653

დიაგრამა 1. MMSE-შკალის ქულის კორელაცია MNA-SF-შკალის ქულასთან საკვლევ ჯგუფში



განხილვა. ასაკის მატებასთან ერთად მეტაბოლური დარღვევების პრევალენტობაც მატულობს. ეს დარღვევები, მათ შორის ვისცერული სიმსუქნე, დისლიპიდემია, ჰიპერტენზია და ირ, ერთობლივად ცნობილია, როგორც მეტაბოლური სინდრომი (MetS). MetS განიხილება, როგორც დაბალი ხარისხის, სისტემური, ანთებითი მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია ათეროსკლეროზის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და დიაბეტის გაზრდილ რისკთან [31]. დღეისთვის არსებულ ეპიდემიოლოგიურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ MetS და მისი ცალკეული კომპონენტები შესაძლოა დაკავშირებული იყოს ასაკთან დაკავშირებულ კოგნიტურ დისფუნქციასთან, სისხლძარღვოვანი დემენციისა და ალცჰეიმერის დაავადების განვითარების რისკთან. ცოტა ხნის წინ შემოთავაზებული იყო ტერმინი "მეტაბოლურ-კოგნიტური სინდრომი", ანუ MetS პლუს დეგენერაციული ან სისხლძარღვოვანი წარმოშობის კოგნიტური დისფუნქცია [32,33]. დაგროვილი მტკიცებულებებით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სიმსუქნე (განსაკუთრებით ცენტრალური ან ვისცერული სიმსუქნე) ხელს უწყობს ქრონიკულ ანთებას, რაც იწვევს ირ-ის განვითარებას და MetS-ს [34]. MetS-ის და მისი ცალკეული კომპონენტების (გლუკოზის ტოლერანტობის დარღვევა, ცენტრალური სიმსუქნე, ჰიპერტენზია, ჰიპერტრიგლიცერიდემია და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი) როლის შესწავლამ კოგნიტური დარღვევების განვითარებაში შეიძლება ახსნას პათოფიზიოლოგიური მოდელი, რომელშიც სიღრმისეულად შეისწავლის MetS და მისი კომპონენტების კავშირს დემენციასთან, ეს მოდელი ასევე გვთავაზობს MetS კომპონენტების და კოგნიტურ დისფუნქციაზე მათი ზეგავლენის შესაძლო ინტეგრირებულ ხედვას; შესაძლებელი ხდება ამ ფაქტორების როლის განსაზღვრა დემენციის განვითარებაში, მათ შორისაა მექანიზმები, რომლებიც ხსნის MetS-ის კომპონენტების ზეგავლენას β -ამილოიდური პეპტიდის მეტაბოლიზმზე და ტაუ ცილის ჰიპერფოსფორილირებაზე. MetS-ის ამ კომპონენტების მოდიფიკაციების, მათ შორის MetS-თან დაკავშირებული ანთების მარკერების, ასევე MetS-ის კომპონენტების კომორბიდული ასოციაციების მოქმედების მექანიზმების კვლევა, უზრუნველყოფს არა მხოლოდ დემენციის სხვადასხვა ფორმების პათოგენეზისა და კლინიკური მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის სრულყოფას, არამედ აინიცირებს ახალ სტრატეგიებს კოგნიტური დარღვევების მკურნალობისა და პრევენციისთვის.

მრავლობითი რეგრესიის ანალიზით ჩვენს მიერ ნანახი რისკ-ფაქტორები კვებითი სტატუსის შეფასების MNA-SF ქულის გარდა შესაძლოა დაკავშირებული იყოს MetS-თან [35]. დემენციის დროს მალნუტრიციის ფაქტორულ როლზე აღარ შევჩერდებით. ჩვენი კვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას სწორედ დემენციის რისკ-ჯგუფის განსაზღვრასა და პროგრესირების თავიდან აცილებაში.

დასკვნა. MMSE-შკალით შეფასებული დემენციის სიმძიმე სარწმუნოდ კორელირებდა ასაკის, სმი-ის, MNA-შკალით შეფასებული კვებით დარღვევებთან, სისხლში ტრიგლიცერიდების, HDL-ქოლესტერინისა და რეზისტინის დონეებთან. მაშასადამე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ დემენცია ასოცირებულია დარღვეულ მეტაბოლიზმთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Fostinelli S, De Amicis R, Leone A, Giustizieri V, et al. Eating Behavior in Aging and Dementia: The Need for a Comprehensive Assessment. *Front Nutr.* 2020; 7:604488. doi: 10.3389/fnut.2020.604488.
2. <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/dementia>
3. Lyketsos CG, Lopez O, Jones B, Fitzpatrick AL, Breitner J, DeKosky S. Prevalence of neuropsychiatric symptoms in dementia and mild cognitive impairment: results from the cardiovascular health study. *JAMA* 2002;288:1475–83. 10.1001/jama.288.12.1475.
4. Petersson SD, Philippou E. Mediterranean diet, cognitive function, and dementia: a systematic review of the evidence. *Adv Nutr.* 2016;7:889–904. 10.3945/an.116.012138.
5. Kivipelto M, Mangialasche F, Ngandu T. Lifestyle interventions to prevent cognitive impairment, dementia and Alzheimer disease. *Nat Rev Neurol.* 2018;14:653–66. 10.1038/s41582-018-0070-3.
6. Lehtisalo J, Levälähti E, Lindström J, Hänninen T, et al. Dietary changes and cognition over 2 years within a multidomain intervention trial-the finnish geriatric intervention study to prevent cognitive impairment and disability (FINGER). *Alzheimers Dement.* 2019;15:410–7. 10.1016/j.jalz.2018.10.001.
7. Marijn Stok F, Renner B, Allan J, Boeing H, et al. dietary behavior: an interdisciplinary conceptual analysis and taxonomy. *Front Psychol.* 2018;9:1689. 10.3389/fpsyg.2018.01689.
8. LaCaille L. Eating behavior. In: Gellman MD, Turner JR, editors. *Encyclopedia of Behavioral Medicine.* New York, NY: Springer New York; 2013. p. 641–642.
9. Yannakoulia M, Mamalaki E, Anastasiou CA, et al. Eating habits and behaviors of older people: where are we now and where should we go? *Maturitas* 2018;114:14–21. 10.1016/j.maturitas.2018.05.001.
10. Bales CW, Ritchie CS. Sarcopenia, weight loss, and nutritional frailty in the elderly. *Annu Rev Nutr.* 2002;22:309–23. 10.1146/annurev.nutr.22.010402.102715.
11. Ikeda M, Brown J, Holland AJ, Fukuhara R, Hodges JR. Changes in appetite, food preference, and eating habits in frontotemporal dementia and Alzheimer's disease. *J Neurol Neurosurg Psychiatr* 2002;73:371–6. 10.1136/jnnp.73.4.371.
12. Soto M, Andrieu S, Gares V, Cesari M, Gillette-Guyonnet S, Cantet C, et al. Living alone with alzheimer's disease and the risk of adverse outcomes: results from the plan de Soins et d'Aide dans la maladie d'Alzheimer study. *J Am Geriatr Soc.* 2015;63:651–8. 10.1111/jgs.13347.
13. White H, Pieper C, Schmader K. The association of weight change in Alzheimer's disease with severity of disease and mortality: a longitudinal analysis. *J Am Geriatr Soc.* 1998;46:1223–7. 10.1111/j.1532-5415.1998.tb04537.x.
14. Gillette-Guyonnet S, Nourhashemi F, Andrieu S, de Glisezinski I, Ousset PJ, Riviere D, et al. Weight loss in Alzheimer disease. *Am J Clin Nutr.* 2000;71:637S–42S. 10.1093/ajcn/71.2.637s.
15. Craig D, Mirakhor A, Hart DJ, McIlroy SP, Passmore AP. A cross-sectional study of neuropsychiatric symptoms in 435 patients with Alzheimer's disease. *Am J Geriatr Psychiatry* 2005;13:460–8. 10.1097/00019442-200506000-00004.
16. Maurer K, Volk S, Gerbaldo H, Auguste D and Alzheimer's disease. *Lancet* 1997; 349:1546–9. 10.1016/S0140-6736(96)10203-8.
17. Vercruysse P, Vieau D, et al. Hypothalamic alterations in neurodegenerative diseases and their relation to abnormal energy metabolism. *Front Mol Neurosci.* 2018;11:2. 10.3389/fnmol.2018.00002.

18. Hu X, Okamura N, Arai H, Higuchi M, Maruyama M, Itoh M, et al. Neuroanatomical correlates of low body weight in Alzheimer's disease: a PET study. *Prog Neuropsychopharmacol Biol Psychiatry*. 2002;26:1285–9. 10.1016/S0278-5846(02)00291-9.
19. Grundman M, Corey-Bloom J, et al. Low body weight in Alzheimer's disease is associated with mesial temporal cortex atrophy. *Neurology* 1996;46:1585–91. 10.1212/WNL.46.6.1585.
20. Power DA, Noel J, Collins R, O'Neill D. Circulating leptin levels and weight loss in Alzheimer's disease patients. *Dement Geriatr Cogn Disord*. 2001;12:167–70. 10.1159/000051252.
21. Holscher C. Insulin signaling impairment in the brain as a risk factor in Alzheimer's disease. *Front Aging Neurosci*. 2019;11:88. 10.3389/fnagi.2019.00088.
22. Hiller AJ, Ishii M. Disorders of body weight, sleep and circadian rhythm as manifestations of hypothalamic dysfunction in Alzheimer's disease. *Front Cell Neurosci*. 2018;12:471. 10.3389/fncel.2018.00471.
23. Boccardi V, Ruggiero C, Patrìti A, Marano L. Diagnostic Assessment and Management of Dysphagia in Patients with Alzheimer's Disease. *J Alzheimers Dis*. 2016;50(4):947–55. doi: 10.3233/JAD-150931.
24. Alagiakrishnan K, Bhanji RA, Kurian M. Evaluation and management of oropharyngeal dysphagia in different types of dementia: a systematic review. *Arch Gerontol Geriatr*. 2013;56(1):1–9. doi: 10.1016/j.archger.2012.04.011.
25. Y. Malekizadeh, A. Holiday, D. Redfearn, J. Ainge, G. Doherty, J. Harvey, A leptin fragment mirrors the cognitive enhancing and neuroprotective actions of leptin. *Cereb. Cortex* 2016;27(10):4769–4782.
26. W. Hu, D. Holtzman, et al, Alzheimer's disease Neuroimaging Initiative, 2012. Plasma multianalyte profiling in mild cognitive impairment and Alzheimer's disease, *Neurology* 2012;79:897–905.
27. S. Walter, M. Letiembre, Y. Liu, et al, Role of the toll-like receptor 4 in neuroinflammation in Alzheimer's disease. *Cell, Physiol. Biochem* 2007;20:947–956.
28. M. Kizilerslanoglu, O. Kara, Y. Yeşil, et al, Alzheimer disease, inflammation, and novel inflammatory marker: resistin, *Turkish J. Med. Sci*. 2015;45:1040–1046.
29. Ismail Z, Rajji TK, Shulman KI. Brief cognitive screening instruments: an update. *Int J Geriatr Psychiatry*. 2010;25:111–120.
30. Kaiser MJ, Bauer JM, et al. Validation of the Mini Nutritional Assessment Short-Form (MNA®-SF): A practical tool for identification of nutritional status. *J Nutr Health Aging*. 2009;13:782–788.
31. Grundy SM, Cleeman JI, Daniels SR, et al. Diagnosis and management of the metabolic syndrome: an American Heart Association/National Heart, Lung, and Blood Institute Scientific Statement. *Circulation*. 2005; 112(17):2735–2752.
32. Feldman EL, Callaghan BC, et al. Diabetic neuropathy. *Nat Rev Dis Primers*. 2019;5(1): 41.
33. Ding X, Fang C, Li X, et al. Type 1 diabetes-associated cognitive impairment and diabetic peripheral neuropathy in Chinese adults: results from a prospective cross-sectional study. *BMC Endocr Disord*. 2019; 19(1):34.
34. Arnold SE, Arvanitakis Z, Macauley-Rambach SL, et al. Brain insulin resistance in type 2 diabetes and Alzheimer disease: concepts and conundrums. *Nat Rev Neurol*. 2018; 14(3):168–181.

*თამარ ლაბაშვილი, ვერა კაპეტიაძე, თეიმურაზ სილაგაძე,
გვიად მალლაფერიძე, ირინა კაპეტიაძე*

**მინი-მენტალური მდგომარეობის კვლევით შეფასებული დემენციის სიმძიმის
მეტაბოლური კორელატები**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მინი-მენტალური მდგომარეობის კვლევით (Mini-Mental State Examination - MMSE) შეფასებული დემენციის მეტაბოლური კორელატების იდენტიფიცირება დემენციისა და კვებითი დარღვევების მქონე პაციენტებში.

კვლევის მეთოდები. ჯვარედინ-სექციური დაკვირვებადი კვლევა ჩატარდა 2020-2023 წწ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და კლინიკაში „პალმედი“. საკვლევი ჯგუფი შეადგინა დემენციის მქონე 77 პაციენტმა (18 მამაკაცი, 59 ქალი; საშ. ასაკი - 78.0 ± 11.1 წ.). დემენცია

შეფასდა MMSE-ით, ხოლო კვებითი დარღვევები მინინუტრიციული შეფასების (Mini Nutritional Assessment - MNA) შკალით. სისხლის შრატში გაზომილ და გაანალიზებულ იქნა რეზისტინის, უზმოდ გლიკემიისა და ინსულინის, C-პეპტიდის, ლიპიდური მეტაბოლიზმის პარამეტრების - საერთო ქოლესტერინის (TC), ტრიგლიცერიდების (TG), HDL-, LDL- და VLDL-ქოლესტერინის დონეები. გაზომილ და გამოთვლილ იქნა სმი და წელის გარშემოწერილობა. კორელაციური კავშირები შეფასდა პირსონის კოეფიციენტით (r).

კვლევის შედეგები. MMSE-შკალის ქულა სარწმუნოდ დადებითად კორელირებდა MNA-შკალის ქულასთან ($r=0.605$, $p<0.001$), HDL-ქოლესტერინის დონესა ($r=0.237$, $p=0.038$) და სმი-სთან ($r=0.258$, $p=0.023$). MMSE-შკალის ქულა სარწმუნო უარყოფით კორელაციას ავლენდა ასაკთან ($r=-0.264$, $p=0.020$), ტრიგლიცერიდებისა ($r=-0.311$, $p=0.006$) და რეზისტინის დონეებთან ($r=-0.309$, $p=0.006$). MMSE-შკალის ქულის კორელაცია სხვა პარამეტრებთან ვერ იქნა ნანახი.

დასკვნა. MMSE-შკალით შეფასებული დემენციის სიმძიმე სარწმუნოდ კორელირებდა ასაკის, სმი-ის, MNA-შკალით შეფასებული კვებით დარღვევებთან, სისხლში ტრიგლიცერიდების, HDL-ქოლესტერინისა და რეზისტინის დონეებთან. მაშასადამე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ დემენცია ასოცირებულია დარღვეულ მეტაბოლიზმთან.



ნინო ოზბეტელაშვილი, სოფიო კალმახელიძე
3D ბიოპრინტიგის და ქსოვილების ინჟინერია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,

ფიზიკის, ბიოფიზიკის, ბიომექანიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.13>

NINO OZBETELASHVILI, SOPHIO KALMAKHELIDZE

3D BIOPRINTING AND TISSUE ENGINEERING

Tbilisi State Medical University, Georgia

SUMMARY

Over the past decade, 3D bioengineering has made significant progress and has become one of the most important and promising fields in modern bioengineering and medicine. This technology is driving revolutionary changes and creating new opportunities for organ transplantation, regenerative medicine, and pharmaceutical research, thus transforming traditional medical practices. The article reviews bioprinting technologies, bioinks and their characteristics, as well as the three main stages of bioprinting: pre-bioprinting, bioprinting, and post-bioprinting. Bioprinted tissues, including skin, bone, cartilage, blood vessels, liver tissue, heart, and intestinal tract, are discussed. In conclusion, the article highlights the potential use of bioprinting in the medical field, including regenerative medicine and personalized therapy. This innovative approach is no longer science fiction but is already changing the paradigm of modern medicine, potentially shaping the future of healthcare.

Keywords: 3D, bioprinting, tissue, engineering

მოცემული მიმოხილვითი სტატია მიზნად ისახავს ბიოპრინტიგის ტექნოლოგიების დეტალურ ანალიზს, მათ შორის, ბიომეცნიერების მახასიათებლებისა და 3D ბიოპრინტიგის საფეხურების შესწავლით. კვლევის მიზანს ასევე წარმოადგენს ამ მეთოდის პოტენციალის შესწავლა სამედიცინო სფეროში, ქსოვილების ინჟინერიის, ორგანოების რეპლიკაციისა და ალდგენის პროცესებში.

შესავალი - 3D ბიოპრინტიგის წარმოადგენს ბიოსამედიცინო სტრუქტურების ბეჭდვის თანამედროვე მეთოდს, რომელიც იყენებს სიცოცხლისუნარიან უჯრედებს, ბიოლოგიურ

მოლეკულებსა და ბიომასალებს. ტექნოლოგიის არსი მდგომარეობს ბიოლოგიური მასალის ფენა-ფენად დეპონირებაში, რათა მიღებულ იქნას სასურველი სივრცითი (3D) სტრუქტურა — ქსოვილი, ორგანო ან ორგანოიდი. ორგანოიდები იქმნება პლურიპოტენტური (PSCs) ან ზრდასრული (AdSCs) ღეროვანი უჯრედებისგან, ამიტომ მათ შეუძლიათ ორგანიზმის მსგავსად თვითფორმირება [1].

3D ბიობეჭდვა მიზნად ისახავს ისეთი ცოცხალი სამგანზომილებიანი სტრუქტურების შექმნას, რომლებიც არა მხოლოდ ანატომიური ფორმით, არამედ ფუნქციური თვალსაზრისითაც მაქსიმალურად მიუახლოვდება ბუნებრივ ქსოვილებს. აღნიშნული ტექნოლოგია არსებითად განსხვავდება კლასიკური 3D ბეჭდვისგან, ვინაიდან უჯრედულ სტრუქტურებთან მუშაობა მოითხოვს მეტ სიფრთხილესა და ბიოქიმიურ კომპონენტებთან ზუსტ ინტეგრაციას, კერძოდ, მნიშვნელოვანია უჯრედების ზრდა, გაყოფა და გამხსნელების ციტოტოქსიური აქტივობისგან დაცვის უზრუნველყოფა. ბიოპრინტიგის განვითარებასთან ერთად გაჩნდა უფრო დახვეწილი მიდგომები, როგორიცაა ორგანოიდული ბეჭდვის ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევა მივიღოთ არა მხოლოდ ცალკეული ქსოვილები, არამედ ფუნქციური მიკროორგანოები. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ამ ტექნოლოგიების ძირითადი ტიპები და მათი მახასიათებლები [1,2].

ცხრილი 1. ბიობეჭდვის ტიპები


	ჯავლური ბიობეჭდვა	ლაზერული დახმარებით ბიობეჭდვა	ექსტრუზიზმე დაფუძნებული ბიობეჭდვა	ფოტო-სამკურნალო ბიობეჭდვა
ღირებულება	დაბალი	მაღალი	საშუალო	დაბალი
სიჩქარე	სწრაფი	საშუალო	ნელი	სწრაფი
მახასიათებლები	• პიეზოელექტრული ან თერმოლინამიკური საქმენები • შეიძლება აღჭურვილი იყოს მრავალი საქმენით • მოითხოვს დაბეჭდილი ბიომასალის თხევად ფორმაში ყოფნას	• უჯრედის/ბიომასალის საქმენი არ იკეტება • არ იწვევს უჯრედების მექანიკურ დაზიანებას, რითაც იზრდება უჯრედების გადარჩენის მაჩვენებლები (როგორც წესი, 95%-ზე მეტი). • მრავალჯერადი ბიომასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას მაღალი სიბლანტის ბიოინკის დასაბეჭდად	• დასაბეჭდი მაღალი სიბლანტის ბიომასალები • დასაბეჭდი ბიოთავსებადი მასალების ფართო სპექტრი • ყველაზე ხშირად გამოყენებადი	• ბიოინკის შერჩევითი ჯვარედინი კავშირი მსუბუქი და ფენა-ფენა გამაგრების გამოყენებით, 3D სტრუქტურის შექმნა • მაღალი ეფექტურობა • მარტივი მონყობილობა • მარტივად კონტროლებადი

3D ბიობეჭდვა შეუძლებელია შესაბამისი მასალების გარეშე. ბიობეჭდვის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ბიომასალებზე, რომლებიც გამოიყენება ბეჭდვის პროცესში. მნიშვნელოვანია ისეთი მასალების მოძიება, რომლებიც არა მხოლოდ ტექნიკურად ეფექტური, არამედ ბიოლოგიურად თავსებადიც იქნება. ბიომეღონები (bioinks) ასრულებენ მნიშვნელოვან როლს, რადგან ისინი ქმნიან ბიოლოგიურად აქტიურ გარემოს, რომელიც განსაზღვრავს

დაბეჭდილი სტრუქტურის მექანიკურ, ბიოქიმიურ და ბიოლოგიურ თვისებებს. ეფექტური ბიომელანი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- **სიმტკიცე და გამძლეობა** - გამოყენებულ ბიომელანს უნდა შეეძლოს, რომ უზრუნველყოს ადეკვატური მექანიკური სიმტკიცე და გამძლეობა, და ქსოვილების კონსტრუქციის შენარჩუნება.
- **რეგულირებადი გელაცია და სტაბილურობა** - უნდა ჰქონდეთ რეგულირებადი გელაცია და სტაბილიზაცია, რათა შეინარჩუნოს ფორმა ბიობეჭდვის პროცესში.
- **ბიოთავსებადობა**: ბიომელანი არ უნდა იწვევდეს იმუნურ პასუხს და უნდა ინტეგრირდებოდეს ქსოვილის ბუნებრივ მიკროგარემოსთან;
- **ბიოდეგრადირებადობა**: განიცადოს ბიოდეგრადირება ქსოვილის ბუნებრივი მიკროგარემოს მიხედვით, ჩანაცვლდეს ბუნებრივი უჯრედგარეთა მატრიქსით [2].

ბიომელნების სწორად შერჩევა და მათი ფიზიკურ-ქიმიური ოპტიმიზაცია ბიოპრინტირების პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს. მათი ბიოთავსებადობა, სტრუქტურული მდგრადობა და ბეჭდვისუნარიანობა განსაზღვრავს დაბეჭდილი ქსოვილის სიცოცხლისუნარიანობასა და ფუნქციონირებას. სწორედ ამ პარამეტრების დაბალანსება ქმნის მყარ საფუძველს წარმატებული ბიობეჭდვისთვის. მას შემდეგ, რაც ბიომელნების შემადგენლობა და თვისებები განსაზღვრულია, იწყება ბიოპრინტირების პროცესი, რომელიც სამ მთავარ ეტაპად იყოფა: პრებიობეჭდვა, ბიობეჭდვა და პოსტბიობეჭდვა [2]. თითოეულ ამ საფეხურზე უმნიშვნელოვანესია როგორც ტექნოლოგიური, ისე ბიოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება, რაც დაბეჭდილი ქსოვილის საბოლოო ხარისხსა და კლინიკურ პოტენციალს განსაზღვრავს.



1. პრებიობეჭდვა

პრებიობეჭდვის პირველი ნაბიჯი არის მოდელის ფორმირება, რომელსაც იყენებს პრინტერი, პროცესის დროს გამოსაყენებელი მასალების არჩევა და ციფრული მოდელის შექმნა. ამ ეტაპზე გამოიყენება ისეთი ტექნოლოგიები, როგორიცაა კომპიუტერული ტომოგრაფია (CT) ან მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია (MRI). ამ მეთოდებით მიღებული სურათების საფუძველზე სპეციალური კომპიუტერული პროგრამების (მაგ. CAD-ზე დაფუძნებული სისტემების) გამოყენებით იქმნება სამგანზომილებიანი სტრუქტურის ზუსტი მოდელი. შემდეგ ხდება პროცესისთვის აუცილებელი უჯრედების შერჩევა და გამრავლება. უჯრედები შერეულია ბიომასალასთან, რათა შეიქმნას ბიომელანი, რომელიც ოპტიმიზებულია ბეჭდვისთვის. ეს ბიომელანი აუცილებელია იმისთვის, რომ პროცესი იყოს წარმატებული და ზუსტად შეიქმნას სასურველი ქსოვილი [2,3,4].

2. ბიობეჭდვა

მეორე ნაბიჯი არის ფაქტობრივი ბეჭდვის პროცესი, სადაც ბიომელანი მოთავსებულია პრინტერში 3D სტრუქტურის შესაქმნელად. უჯრედების, საკვები ნივთიერებებისა და მატრიქსის ნაზავი, რომელიც ერთად ქმნის ბიომელანს, მოთავსებულია პრინტერის კატრიჯზე, რომელიც შემდეგ დეპონირებს მასალას მომზადებული ციფრული მოდელის საფუძველზე. ბეჭდვისას ბიომელანი ფენა-ფენად ინიშნება სპეციალურ სუბსტრატზე, განსაზღვრული გეომეტრიისა და სიზუსტის შესაბამისად. პროცესი მიმდინარეობს სტერილურ პირობებში, სტაბილური ტემპერატურის, pH-სა და ტენიანობის კონტროლის ქვეშ [2,5]. ბიობეჭდვის ეს ეტაპი რთული პროცესია, რადგან ის მოითხოვს სხვადასხვა ტიპის უჯრედების ფორმირებას, ქსოვილებისა და ორგანოების ტიპზე დაყრდნობით.

3. პოსტბიობეჭდვა

პოსტბიობეჭდვა ბიობეჭდვის პროცესის ბოლო ეტაპია, რაც მნიშვნელოვანია დაბეჭდილი სტრუქტურის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ბიოლოგიური ნივთიერების სტრუქტურისა და ფუნქციის შესანარჩუნებლად საჭიროა ფიზიკური და ქიმიური სტიმულაცია. შესაძლებელია დამატებითი ზრდის ფაქტორების ან ბიოაქტიური ნივთიერებების შეტანა სტრუქტურის განვითარების ან ფუნქციის გაუმჯობესების მიზნით [2,5].

ამ ეტაპების ზუსტი განხორციელება საბოლოოდ გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას - სიცოცხლისთვის აუცილებელი ქსოვილების შექმნას. ბიოპრინტირებული ქსოვილები არა მხოლოდ მოლეკულურ დონეზე იმეორებენ ბუნებრივ სტრუქტურებს, არამედ ფუნქციურადაც ასრულებენ მათ როლს. სწორედ ეს ტექნოლოგიური მიღწევა ხსნის გზას სამედიცინო ინოვაციებისთვის, სადაც ბიოლოგიურად თავსებადი, სრულად ინდივიდუალიზირებული ქსოვილები პაციენტების საჭიროებებს ერგება. ბიობეჭდვის შედეგად შესაძლებელია ისეთი ქსოვილების მიღება, როგორიც არის:

- **კანი** - ბიოპრინტირებული კანის გამოყენება კრიტიკულად მნიშვნელოვანია დამწვრობებისა და ჭრილობების სამკურნალოდ [2].
- **ძვლები და ხრტილი** - ეს ქსოვილები განსაკუთრებით პერსპექტიულია ორთოპედიულ და ტრავმატოლოგიურ მედიცინაში [2].
- **სისხლძარღვები** - სისხლის მიმოქცევის სისტემის ბიოპრინტირება ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა რეგენერაციულ მედიცინაში. ბიოპრინტირების ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება სისხლძარღვთა ბიოპრინტირებისთვის ეს არის: ექსტრუზიის და ლაზერის დახმარებით ბიობეჭდვა [2].
- **ღვიძლის ქსოვილი** - მისი ბიობეჭდვა ნაკლებად გავრცელებულია, რადგან ღვიძლის უჯრედებს აქვთ ძლიერი რეგენერაციის უნარი, მაგრამ ბიობეჭდვისთვის გამოყენებულ უჯრედებს მიეკუთვნება: პირველადი ჰეპატოციტები და ღეროვანი უჯრედებიდან მიღებული ჰეპატოციტები. 3D ბეჭდვის ტექნოლოგიას შეუძლია უზრუნველყოს ღვიძლის ზუსტი ზომა და ფორმა, რომელიც შესაფერისია პაციენტისთვის. ღვიძლის ნაწილობრივ რეგენერაციამ შესაძლოა მომავალში სრულფასოვანი ორგანოს ბიოპრინტირებამდე მიგვიყვანოს [1,2].
- **გული** - გულის სხვადასხვა ნაწილების აღდგენა (მაგალითად: მიოკარდიუმი, სარქველები, სისხლის მიმოქცევის არტერიები) შესაძლოა ბიოპრინტირების გამოყენებით, ასევე ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია გულის სარქველებისთვის, რაც ნაკლები რისკით და უფრო ბუნებრივი ფუნქციონირებით გამოირჩევა [1].
- **ნაწლავის ტრაქტი** - ბიოპრინტირების დახმარებით შესაძლებელია ნაწლავის ქსოვილების პრინტირება, რაც უფრო ზუსტ ფორმას და ფუნქციონირებას ანიჭებს ნაწლავს. ეს შესანიშნავი ალტერნატივაა ორგანოთა ჩანაცვლებისა და თერაპიული მკურნალობისთვის. ასევე ეს

მეთოდი გამოიყენება ნაწლავის ტრაქტის დაზიანებული ნაწილების აღდგენაში, მათ შორის პათოლოგიური ცვლილებებისას [1].

თუმცა, აღსანიშნავია ფაქტი, რომ ბიოპრინტიზი არ მოიცავს მხოლოდ ამ ქსოვილების ბეჭდვას, ის ასევე მოიცავს ისეთი ორგანოების ბეჭდვას, სადაც საჭიროა ზუსტი ფუნქციისა და სტრუქტურის აღდგენა. 3D ბეჭდვა აღრმავებს ცოდნას დაავადების სხვადასხვა მექანიზმების შესახებ და განსაზღვრავს სიცოცხლისუნარიანობას [6].

დასკვნა - 3D ბიობეჭდვა ბიოსამედიცინო სფეროში რევოლუციური ცვლილებების მომტანია. ბიოთავსებადი ნივთიერებებისა და უჯრედის დამხმარე კომპონენტების გამოყენებას აქვს იმედისმომცემი შედეგები ქსოვილთა ინჟინერიისა და რეგენერაციული მედიცინის განვითარებაში. ეს ტექნოლოგია ქმნის პერსპექტივას კიბოს მიკროგარემოს მოდელირების, ასევე მედიკამენტების თერაპიული და ტოქსიკოლოგიური ეფექტების შეფასებისთვის. აღნიშნული ტექნოლოგია ხელს უწყობს ინდივიდზე მორგებული სამკურნალო სტრატეგიების განვითარებას, ახალი სამეცნიერო კვლევების და ინოვაციების დანერგვას, რაც საბოლოოდ მედიცინის მომავალს ახალ პერსპექტივას სთავაზობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ya Ren, Xue Yang, Zhengjiang Ma, Xin Sun, Yuxin Zhang, Wentao Li, Han Yang, Lei Qiang, Zezheng Yang, Yihao Liu, Changxu Deng, Liang Zhou, Tianchang Wang, Jingsheng Lin, Tao Li, Tao Wu, Jinwu Wang. Developments and Opportunities for 3D Bioprinted Organoids – PubMed 2021 Jun 28; doi: 10.18063/ijb.v7i3.364.
2. Anupama Sapkota. 3D Bioprinting- Definition, Principle, Process, Types, Applications - August 3, 2023.
3. Zhu, W., Ma, X., Gou, M., Mei, D., Zhang, K., & Chen, S. (2020). *Current developments in 3D bioprinting for tissue and organ regeneration*. Frontiers in Mechanical Engineering, 6, 589171.
4. Tripathi, S., Mandal, S. S., Bauri, S., & Maiti, P. (2022). 3D bioprinting and its innovative approach for biomedical applications. *Materials and Components in 3D*, 6(1), 16-30. <https://doi.org/10.1002/mco2.194>
5. Sapkota, A. (2023). 3D Bioprinting: Definition, Principle, Process, Types, Applications. Journal of Bioprinting Research.
6. Swikriti Tripathi, Subham Shekhar Mandal, Sudepta Bauri, Pralay Maiti. 3D bioprinting and its innovative approach for biomedical applications - PubMed 2022 Dec 24; doi: 10.1002/mco2.194.

ნინო ოზბეთელაშვილი, სოფიო კალმახელიძე

3D ბიოპრინტიზი და ქსოვილების ინჟინერია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ფიზიკის, ბიოფიზიკის, ბიომექანიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

რეზიუმე

ბოლო ათწლეულის განმავლობაში 3D ბიოპრინტიზმა მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა და თანამედროვე ბიოინჟინერიისა და მედიცინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და პერსპექტიულ მიმართულებად იქცა. ეს ტექნოლოგია ახდენს რევოლუციურ ცვლილებებს და ახალ შესაძლებლობებს ქმნის ორგანოთა ტრანსპლანტაციის, რეგენერაციული მედიცინისა და ფარმაცევტული კვლევებისთვის, რითაც ტრადიციულ სამედიცინო მეთოდებს სრულად გარდაქმნის. სტატია მიმოიხილავს ბიოპრინტიზის ტექნოლოგიებს, ბიომეცნიერებსა და მათ მახასიათებლებს, ასევე ბიოპრინტიზის სამ ძირითად ეტაპს: პრებიოპეჭდვა, ბიოპეჭდვა და პოსტბიოპეჭდვა. განხილულია ბიოპრინტირებული ქსოვილები, მათ შორის კანი, ძვალი და ხრტილი, სისხლძარღვები, ღვიძლის ქსოვილი, გული და ნაწლავის ტრაქტი. დასასრულს,

ყურადღება გამახვილებულია ბიოპრინტიგის პოტენციურ გამოყენებაზე სამედიცინო სფეროში, მათ შორის, რეგენერაციულ მედიცინაში, პერსონალიზებულ თერაპიაში და ა.შ. ეს ინოვაციური მიდგომა არა მხოლოდ სამეცნიერო ფანტასტიკის ნაწილია, არამედ უკვე ცვლის თანამედროვე მედიცინის პარადიგმას, რაც შესაძლოა მომავალში ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისა და ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად იქცეს.



ვასილ კვერნაძე ¹, ბელა ყურაშვილი ¹, გიორგი მანაგაძე ²,
მარინა ციმაკურიძე ¹, მაია ციმაკურიძე ¹

შარდკენჭოვანი დაავადების შემთხვევათა ანალიზი საქართველოში

¹ოსსუ, კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის
დეპარტამენტი; ²ლ. მანაგაძის სახ. უროლოგიის ეროვნული ცენტრი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.14>

VASIL KVERNADZE ¹, BELA KURASHVILI ¹, GIORGI MANAGADZE ²,

MARINA TSIMAKURIDZE ¹, MAIA TSIMAKURIDZE ¹

ANALYSIS OF CASES OF UROLITHIASIS IN GEORGIA

¹TSMU, Department of Nutrition, Aging Medicine, Environmental and Occupational Health;

²L. Managadze National Centre of Urology

SUMMARY

The article presents data from the existing literature on the distribution of cases of urolithiasis. The characteristics of the distribution of urolithiasis cases in Georgia have been analyzed. It has been revealed that the incidence of urolithiasis in Georgia is characterized by an increasing trend. Cases of the disease occurred 2 times more often in men than in women. A peculiarity was identified in the distribution of the disease by region. In particular, cases were recorded more frequently in the Tbilisi region.

Keywords: urolithiasis, Georgia, cases

შარდკენჭოვანი დაავადება (შკდ), მოსახლეობაში ცნობილი როგორც „ქვები თირკმელებში“, ქრონიკული დაავადებაა, რომლის წარმოშობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მარილოვანი ნალექის წარმოქმნა და ჩალაგება კრისტალების სახით თირკმელებში, შარდის ბუშტში, საშარდე გზებში. შარდკენჭოვანი დაავადება ხშირად ვითარდება ცალმხრივად, ერთ თირკმელში [1,3].

შარდკენჭოვანი დაავადება პრაქტიკულად უსიმპტომოდ მიმდინარეობს, რაც ართულებს დაავადების აღრეულ დიაგნოსტიკას და პრევენციას. დაავადება თანაბარწილად უვითარდება ორივე სქესის წარმომადგენლებს ყველა ასაკში, მცირე უპირატესობით ხანდაზმულებში, რასაც ასაკობრივი თავისებურებები განაპირობებს [4,2,6].

კონკრემენტის წარმოქმნა თირკმელებში დაკავშირებულია მეტაბოლიზმის დარღვევებთან, ქრონიკულ დაავადებებთან (არტერიული ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი), გენეტიკური და გარე ფაქტორების ზემოქმედებასთან, კვებასთან [5,6].

უროლოთიაზის მაპროგნოზირებელი მიზეზებია:

- სასმელი წყლის მცირე რაოდენობით მოხმარება (ჯანმრთელმა ადამიანმა დღეში უნდა მიიღოს არანაკლებ 1.5 ლ წყალი); უროლოთიაზის დროს მოხმარებული წყლის რაოდენობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 2.5 ლ-ს დღე-ღამეში;

- ხისტი წყლის მოხმარება;
- საცხოვრებელი რეგიონის კლიმატური პირობები (ცხელი კლიმატი), რაც ზრდის დეჰიდრატაციის რისკს;
- კვების თავისებურებები (მათ შორის, არაჯანსაღი კვება): რაციონში ხორცის, შაქრის, მარილის - ჭარბი რაოდენობით, ხოლო ხილის და ბოსტნეულის მცირე რაოდენობით მოხმარება;
- დაბალი ფიზიკური აქტივობა;
- ზოგიერთი მედიკამენტის მოხმარება;
- სხეულის ჭარბი წონა და სიმსუქნე;
- პროფესიული საქმიანობა.

უროლოთიაზის კლასიფიკაცია ხდება ქვების შემადგენლობის და ლოკალიზაციის მიხედვით [4,3]. ქვების შემადგენლობის მიხედვით არჩევენ:

- ოქსალატები - ხშირად ვითარდება იმ ინდივიდებში, რომლებიც ნაკლებად მოიხმარენ სასმელ წყალს და ორგანიზმში ალკალიზება კალციუმის ნაკლებობა; ოქსალატები დაკბილულკიდებიანი წარმონაქმნებია და საშარდე სისტემაში „მოძრაობისას“ აზიანებს ლორწოვან გარსს;
- ურატები - მათი წარმოქმნა შეიძლება დაკავშირებული იყოს გენეტიკურ წინასწარგანწყობასთან; ასევე, ხორცის, ყველის და ღვინის ჭარბ მოხმარებასთან; ურატები რენტგენოლოგიურად არ გამოიხატება, ამიტომ მათ სადიაგნოსტიკოდ გამოიყენება ულტრაბგერით კვლევა;
- სტრუვიტული კრისტალები - განვითარებული საშარდე სისტემის ინფექციის ხელშეწყობით, ბაქტერიების ცხოველმყოფელობის შედეგად;
- ფოსფატები;
- შერეული კრისტალები - მაგ., ურატები-ოქსალატები.

ზომის მიხედვით განარჩევენ:

- მცირე, 5 მმ-მდე ზომის - ფიქსირდება ძირითადად შარდის ბუშტში და შარდსანვეთში;
- საშუალო - 5 მმ-დან 1 სანტიმეტრამდე ზომის - ლოკალიზდება თირკმელებში, თუმცა არ არღვევს მათ ფუნქციას;
- დიდი - 1 სმ და მეტი ზომის - ლოკალიზდება თირკმელებში და ხშირად არღვევს მათ ფუნქციას.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში შარდკენჭოვანი დაავადების განვითარების შემთხვევათა ანალიზი ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით. გაანალიზებული იქნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის და ლ. მანაგაძის სახ. უროლოგიის ეროვნული ცენტრის შპს „ლითოტრაპსიის“ დეპარტამენტის მონაცემები.

საქართველოში 2010-2016 წლებში რეგისტრირებული უროლოთიაზის შესახებ მონაცემები წარმოდგენილია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1. საქართველოში უროლოთიაზის შემთხვევების განაწილება 2010-2016 წ.წ.

წლები	შემთხვევათა რაოდენობა
2010	12 977
2011	13 362
2012	14 562
2013	14 963
2014	15 568
2015	30 181
2016	19 189

2017-2023 წ.წ. ჰოსპიტალიზებული შემთხვევების შესახებ მონაცემები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2. 2017 -2023 წ.წ. უროლოთიაზის დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შემთხვევების განაწილება

წლები	დიაგნოსტირებული შემთხვევების რაოდენობა -n	ჰოსპიტალიზებული შემთხვევები n/%
2017	19 388	1520/7.8
2018	37 517	2 552/6.8
2019	30 828	2 827/9.2
2020	13 329	2 351/17.6
2021	23 305	8 286/35.6
2022	12 134	1 161/9.6
2023	13 197	1 296/9.8

პირველ და მეორე ცხრილებში წარმოდგენილი მონაცემები მიუთითებენ შარდკენჭოვანი დაავადების შემთხვევათა ზრდის ტენდენციაზე.

ლ. მანაგაძის სახ. უროლოგიის ცენტრის შპს „ლითოტრიპსიის“ დეპარტამენტის მონაცემები წარმოდგენილია მე-3 ცხრილში და მიუთითებს შარდკენჭოვანი დაავადების შემთხვევათა ზრდის ტენდენციაზე.

ცხრილი 3. „ლითოტრიპსიის“ დეპარტამენტში ნამკურნალები შარდკენჭოვანი დაავადების შემთხვევათა განაწილება 2013-2024 წ.წ. სქესის მიხედვით

წლები	შემთხვევათა რაოდენობა	ქალი n/%	კაცი n/%
2013	877	301/34.32	576/65.68
2014	1128	424/37.59	704/62.41
2015	1222	467/38.22	755/61.78
2016	1258	504/40.06	754/59.94
2017	1169	441/37.72	728/62.28
2018	1098	358/32.6	740/67.4
2019	1126	369/32.77	575/67.23
2020	982	303/30.86	679/69.14
2021	1212	387/31.93	825/68.07
2022	1161	330/28.42	831/71.58
2023	1293	421/32.56	872/67.44
2024	1378	455/33.02	923/66.98

შემთხვევათა ყველაზე მეტი რაოდენობა აღირიცხა 2024 წელს - 1378, ყველაზე ნაკლები - 2013 (877). დაავადება ყველაზე ხშირად ვითარდებოდა კაცებში და თითქმის ორჯერ (1.88) აღემატებოდა დაავადების განვითარების სიხშირეს ქალებში.

„ლითოტრიპსიის“ დეპარტამენტში 2013-2024 წ.წ. შემოსულ პაციენტთა დაავადების შემთხვევათა ასაკობრივი განაწილება წარმოდგენილია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4. დაავადების შემთხვევათა ასაკობრივი განაწილება

წლები/სულ	18-29 წ.წ. n/%	30-39 წ.წ. n/%	40-59 წ.წ. n/%	60-74 წ.წ. n/%	>74 წ. n/%
2013/742	183/24.66	178/23.99	242/32.61	118/15.90	21/2.83
2014/983	203/20.65	227/23.09	364/37.03	169/17.19	20/2.03
2015/1146	240/20.94	243/21.20	416/36.30	204/17.80	43/3.75
2016/1236	266/21.52	245/19.82	458/37.06	216/17.48	51/4.13
2017/1269	230/18.12	259/20.41	522/41.13	207/16.31	51/4.02
2018/1098	204/18.58	262/23.86	384/34.97	206/18.76	42/3.83
2019/1126	213/18.92	239/21.23	390/34.64	243/21.58	41/3.64
2020/963	189/19.63	218/22.64	355/36.86	165/17.13	36/3.74
2021/1193	207/17.35	279/23.39	439/36.79	230/19.28	38/3.19
2022/1139	262/23.00	242/21.25	408/35.82	184/16.15	43/3.78
2023/1239	258/20.82	244/19.69	439/35.43	250/20.18	48/3.87
2024/1330	273/20.53	297/22.33	441/33.16	269/20.23	50/3.76

ასაკობრივ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა: ჯამურად, 2013-2024 წ.წ.-ში შემთხვევათა ყველაზე მეტი რიცხვი აღინიშნა 40-59 წ.წ. ასაკობრივ ჯგუფში (4858), ხოლო ყველაზე ნაკლები - 74 წ-ზე მეტ ასაკობრივ ჯგუფში (482). 40-59 წ.წ. ასაკობრივ ჯგუფში დადგინდა თითქმის ორჯერ (1.97) მეტი შემთხვევა, ვიდრე 60-74 წ.წ. ასაკობრივ ჯგუფში.

მე-5 ცხრილში წარმოდგენილია უროლითიაზის შემთხვევების განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით.

ცხრილი 5. უროლითიაზის შემთხვევების განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით (2013-2024 წ.წ.)

რეგიონი	2013 n/%	2014 n/%	2015 n/%	2016 n/%	2017 n/%	2018 n/%	2019 n/%	2020 n/%	2021 n/%	2022 n/%	2023 n/%	2024 n/%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	39/ 4.4	70/ 6.20	59/ 5.25	64/ 5.09	60/ 5.13	63/ 7.74	71/ 6.31	36/ 3.66	63/ 5.20	74/ 6.37	61/ 4.72	80/ 5.80
კახეთი	80/ 9.1	85/ 7.53	76/ 6.22	82/ 6.52	89/ 7.61	84/ 7.65	85/ 7.55	79/ 8.04	82/ 6.77	90/ 7.75	101/ 7.81	92/ 7.68
აჭარა	34/ 3.87	37/ 3.28	41/ 3.35	44/ 3.50	39/ 3.34	35/ 3.19	36/ 3.20	40/ 4.07	37/ 3.05	38/ 3.27	51/ 3.94	61/ 4.42
თბილისი	419/ 47.77	494/ 43.79	624/ 51.06	588/ 46.74	550/ 47.05	545/ 49.64	596/ 52.93	513/ 51.40	613/ 50.58	596/ 51.34	634/ 49.03	728/ 52.83
იმერეთი	62/ 7.07	100/ 8.87	139/ 11.37	131/ 10.41	108/ 9.023	84/ 7.65	98/ 8.70	83/ 8.45	129/ 10.64	101/ 8.70	144/ 11.14	137/ 9.94
ქვემო ქართლი	122/ 13.99	146/ 12.94	125/ 10.23	139/ 11.05	137/ 11.72	109/ 9.93	121/ 10.75	118/ 12.02	143/ 11.80	119/ 10.25	141/ 10.90	146/ 10.60
შიდა ქართლი	40/ 4.56	42/ 3.72	63/ 5.16	65/ 5.17	58/ 4.96	60/ 5.46	61/ 5.42	57/ 5.80	70/ 5.78	79/ 6.80	82/ 6.03	75/ 5.44
სამცხე-ჯავახეთი	17/ 1.93	21/ 1.86	37/ 3.08	39/ 3.10	25/ 2.14	30/ 2.73	21/ 1.87	19/ 1.93	30/ 2.47	28/ 2.41	31/ 2.40	34/ 2.47
რაჭა-ლეჩხუმი	6/ 0.68	5/ 0.44	2/ 0.16	9/ 0.72	8/ 0.68	7/ 0.64	10/ 0.89	9/ 0.92	9/ 0.74	4/ 0.34	11/ 0.85	8/ 0.58
მცხეთა-მთიანეთი	21/ 2.37	20/ 1.77	13/ 1.06	18/ 1.43	27/ 2.31	24/ 2.18	22/ 1.95	17/ 1.71	23/ 1.90	19/ 1.64	27/ 2.08	21/ 1.52

2013-2024 წ.წ., ჯამურად, ყველაზე მეტი შემთხვევა დადგინდა თბილისში. ამასთან, საქართველოს ყველა რეგიონში, მცხეთა-მთიანეთის გარდა, აღინიშნებოდა შემთხვევათა ზრდის ტენდენცია, ზოგჯერ - მნიშვნელოვანი. კერძოდ, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 2.1-ჯერ, აჭარაში და შიდა ქართლში შემთხვევები გაიზარდა 1.8-ჯერ, თბილისში - 1.7-ჯერ.

განალიზებული იქნა 2013-2024 წ.წ. პაციენტებში თანმხლებ დაავადებათა შემთხვევათა მონაცემები. გამოვლინდა, რომ აღნიშნულ წლებში დარეგისტრირებულ ავადმყოფთა შორის არტერიული ჰიპერტენზიის ყველაზე მეტი შემთხვევა (152) აღინიშნებოდა 2024 წელს, ყველაზე დაბალი - 2013 წელს (86); გულის იშემიური დაავადების შემთხვევები იყო 2024 წელს - 98, ყველაზე დაბალი - 2013 წელს - 76; შაქრიანი დიაბეტის, შესაბამისად, 2024 წელს - 84 და 2013 წელს - 55; C-ჰეპატიტის, შესაბამისად, 2023 წელს - 40 და 2016 წელს - 10; ჰიპოთირეოზის - 2023 წ. - 23 და 2015 წ. - 8; პოდაგრა, შესაბამისად, 2024 წ. - 11 და 2020 წ. - 1; თირკმელების ტუბერკულოზის 3 შემთხვევა დადგინდა 2020 წელს.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შარდკენჭოვანი დაავადების შემთხვევები საქართველოში ხასიათდება ზრდის ტენდენციით. დაავადების შემთხვევები ორჯერ უფრო ხშირად გვხვდებოდა კაცებში, ქალებთან შედარებით.

გამოიკვეთა შემთხვევათა განაწილების თავისებურება რეგიონების მიხედვით. კერძოდ, ყველაზე მეტი შემთხვევა დადგინდა თბილისში, ხოლო შემთხვევათა მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია გამოვლინდა სამეგრელო-ზემო სვანეთში. პათოგენეზური პრევენციის თვალთახედვით, მნიშვნელოვანია დაავადების მაპროვოცირებელი ფაქტორების სიღრმისეული შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც შემდგომი კვლევის საგნად მიგვაჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Doriads Medical Dictionary. Kidney stone, 2012
2. Harrison M., Abrams M., Maxwell V.M., Marshall L. et al., Urinary Stone Inhibitors. in the book: Urinary stone diseases. New Jersey, 2007, p. 157-175
3. Khan S.R., Pearle M.S., Robertson W.G., Gambaro G. et al. Kidney Stones. Nat. Rev. Dis. Primers, 2016 (z): 16008
4. Mohelli N., Risk factors for urolithiasis. Ther Umsch., 2021, 78(5): 223-227
5. Prezioso D., Julliano E., Piccinocchi G., Gicelli C. et al., Urolithiasis in Italy an Epidemiological study., 2014. 86(2): 99-102
6. Sorokin I., Mamoulakis C., Miyazawa K., Rodgers A. et al. Epidemiology of stone diseases across the World. World Journ., 2017; 35 (9):1301-1320

ვასილ კვერნაძე ¹, ბელა ყურაშვილი ¹, გიორგი მანგაძე ²,
მარინა ციმაკურიძე ¹, მაია ციმაკურიძე ¹

შარდკენჭოვანი დაავადების შემთხვევათა ანალიზი საქართველოში

¹თსუ, კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტი; ²ლ. მანგაძის სახ. უროლოგიის ეროვნული ცენტრი

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია საქართველოში შარდკენჭოვანი დაავადების შემთხვევათა განაწილების შესახებ არსებული მონაცემები. განალიზებულია შარდკენჭოვანი დაავადების შემთხვევათა განაწილების თავისებურებები. გამოვლენილია, რომ შარდკენჭოვანი დაავადების შემთხვევები საქართველოში ხასიათდება ზრდის ტენდენციით. დაავადების შემთხვევები ორჯერ ხშირად ვითარდებოდა კაცებში, ქალებთან შედარებით. გამოიკვეთა თავისებურება რეგიონების მიხედვით დაავადების განაწილებაში. კერძოდ, შემთხვევები უფრო ხშირად აღირიცხა თბილისის რეგიონში.

DAVID TABUKASHVILI¹, VERA KAPETIVADZE¹, ZVIAD MAGLAPHERIDZE¹,
TAMAR LAZASHVILI¹, DAVID TANANASHVILI²

პორტული ტრაქტის ბილიოვასკულარულ ელემენტთა სტრუქტურების ერთმანეთთან დაკავშირება ხორციელდება ფაშარი შემავრთებელქსოვილოვანი სივრცეებით, რომლებიც ავსებენ მათ შორის ზონებს [3]. ნაღვლის სადინართა ფიბროზული საფარველი, განსხვავებით არტერიათა და ვენათა ფიბროზული ბუდეებისაგან, ლატერალური კიდეებიდან ვრცელდება მკვრივ, შემავრთებელქსოვილოვან მორჩებში და შეიცავს ნაღვლის სადინართა ექსტრამურულ-პერიბილიარულ ჯირკვლებს. ეს ჯირკვლები მონაწილეობენ ნაღვლის გზების ფუნქციონირებაში, წარმოადგენენ დამცველობით სტრუქტურებს [11,12] და კომუნიკაციურ კავშირებს პორტული კომპლექსის ლიმფურ სისტემასთან [7].


ცნობილია, რომ პორტული ტრაქტის სტრუქტურული და ფუნქციური გამოკვლევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ღვიძლის დაავადებების დიაგნოსტიკისთვის, არამედ ქირურგიული

ინტერვენციების შემდგომი დაგეგმვისა და სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების პათოგენეზის გაგებისთვისაც [5,8].


რა არის პორტაკავალური ფიბროზული კავშირები? ჰეფკ არის ღვიძლის შიდა შემაერთებელქსოვილოვანი სტრუქტურული წარმონაქმნი, რომელიც მაგისტრალური პორტული ტრაქტების და ღვიძლის ვენების საფარველების შერწყმის შედეგად იმ ადგილებში იქმნება, სადაც ისინი სივრცულად ეჯვარედინებიან ერთმანეთს [18].

ჰეფკ-ის სტრუქტურა და კონსტრუქცია. PCFC წარმოდგენილია რამდენიმე განსხვავებული ფორმით:

- **სრული ზედაპირით კონტაქტი** (ზედნადები). ჰეფკ-ს ეს ტიპი წარმოიქმნება პორტული კომპლექსებისა და ღვიძლის ვენის შემაერთებელი ქსოვილის გარსების მოპირდაპირე ზედაპირების სრული შერწყმით და გვხვდება შემთხვევათა 72.5%-ში.
- **შემხები კონტაქტი** (ნაწილობრივი შერწყმა). ჰეფკ-ს ეს ტიპი შემთხვევათა 23.5%-ში გვხვდება, როდესაც პორტული კომპლექსის საერთო ბოჭკოვანი კაფსულა და ღვიძლის ვენის ბოჭკოვანი საფარველი მხოლოდ მათი მოპირდაპირე ზედაპირების ფართობის ნაწილებით ერწყმის, რის შედეგადაც მათ შორის დარჩენილი სივრცე ღვიძლის პარენქიმით ივსება.
- **მარაოსებრი კონტაქტი** (მარაოს ფორმის შეერთება). ჰეფკ-ს ეს თავისებური ტიპი უცვლელად იყო წარმოდგენილი ღვიძლის ყველა ნიმუშზე I სეგმენტში (კუდიანი წილი). ჰეფკ-ში მონაწილე პორტული კომპლექსი წარმოიშობა ღვიძლის კარის ძირითადი პორტული კომპლექსიდან, გაივლის I სეგმენტის პარენქიმას, ვრცელდება ქვედა ღრუ ვენის გარსში, მარაოს ფორმით ვენის კედლებზე განლაგებულია და ხელს უწყობს მის სისხლმომარაგებას და ინერვაციას.
- **ფირფიტოვანი კონტაქტი** (ლამინარული შეერთება). ჰეფკ-ს ეს ფორმა შემთხვევათა 14%-ში გვხვდება და შესაძლებელია ფიბროზული ფირფიტის სახით, რომელიც პორტული კომპლექსიდან ღვიძლის ვენის გარსამდეა გადაჭიმული.
- **ძაფისებრი** — ვიწრო შემაერთებელი ქსოვილის ძაფი ქმნის კავშირს.



ღვიძლის II სეგმენტი. 1. პორტული ვენა; 2. ღვიძლის ვენა; 3. პორტაკავალური შემაერთებელი ზონა პორტაკავალური შუნტირების პოტენციურ არეალთან.



III სეგმენტის სამ პორტულ ტრაქტთან საგიტალური ანათომი. ღვიძლის მარცხენა ვენის შემაერთებელქსოვილოვანი კავშირის პისტოტოპოგრაფია. 1. ღვიძლის მარცხენა ვენა 2. სეგმენტური პორტული ტრაქტები 3. ღვიძლის ვენის შემაერთებელი ქსოვილოვანი საფარველი 4. პორტაკავალური შემაერთებელქსოვილოვანი კავშირი.

პკფკ ყველაზე ხშირად გვხვდება III, II და I სეგმენტებში.

I სეგმენტის პორტული ტრაქტები იწყებოდა კარის ვენის ბიფურკაციის ადგილიდან 34 შემთხვევაში, მარჯვენა წილის პორტული ტრაქტიდან - 23 შემთხვევაში და მარცხენა ტოტის პორტული ტრაქტიდან - 9 შემთხვევაში. პორტული ტრაქტები დაკავშირებული იყო ქვედა ღრუ ვენის ბუდესთან მისი წინა კედლის ფარგლებში 17 შემთხვევაში და მარცხენა კედლის ფარგლებში - 18 შემთხვევაში.

II სეგმენტის მსხვილ პორტულ ტრაქტებსა და ღვიძლის ვენებს (5-დან 20მმ-მდე კალიბრი) შორის პკფკ პროეცირდება ღვიძლის მარცხენა წილის ვისცერულ ზედაპირზე ვენური იოგის ნაპრალიდან და წილის უკანა კიდიდან 1 სმ მანძილზე მდებარე 4\5სმ2 ზომის ოთხკუთხა ფართობის ფარგლებში. შედარებით წვრილ პორტულ ტრაქტებსა და ღვიძლის ვენების ტოტებს შორის შემაერთებელქსოვილოვანი კავშირი უმეტესად სეგმენტის პერიფერიულ ნაწილშია.

III სეგმენტის ფარგლებში პკფკ ძირითადად მარცხენა წილის ვისცერულ ზედაპირზეა პროეცირებული 2x3 სმ ზომის ფართობზე, მარცხენა წილის წინა კიდიდან 2.5 სმ და მრგვალი იოგის ღარიდან 2.0 სმ დაშორებით. აქ განლაგებულია შემაერთებელქსოვილოვანი კავშირები ღვიძლის ვენის უფრო დიდ ტოტებს (კალიბრი 5-დან 10 მმ-მდე) და პორტულ ტრაქტებს (კალიბრი 5-დან 15 მმ-მდე) შორის. პკფკ კავშირები პორტულ ტრაქტსა და მცირე კალიბრის ღვიძლის ვენების შენაკადებს შორის ძირითადად განლაგებულია სეგმენტის პერიფერიულ ნაწილებში - მარცხენა წილის წინა და ლატერალური კიდეების მახლობლად.

რამდენად მუდმივი წარმონაქმნია? პკფკ-ები არსებობს ყველა ნორმალურ ღვიძლში და ვითარდება ემბრიონული ცხოვრების პერიოდში (მუცლად ყოფნის 11-12 კვირა). ამდენად ისინი რეგულარული ანატომიური წარმონაქმნია. პკფკ ავლენს გაძლიერებულ კავშირს ექსტრაცელულური მატრიქსის ბოჭკოებთან. ფიბროზულ და ციროზულ ღვიძლებში პკფკ-ების მიზანმიმართული კვლევა არ ჩატარებულა, თუმცა, ი. ჭანუყვადის გამოუქვეყნებელი მონაცემები ადასტურებს, რომ ციროზის დროს პკფკ-ის ღონეზე იქმნება ღვიძლშიდა პორტული ცირკულაციის მნიშვნელოვანი დაბრკოლება.

ციროზის დროს პორტული ჰიპერტენზიის და მისი გართულებების პრობლემა. ღვიძლის ციროზის დროს პორტული ჰიპერტენზია ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გართულებაა, რომელიც ხშირად ვითარდება სისხლდენის სახით საყლაპავის ვარიკოზული ვენებიდან. ასეთი სისხლდენა ხასიათდება მაღალი ლეტალობით (40-80%). ამ დროს რადიკალურ მკურნალობად მიჩნეულია ღვიძლის ტრანსპლანტაცია. ტრანსპლანტაციის მოლოდინში მყოფი პაციენტებისათვის, გადარჩენის ოპერაციად მიიჩნევა პორტაკავალური შუნტირება. ციროზის დროს პორტაკავალური შუნტირების ოპერაცია ამცირებს პორტულ წნევას და სიცოცხლისთვის საშიში სისხლდენის რისკს. თუმცა, არსებული მეთოდები ხშირად ასოცირებულია მაღალ რისკებთან და გართულებებთან. ასე, მაგალითად, ტრანსიუგულარული პორტოსისტემური შუნტი (Transjugular intrahepatic portosystemic shunt - TIPS), რომელიც შედარებით იოლ ოპერაციადაა მიჩნეული ხშირად რთულდება სტენტის თრომბოზით, კომპრესირებით ან მიგრაციით [13,14,15].

კარის ვენის და ღვიძლის ვენის მსხვილი ტოტების გადაჯვარედინების მიდამოში კარგად გამოხატული პკფკ-ის ტოპოგრაფიის მუდმივობა, ქმნის ახალ შესაძლებლობას, რომ პორტაკავალური შუნტირება განხორციელდეს **ენდოვასკულური ქირურგიული ტექნოლოგიების გამოყენებით (სათანადო რადიოლოგიური უზრუნველყოფით)** სწორედ პკფკ-ის არეში. ასეთის შემთხვევაში, საკმარისი იქნება კარის ვენისა და ღვიძლის ვენის ტოტების შემხები კედლების მხოლოდ პერფორაცია, სტენტის გამოყენების გარეშე, რაც გამოირიცხავს ღვიძლის პარენქიმის ხელოვნურ დაზიანებას და უზრუნველყოფს შუნტის ეფექტურობას.

ენდოვასკულური ქირურგია რადიოლოგიური კონტროლით გაზრდის ინტერვენციის სიზუსტეს, და მინიმალური ტრავმატიზმის შედეგად ხელს შეუწყობს პაციენტის სწრაფ აღდგენას [13,16]. ასეთი ჩარევის წარმატებულობა მეტად სავარაუდოა ღვიძლის II და III სეგმენტებში, სადაც პეკტები დიდი ზომით, მათ შემადგენლობაში მყოფი დიდი ზომის პორტული და კავალური ვენების ტოტების უშუალო კონტაქტით და მაღალი სტაბილურობით გამოირჩევა [3,17].

დასკვნა. პორტაკავალური ფიბროზული კავშირები წარმოადგენს ღვიძლის ანატომიურ წარმონაქმნს, მრავალფეროვანი ფორმებით და სტაბილური ტოპოგრაფიით. მათი გამოყენების შესაძლებლობა პორტული ჰიპერტენზიის ენდოვასკულური მკურნალობისთვის წარმოადგენს პერსპექტიულ ალტერნატივას, რომელსაც შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს ინტერვენციასთან ასოცირებული რისკები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეილა ჯანდიერის დისერტაცია „პორტული კომპლექსის ნაღვლისხლძარღვოვანი ელემენტები მექანიკური ქოლესტაზის პირობებში“ 2019 წ.
2. რევაზ ოთარაშვილის დისერტაცია - „ნაღვლის სადინრების გავლენა ღვიძლის ვენებზე, მექანიკური ქოლესტაზის და ქოლანგიტის პირობებში“ 2022წ.
3. Patarashvili L, Gvidiani S, Azmaipharashvili E, Tsomaia K, Sareli M, Kordzaia D, Chanukvadze I. Porta-caval fibrous connections — the lesser-known structure of intrahepatic connective-tissue framework: A unified view of liver extracellular matrix. *World J Hepatol* 2021; 13(11):1484-93
4. Couinaud C. Surgical anatomy of the liver revisited. Paris; 1989:29-39
5. Yamamoto M, Katagiri S, Ariizumi S, Kotera Y, Takahashi Y. Glissonean pedicle transection method for liver surgery. *J Hepatobiliary Pancreat Sci.* 2012;19:3-8.
6. Чануквадзе И.М. Строение и взаимоотношение соединительнотканых покровов портальных комплексов и печеночных вен. Хирургическая анатомия и экспериментальная морфология печени// Сборник научных трудов ТГМИ. Тбилиси, 1988.- С.13-33
7. Chanukvadze I. & Archvadze V. (2003) [Surgical anatomy of main intrahepatic portal tracts]. *Zentralblatt fur Chirurgie* 128, 958-962
8. Ikeda T, Okano S, Hashimoto N, et al. Histomorphological investigation of intrahepatic connective tissue. *J Hepatobiliary Pancreat Sci.* 2021;28: 76-85.
9. Martinez-Hernandez A, Amenta PS. The hepatic extracellular matrix. I. Components and distribution in normal liver. *Virchows Arch A Pathol Anat Histopathol.* 1993;423:1-11
10. Rojkind M, Ponce-Noyola P. The extracellular matrix of the liver. *Coll Relat Res.* 1982;2:151-75
11. Nakanuma Y, Sasaki M, Terada T, Harada K. Intrahepatic peribiliary glands of humans. *J Gastroenterol Hepatol.* 1994;9:80-86.
12. de Jong IE, van Leeuwen OB, Lisman T, et al. Repopulating the biliary tree from the peribiliary glands. *Biochim Biophys Acta Mol Basis Dis.* 2018;1864:1524-1531.
13. Richter GM, Roeren T, et al. Portal hypertension and TIPS. *Chirurg.* 1995;66:555-565
14. Garcia-Tsao G, Bosch J. Management of variceal hemorrhage. *N Engl J Med.* 2010;362: 823-832
15. Bosch J, Garcia-Pagan JC. Complications of cirrhosis: portal hypertension. *J Hepatol.* 2000;32(Suppl 1):141-156.
16. Boyvat F, Aytekin C, et al. Transjugular intrahepatic portosystemic shunt creation in patients with portal hypertension. *Diagn Interv Radiol.* 2014;20(3):276-282
17. Nolte W, Manke H, Schindler C. Doppler studies post-TIPS. *Ztsch fur Gastroenterol.* 1998;36:491-499
18. Chanukvadze Ilia. Portacaval fibrous connections: little known anatomical structure of liver *Romanian Medical Journal*, volume 64, issue 1, pages 43-48 (2017)
19. Chanukvadze Ilia. Vasculo-fibrous architecture of the magistral portal complexes *Romanian Medical Journal*, volume 63, issue 3, pages 214-218 (2016).

შოთა გოგია ¹, ნოდარ ხოდელი ², გურაბ ჩხაიძე ²
**პორტაკავალური ფიბროზული კავშირების კლინიკური პოტენციალის
 ანატომიური საფუძვლები**

¹კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ²ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
 სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

რეზიუმე

კვლევის მიზანი იყო ადამიანის ღვიძლში პორტაკავალური ფიბროზული კავშირების (პკვკ) შესწავლა, ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის არქივიდან აღებულ ფაქტობრივ მასალასა და თანამედროვე კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, მათი კლინიკური პერსპექტივების შეფასების მიზნით. პკვკ წარმოადგენს ღვიძლშიდა რეგულარულ ანატომიურ წარმონაქმნს, რომელიც ყალიბდება ემბრიონულ პერიოდში და იქმნება მაგისტრალური პორტული ტრაქტებისა და ღვიძლის ვენების გადაკვეთის არეში.

მორფოლოგიური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პკვკ ყველაზე ხშირად გვხვდება ღვიძლის I, II და III სეგმენტებში. მიღებული მიგნებების საფუძველზე, ამ კავშირების მუდმივობა და სტრუქტურული მდგრადობა ქმნის წინაპირობას, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენების განხილვა ენდოვასკულური პორტაკავალური შუნტირებისათვის, პორტული ჰიპერტენზიის დროს. აღნიშნული მიდგომა, რომელიც გულისხმობს სტენტის გარეშე, მიზანმიმართული პერფორაციით შუნტირების განხორციელებას, პოტენციურად ამცირებს ინტერვენციასთან ასოცირებულ რისკებს და ზრდის მისი ეფექტიანობის ალბათობას.



ნატო კორსანტია ¹, ნინო კორსანტია ¹, მარიამ თუთაშვილი ¹, ეკატერინე ბეშკენაძე ¹, ალექსანდრე
 კაციტაძე ¹, ნინო ცისკარიშვილი ¹, ნინო ადამაშვილი ¹, ლელა ბერიძე ², თეა კაციტაძე ³

**პირის ღრუს ლორწოვანის ეროზიულ-წყლულოვანი დაზიანებების
 დიფერენციალური დიაგნოზი**

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ²ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო;
³შპს „ჯანმრთელობის ინსტიტუტი“; საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.27>

NATO KORSANTIA¹, NINO KORSANTIA¹, MARIAM TUTASHVILI¹, EKATERINE BESHKENADZE¹,
 ALEXANDER KATSITADZE¹, NINO TSISKARISHVILI¹, NINO ADAMASHVILI¹, LELA BERIDZE²,
 TEA KATSITADZE³

DIFFERENTIAL DIAGNOSIS OF EROSIVE-ULCERATIVE LESIONS OF THE ORAL CAVITY

¹Tbilisi State Medical University; ²Batumi Republican Hospital; ³Institute of Health Ltd; Georgia

SUMMARY

Erosive-ulcerative lesions of the oral mucosa can be a symptom of various diseases, so dermatologists and dentists often have difficulty making a rapid and accurate diagnosis. In form and size, as well as complaints, these elements are very similar to each other. It is important to use early auxiliary diagnostic methods and to remember all, even rare diseases, to make the right diagnosis in a timely manner and to start proper treatment. In view of all the above, the presented work will be dedicated to the differential diagnosis of erosive-ulcerative injuries of the oral cavity.

Ulcerations can be classified based on duration of onset, number of ulcers and etiological factors; ulcerative lesion lasts for two weeks, is considered as the chronic ulcer. Acute ulcer lasts for no longer than two weeks and is typically painful, whereas recurrent ulcers present with a history of comparable

episodes with irregular healing and chronic ulcer may last for more than two weeks. The solitary ulcer is the occurrence of a single ulcerative lesion, while the term multiple explains the incidence of numerous ulcerative lesions.

Keywords: erosion, ulcer, oral cavity, mucous membrane

პირის ღრუს ლორწოვანის ეროზიულ-წყლულოვანი დაზიანებები სხვადასხვა დაავადების სიმპტომი შეიძლება იყოს, ამიტომაც ხშირად დერმატოლოგები და სტომატოლოგები სირთულეს აწყდებიან სწრაფი და ზუსტი დიაგნოზის დასმის დროს. ფორმით და ზომით, ასევე ჩივილებით, აღნიშნული ელემენტები ძალიან ჰგავს ერთმანეთს და მნიშვნელოვანია ადრეული დამხმარე დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენება და ყველა, თუნდაც იშვიათი დაავადების გახსენება, რომ დროულად მოხდეს სწორი დიაგნოზის დასმა და სათანადო მკურნალობის დაწყება.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ნაშრომი დაეთმობა პირის ღრუს ეროზიულ-წყლულოვანი დაზიანებების დიფერენციალურ დიაგნოზს.

ეროზიები და წყლულები შეიძლება კლასიფიცირდეს (1) დაწყების და მიმდინარეობის ხანგრძლივობის; (2) რაოდენობის და (3) ეტიოლოგიური ფაქტორების მიხედვით; თუ ლორწოვანის დაზიანება გრძელდება ორ კვირაზე მეტი, განიხილება როგორც ქრონიკული ეროზია და წყლული. მწვავე წყლული გრძელდება ორ კვირამდე და ტიპურად მტკივნეულია, მაშინ როცა მორეციდივე წყლულები ანამნეზში ხასიათდებიან წყლულების პერიოდული გაჩენითა და არარეგულარული შეხორცების ეპიზოდებით. ერთეული წყლული არის ერთი წყლულოვანი დაზიანების გაჩენა, ხოლო ტერმინი მრავლობითი ხსნის მრავალრიცხოვანი წყლულოვანი დაზიანების სიხშირეს.

ცხრილში წარმოდგენილია პირის ღრუს ეროზიულ-წყლულოვანი დაზიანებები რაოდენობისა და მიმდინარეობის ხანგრძლივობის მიხედვით.

მწვავე წყლულები		ქრონიკული წყლულები		პერიოდული წყლულები	
ერთეული	მრავლობითი	ერთეული	მრავლობითი	ერთეული	მრავლობითი
• კბენითი ტრავმა • თერმული დაზიანება • ქიმიური/ტოქსიური ნაშლეები • მექანიკური ირიტაცია • რადიაციული თერაპია	• პერპსუული გინგივოსტომატიტი • პერპსუული ზოსტერი/ვარიცელა • პერპანგინა • კოკსაკი (ხფჰ) • ინფექციური მონონუკლეოზი • დიფტერია • კანდიდოზი • მრავალფორმიანი ერითემა • რეიტერის სინდრომი • სტივენ-ჯონსონის სინდრომი • GvHD • ქიმიოთერაპიული • პლაზმური უჯრედის სტომატიტი	• ტრავმული წყლული • ცმე-ასოცირებული • ტუბერკულოზი • სიფილისი • მანეკროზირებული სიალომეტაპლაზია • მიკოზური წყლული • სარკოიდოზი • სვითის სინდრომი	• ნეკროზული წყლულოვანი გინგივოზიტი • გრანულომატოზი პოლიანგიოპათიით • ბულოზური პემფიგოიდი • ვულგარული პემფიგუსი • წითელი ლიქენი • ხაზოვანი IgA დაავადება • მელკერსონ-როზენტალის სინდრომი	• ბესჩეტის დაავადება • კრონის დაავადება • ცელიაკია	• პერპსუული სტომატიტი • განგრენოზული პიოდერმია • შეგრენის სინდრომი • ავითამინოზი (ვიტამინი B2, B6, B12, ფოლიუმის მჟავა, თუთია) • სისტემური წითელი მგლურა • PFAPA სინდრომი • MAGIC სინდრომი • ციკლური ნეიტროპენია • ოჯახური ხმელთაშუაზღვის ცხელება • D • ჰიპერემონოკლოზური ბულიმია • ორალური ჰიპერმგრძნობელობა

მწვავე, ერთეული წყლული



პირის ღრუს ლორწოვანის ერთეული მწვავე წყლულები უმეტესად დაკავშირებულია ლორწოვანის მექანიკურ, თერმულ და ქიმიურ დაზიანებებთან. ტრავმული დაზიანება ენის დისკომფორტის ყველაზე ხშირი მიზეზია, რადგან ენა, მასზე არსებული მრავალრიცხოვანი ნერვული დაბოლოებების გამო, უფრო მგრძნობიარეა ტკივილისა და შეხების მიმართ, ვიდრე სხეულის სხვა ნაწილები. ძალზე ხშირია შემთხვევით ენაზე, ტუჩის წითელ ქოზაზე და

ლოყაზე კბენა. წვეტიანი, მოტეხილი ან არასწორად დაბუენილი კბილი შეიძლება პირის ღრუს ლორწოვანის მნიშვნელოვანი დაზიანების მიზეზი გახდეს. რადიაციული თერაპიის ერთ-ერთი გვერდითი მოვლენა შეიძლება პირის ღრუს ლორწოვანის ანთებითი, ეროზიულ-წყლულოვანი დაზიანება იყოს, რომელიც საკმაოდ მწვავე ტკივილით ხასიათდება [1].

მწვავე მრავლობითი წყლულები



მწვავე ჰერპესული გინგივო-სტომატიტი ხშირად პირველადი ჰერპესული ინფექციის გამოვლინებაა და უფრო ხშირად ბავშვებშია. დაავადება ხასიათდება ტკივილით პირის ღრუში, მაღალი ტემპერატურით. ღრძილებისა და ლოყების ლორწოვან გარსებზე ვითარდება ბუბუკოვანი გამონაყარი, რომელთა გასკდომის შემდეგ წარმოიქმნება 1 სანტიმეტრამდე ზომის ეროზიები ან წყლულები, დაფარული მოყვითალო-

მონაცრისფრო ნადებით; აღინიშნება ყბისქვეშა ლიმფადენიტი და პროცესში შეიძლება ნუშურებიც ჩაერთოს [2,43].



ჰერპეს ზოსტერი/ვარიცელა პირის ღრუში შედარებით იშვიათად გვხვდება. სამწვერა ნერვის მაქსილარული ან მანდიბულური ტოტების ჩათრევის დროს ზედა ყბის ლორწოვან გარსზე (სასა, ზედა ყბის ღრძილები) და ქვედა ყბის ლორწოვანზე (ქვედა ყბის ღრძილები და ენა) წვრილბუბუკოვანი და შემდგომ ეროზიულ-წყლულოვანი გამონაყარი ვითარდება, რომელიც 10-14 დღეში

ხორცდება. თავდაპირველად წამყვანი სიმპტომი ძლიერი ტკივილია, რომელმაც შეიძლება კბილის ტკივილის იმიტაციაც კი მოახდინოს [3,43].



ჰერპანგინა, იგივე ვეზიკულური ფარინგიტი, აფთური ფარინგიტი ვირუსული დაავადებაა. უპირატესად იწვევს კოკსაკის ვირუსი. ავადდებიან ძირითადად ბავშვები. დაავადებას ახასიათებს მწვავე მიმდინარეობა, იწყება საერთო სისუსტით, თავის და ყელის ტკივილით, სხეულის ტემპერატურა იმატებს; სასის წინა რკალების, ნაჩის, ნუშურების, პირხახის უკანა კედლის, ზოგჯერ ენის

ლორწოვან გარსზე ვითარდება ჰიპერემია, წვრილბუბუკოვანი გამონაყარი, რომელიც სწრაფად სკდება და გადადის ეროზიებში ან წყლულებში. თან ერთვის რეგიონული ლიმფადენიტი [4].



ინფექციური მონონუკლეოზი ხასიათდება კლასიკური ტრიადით: ცხელება, ფარინგიტი და ლიმფადენოპათია, ლაბორატორიულად ვლინდება ატიპური ლიმფოციტოზი. შემთხვევების 80-90% გამომწვევი ეპშტეინ-ბარის ვირუსია. ფარინგიტი ხშირად ნუშურა ჯირკვლების ექსუდაციით მიმდინარეობს, სასაზე და ნაქზე აღინიშნება პეტეჩიები, დაფარული მოთეთრო-მოსერო ფსევდო მემბრანით [5].



დიფტერია მძიმე ბაქტერიული ინფექციაა (კორინებაქტერია), რომელიც ძირითადად ცხვირის ღრუსა და ყელის ლორწოვან გარსს აზიანებს. ინვეს ყელის ტკივილს, მაღალ ტემპერატურას, ჯირკვლების შესიებას და საერთო სისუსტეს. დაავადების მთავარი მახასიათებელი ნიშანია სქელი, ნაცრისფერი ნადები ყელის უკანა ნაწილში, რომელიც ახშობს სასუნთქ გზებს და ართულებს სუნთქვას [6].



ორალური კანდიდოზი პირის ღრუს ქსოვილების ადგილობრივი ინფექციაა, რომელიც პირობით პათოგენური საფუარა სოკოს, კანდიდას სახეობით არის გამოწვეული. პირის ღრუს ყველაზე ხშირი სოკოვანი ინფექციაა და ძირითადად ჩვილებსა და ხანდაზმულ პაციენტებში გვხვდება, თუმცა ლოკალური ან სისტემური იმუნოსუპრესიის პირობებშიც შეიძლება განვითარდეს. განასხვავებენ პირის ღრუს კანდიდოზის

ფსევდომემბრანულ, ატროფიულ და ჰიპერკერატოზულ ფორმებს. ფსევდომემბრანული ფორმის დროს ზიანდება ლოყის, ენის, სასისა და ღრძილების ლორწოვანი გარსი. ზოგჯერ პროცესი შეიძლება გავრცელდეს ხორხზე და საყლაპავზე. მოთეთრო ნადები მარტივად ცილდება და შიშვლდება ჰიპერემიული ზედაპირი. ატროფიული ფორმის დროს ლორწოვანი გარსი ძლიერ ჰიპერემიულია, შეშუპებული, ვლინდება კანდიდოზური სტომატიტი, ქეილიტი და გლოსიტი. ჰიპერკერატოზული ფორმის დროს ნადები მჭიდროდაა დაკავშირებული ქვემდებარე ქსოვილებთან და მოხსნის შემდეგ შეიმჩნევა სისხლმდენი ეროზიული უბნები [7].



მრავალფორმიანი ექსუდაციური ერითემა ინფექციურ-ალერგიული ბუნების დაავადებაა, ხშირად ასოცირებული სხვადასხვა ინფექციურ დაავადებასთან (მაგ. ჰერპესი). ზოგჯერ დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ალერგენტთან. კლინიკურად ვლინდება სამიზნისებრი გამონაყარი. პირის ღრუში ხასიათდება უპირატესად ტუჩების მწვავედ მიმდინარე მტკივნეული წყლულებით [8].



სტივენ-ჯონსონის სინდრომი ხასიათდება მძიმე მიმდინარეობით. აღინიშნება კანისა და ლორწოვანის დაზიანება. ხშირად წინ უსწრებს მედიკამენტის მიღება (ანტიბიოტიკები; პოდაგრის სამკურნალო საშუალებები; ანტიკონვულსიური და ფსიქოტროპული პრეპარატები; ტკივილგამაყუჩებლები) ან რაიმე ზოგადი ინფექციური ფონი. სინდრომი თავდაპირველად იწყება გრიპისთვის დამახასიათებელი სიმპტომებით, მოგვიანებით პირის ღრუს ლორწოვანზე ვითარდება მტკივნეული ეროზიები

და წყლულები, განსაკუთრებით ტუჩებზე, ენაზე და ხახაზე [10].



რეიტერის სინდრომი პოსტინფექციური (ქლამიდიოზი, სალმონელოზი) ალერგიული რეაქტიული მდგომარეობაა. სინდრომი მოიცავს ტრიადას: ართრიტს, არაგონოკოკურ ურეთრიტს და კონიუნქტივიტს. უმეტესად 40 წლამდე მამაკაცებს ემართებათ. პაციენტთა 20-40%-ს უვითარდება ლოყის, ღრძილების და ტუჩების ლორწოვანის პაპულები და წყლულები, თეთრი-რუხი წამოწეული საზღვრებით. ენის დაზიანებები ჰგავს „გეოგრაფიულ ენას“ [9].



GvHD - ტრანსპლანტატის მასპინძლის წინააღმდეგ დაავადება, ალოგენური ღეროვანი უჯრედების გადანერგვის საერთო გართულებაა. ახალი იმუნური სისტემის T-უჯრედები აღიარებენ მიმღების უჯრედებს, როგორც უცხო და თავს ესხმიან მათ. იწყება გადანერგვიდან 2-3 კვირის შემდეგ. კლინიკურად ვლინდება დიარეით, გულისრევით, ღებინებით, კუჭის ტკივილით და წონაში დაკლებით, კანზე მტკივნეული გამონაყარი და ქავილით, სიყვითლით, პირის ღრუში გინგივიტით და მტკივნეული ეროზიებითა და წყლულებით.

ლორწოვანი ანთებითა, გათხელებული და სკლეროზული. თან ახლავს სანერწყვე ჭირკვლის დისფუნქცია და პირის გაღების გაძნელება [11].



ქიმიოთერაპიას, როგორც წესი, თან ახლავს გვერდითი მოვლენები, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი პირის ღრუს ლოკალიზაციაა. ზოგიერთმა ქიმიოპრეპარატმა ენაზე, მაგარ სასაზე, ლოყებზე, ღრძილებსა და ტუჩებზე შეიძლება გამოიწვიოს პირის სიმშრალე, გემოსა და ყნოსვის შეცვლა, ლორწოვანის ანთება, სინითლე, მტკივნეული ბუშტუკოვანი, ეროზიული და წყლულოვანი გამონაყარი, თეთრი ნაღებით [12].



პლაზმურეტრედოვანი სტომატიტი, მუკოზიტი არის ზედა სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის იშვიათი, კეთილთვისებიანი ანთებითი დაავადება, რომელიც იზიარებს პლაზმურეტრედოვანი ბალანიტი/ვულვიტის კლინიკურ და ჰისტოლოგიურ მახასიათებლებს. პლაზმურეტრედოვანი მუკოზიტი ყველაზე ხშირად აზიანებს პირის ღრუს ლორწოვან გარსს, ღრძილებს და

ტუჩებს. დაავადების მიზეზი უცნობია. ვარაუდობენ იმუნურ პასუხს ინფექციურ (კანდიდა, ჰერპესი) აგენტებზე, აქტინურ დაზიანებაზე ან ქიმიურ ნივთიერებებთან კონტაქტზე. პირის ღრუში აღინიშნება წვის შეგრძნება, ტკივილი, ქავილი, დისფაგია, ყელის ტკივილი, წითელი, მოიისფრო ლაქოვან, პაპულური გამონაყარი, ზოგჯერ ბალებების და ხორკლების სახით, ღრძილებიდან სისხლდენა, ტუჩების პაპილარული ჰიპერპლაზია, სასაზე, ლოყაზე, ხახამი მტკივნეული ეროზიულ-წყლულოვანი გამონაყარი [13].

ქრონიკული ერთეული წყლული



ციტომეგალოვირუსთან ასოცირებული წყლული გამოწვეულია ადამიანის ციტომეგალოვირუსით, იგივე ადამიანის ჰერპეს ვირუსი ტიპი 5-ით. კლინიკური გამოვლინება უპირატესად მოიცავს სასუნთქ, კუჭ-ნაწლავის და ღვიძლისმიერ სიმპტომატიკას, თუმცა იმუნოდეფიციტური მდგომარეობების დროს თან ახლავს პირის ღრუს ლორწოვანის ჩართვაც, სადაც ვითარდება მტკივნეული წყლული, რომელიც საკმაოდ ღრმაა და

„ამოკვეთილი“ ქსოვილის შესახედაობა აქვს [14].



უპირატესად ფილტვებს აზიანებს [15].

პირის ღრუს ტუბერკულოზი იშვიათი ფორმაა, ახასიათებს სასაზე, ტუჩებზე, ლოყებსა და ენაზე ჯერ ტუბერკულოზური ხორკლის განვითარება, შემდეგ კი უმტკივნეულო წყლულის ფორმირება, რბილი, შეშუპებული კიდეებით, ასოცირებული კისრის ლიმფური ჯირკვლების გადიდებასთან. დაზიანების კერას აქვს ზედაპირული წყლულის შესახედაობა, დაფარულია წითელი ან წითელ-ყვითელი ნადებით. დაზიანებული ტუჩი შეშუპებულია, ზომაში იზრდება, იფარება სისხლ-ჩირქოვანი ქერქებით. ტუბერკულოზის გამომწვევი მიკობაქტერიაა, დაავადება



სიფილისი - ათაშანგი ვენერიული დაავადებაა, იწვევს ბაქტერია - მკრთალი ტრეპონემა. პირველ ხანაში შეჭრის ადგილას ვითარდება მაგარი შანკრი - უმტკივნეულო წყლული მაგარ ფუძეზე. უპირატესად ლოკალიზებულია გენიტალიუმის ადგილას, თუმცა ზოგჯერ შეიძლება პირის ღრუშიც დაფიქსირდეს, განსაკუთრებით ენაზე, ტუჩზე და სასაზე. თან ახლავს კისრის ლიმფური კვანძების გადიდება. სიფილისური დაზიანებები პირის ღრუში მეორე და მესამე

ხანაშიც შეიძლება იყოს [16].



მანეკროზირებული სიალომეტაპლაზია 1-4 სმ ზომის კეთილთვისებიანი წყლულია, რომელიც უპირატესად ლოკალიზებულია პირის ღრუში, მაგარ სასაზე. მიჩნეულია, რომ მისი მიზეზი მცირე სანერწყვე ჭირკვლების ტრავმაზე საპასუხო იმედიური ნეკროზია. ჩვეულებრივ უმტკივნეულოა. თავიდან ვითარდება ერთემატოზული შესიება, რომელიც მალევე წყლულდება და მოყვითალო-ნაცრისფერი ნადებით იფარება [17].



მიკოზური წყლული ძირითადად ვითარდება იმუნოდეფიციტურ ადამიანებში და ასოცირებულია სხვადასხვა შინაგან დაავადებასთან. გამომწვევებში პროცენტულად უდიდესი წილი კანდიდა ალბიკანსზე მოდის. წყლული აზიანებს უპირატესად ენის, ღრძილებისა და ლოყების ლორწოვან გარსს, შეიძლება ხანგრძლივად არ შეხორცდეს და გახდეს დისკომფორტის მიზეზი როგორც ჭამის, ისე ლაპარაკის დროს [18].



სარკოიდოზი კეთილთვისებიანი გრანულომატოზია, რომლის დროსაც უმთავრესად სასუნთქ გზებში, ლიმფურ კვანძებში, კანში, ლორწოვანებზე, თვალში არანეკროზული გრანულომები, ერთგვარი ხორკლები წარმოიქმნება. გრანულომები აგებულია ძალიან ჰგავს ტუბერკულოზურ გრანულომებს, თუმცა მათგან განსხვავებით ინფექციური წარმოშობის არაა. პირის ღრუს დაზიანებები ძალზედ იშვიათია [19].



სვითის სინდრომი იშვიათი იდიოპათიური მდგომარეობაა. შეიძლება ასოცირებული იყოს სისტემურ, მიელოპროლიფერაციულ დაავადებებთან. ხასიათდება მტკივნეული მოწითალო-ყავისფერი ბალოებითა და ნოდულებით, რომლებიც ხშირად თავზე, კისერზე და ზედა კიდურებზე ვითარდება. თან ახლავს ნეიტროფილია, ცხელება, ართრალგია და პირის ღრუს მანიფესტაცია. წყლული ლოკალიზდება ტუჩზე, ლოყებსა და ენაზე [20].

ქრონიკული მრავლობითი წყლულები



ნეკროზული წყლულოვანი გინგივიტი (ვინსენტის ინფექცია, „სანგარში მყოფთა პირი“) ღრძილების მტკივნეული, არაგადამდები ინფექციაა, რომლის დროსაც ვლინდება ღრძილების ტკივილი, პირიდან ძალზედ უსიამოვნო სუნი. ხელშემწყობი ფაქტორებია დაქვეითებული იმუნიტეტი, სტრესი, ცუდი ჰიგიენა, თამბაქო, ცუდი კვება, უძილობა. კბილებს შორის

არსებული ღრძილის წვერები შუბდება, წყლულდება, იფარება ნაცრისფერი ნადებით, სისხლმდენია [21].



ტემპერატურის მომატება. ენაზე, სასაზე და ლოყებზე, ხახაზე და ნუშურა ჯირკვლებზე ღრმა წყლულები, უოლოსფერი გინგივიტი, ღრძილების ჰიპერპლაზია პეტეჩიებით [22].



პირის ღრუს ბულოზური პემფიგოიდი აუტოიმუნური ბულოზური დაავადებაა. ლორწოვანი გარსებიდან ხშირად აზიანებს პირის ღრუს და კონიუნქტივას. ლორწოვანი გარსის პემფიგოიდს სხვანაირად ციკატრიულ-ნანიბუროვან პემფიგოიდსაც უწოდებენ. ენაზე, ლოყებზე, ღრძილებზე, ხახაზე ბუშტები ადვილად სკდება და გამოჩნდება მტკივნეული ეროზიები ან წყლულები, მალევე იფარება რუხი ნაღებით [23].



ვულგარული პემფიგუსი აუტოიმუნური ბულოზური დაავადებაა, აზიანებს კანსა და ლორწოვანს. აუტოანტისხეულები ეპიდერმისის დესმოგლეინის წინააღმდეგ იწვევენ აკანტოლიზს და შედეგად ინტრაეპიდერმულ ბუშტებს. პირის ღრუში, ენაზე, ღრძილებზე, ლოყებზე, ხახაზე, სასაზე ბუშტები სწრაფად ირღვევა და ვითარდება ძალზედ მტკივნეული ეროზიები და წყლულები. ადამიანი ვერ ჭამს და ვერ სვამს, იკლებს წონაში და სწრაფად სუსტდება [24].



ორალური წითელი ბრტყელი ლიქენი ქრონიკული ანთებითი დაავადებაა, აზიანებს პირის ღრუს ლორწოვანს, იწვევს მოთეთრო-მოსერო ბადისებრ გამონაყარს, ეროზიებს და წყლულებს. დაზიანებები იწვევს წვის შეგრძნებას, ტკივილს და დისკომფორტს ჭამის და საუბრის დროს. ელემენტები უმეტესად გვხვდება ლოყებზე, ღრძილებზე, ენაზე, ტუჩების შიგნითა ზედაპირზე, სასაზე [25].



ხაზოვანი IgA დაავადება აუტოიმუნური ბულოზური დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს ბუშტუკოვანი და ბულოზური გამონაყარი კანსა და ლორწოვანზე. მექანიზმში მნიშვნელოვანია პირდაპირი იმუნოფლოუორესცენცია იმუნოგლობულინ A-ს ხაზოვანი ჩალაგებით ბაზალური მემბრანის გასწვრივ. პირის ღრუს, ცხვირის, ხახის და საცლაპავის ლორწოვანზე ვითარდება მტკივნეული ეროზიები და წყლულები [26].




როსოლიმო-მელკერსონ-როზენტალის სინდრომი
ცნობილია, როგორც ოროფაციალური გრანულომატოზი. მიეკუთვნება იდიოპათიურ ნევროლოგიურ დაავადებებს. ახასიათებს ტრიადა: ერთი ან ორივე ტუჩის შესიება - გრანულომატოზური ქეილიტი, სახის ნერვის მორეციდივე, ხშირად ორმხრივი დამბლა და ენის ფისურები. ენის ნახეთქები მტკივნეულია, ზომით საშუალოდ 2 მმ სიღრმეში და 15 მმ სიგრძეში [27].

ერთეული პერიოდული წყლული



ბეჭეტის სინდრომი უცნობი ეტიოლოგიის, იშვიათი მრავალსისტემური ანთებითი დაავადებაა, რომელიც ხასიათდება პირის ღრუსა და სასქესო ორგანოებზე ლოკალიზებული წყლულებით, კანისა და თვალების სხვადასხვა დაზიანებებით. სიმპტომები დროთა განმავლობაში ქრება და სპონტანურად მეორდება. შესაძლოა დაზიანდეს სახსრები, სისხლძარღვები, ცენტრალური ნერვული სისტემა და/ან საჭმლის

მომწელებელი ტრაქტი. ბეჭეტის დაავადების ყველაზე ადრეული სიმპტომია მტკივნეული წყლულები პირის ღრუს ლორწოვან გარსზე, მოწითალო, ერთეულმატოზური საზღვრებით [28,44].



კრონის დაავადება წარმოადგენს საჭმლის მომწელებელი ტრაქტის უცნობი ეტიოლოგიის ანთებას, შეიძლება დააზიანოს საჭმლის მომწელებელი ტრაქტის ნებისმიერი ნაწილი. პაციენტები უჩივიან ფაღარათს, მუცლის ტკივილს, განავალში ლორწოს და სისხლს, ცხელებას, ღებინებას, საერთო სისუსტეს, წონაში კლებას, სახსრების ტკივილს. პირის ღრუში პერიოდულად ვითარდება მტკივნეული წყლულები [29].



ცელიაკია სისტემური აუტოიმუნური ენტეროპათიაა, რომელსაც იწვევს მარცვლოვან კულტურებში შემავალი გლუტენის ცილები. პაციენტები უჩივიან კუჭ-ნაწლავის სიმპტომებს, დიარეას, ანემიას, კანსა და ლორწოვანზე ბუშტუკოვან გამოწყარს. პირის ღრუში ვლინდება განმეორებითი მტკივნეული წყლულები, რომლებიც ლოკალიზებულია, ენაზე, ლოყებზე, ტუჩებზე, ხახასა და საყლაპავზე [30].

მრავლობითი პერიოდული წყლულები



განგრენოზული პიოდერმია უცნობი ეტიოლოგიის კანის წყლულოვანი დაავადებაა, უპირატესად ასოცირებული სისტემურ პათოლოგიებთან. ახასიათებს მტკივნეული ერთი ან რამდენიმე ნეკროზული წყლული მოიისფრო-მოწითალო საზღვრით, უპირატესად ქვედა კიდურებზე. წინ ყოველთვის უსწრებს უმნიშვნელო ტრავმა. პირის ღრუში განგრენოზული პიოდერმიის ლოკალიზაცია ძალზედ იშვიათია [31].



შეგრენის სინდრომი აუტოიმუნური დაავადებაა. ახასიათებს თვალების, პირის ღრუს და სხვა ლორწოვანი გარსების გამოხატული სიმშრალე. ქალებში უფრო ხშირია. ასოცირებულია სხვა აუტოიმუნურ დაავადებებთან, როგორცაა რევმატოიდური ართრიტი, სისტემური წითელი მგლურა და სხვ. პირის ღრუში ნერწყვის არასაკმარისი რაოდენობა აქვეითებს გემოვნებასა და ყნოსვას. კვების პროცესი და ყლაპვა მტკივნეულია, შეიძლება ლორწოვანის ტრავმების, ნახეთქებისა და წყლულების განვითარება. ხშირია სოკოვანი ინფექციის

თანდართვა [32].



ავიტამინოზი (ვიტამინი B2, B6, B12, ფოლიუმის მჟავა, თუთია) ხშირად შეიძლება პირის ღრუში მტკივნეული წყლულების განვითარებით ხასიათდებოდეს. პერიოდულად პაციენტებს უფიქსირდებათ გლოსიტი, პერიოდული წყლულები, წყლულოვანი გინგივიტი, პერიოდონტიტი, ღრძილებიდან სისხლდენა, ქეილიტი, ანგულიტი, გემოვნების დაკარგვა, ენის პარესთეზია, წვის შეგრძნება და ქავილი [33].



წითელი მგლურა აუტოიმუნური დაავადებაა, რომელიც აზიანებს კანსა და ლორწოვანს (დისკოიდური ფორმა) და შინაგან ორგანოებს, სახსრებს და სხვა ქსოვილებს (სისტემური ფორმა). ქალებში 10 ჯერ ხშირია, ვიდრე მამაკაცებში. პირის ღრუს ელემენტები საშუალოდ 50% ში გვხვდება. სასის, ენისა და ლოყების ლორწოვანზე ვითარდება წყლული, ცენტრალურად ერითემული და მოთეთრო, ზედაპირზე წამოწეული საზღვრებით. ხშირად

თან ერთვის კანდიდოზი. პაციენტები უჩივიან დისკომფორტს ჭამის დროს, პირის სიმშრალეს და წვის შეგრძნებას [34].




PFAPA (Periodic fever, Aphthous stomatitis, Pharyngitis, Adenitis - პერიოდული ცხელება, აფთოზური სტომატიტი, ფარინგიტი, ადენიტი) სინდრომი ბავშვთა ასაკიდან იწყება (2-5 წელი) და ერთნაირად გვხვდება ბიჭებში და გოგონებში. ახასიათებს პერიოდული გამწვავებები, როდესაც პაციენტებს აღენიშნებათ ცხელება, პირის ღრუში წყლულები, ყელის ტკივილი, შესიებული ლიმფური ჯირკვლები. ეტიოლოგია უცნობია [35].



MAGIC (Mouth and Genital ulcers with Inflamed Cartilage) სინდრომი წარმოადგენს პირის ღრუსა და გენიტალიუმის ლორწოვანის წყლულებს ყურის, ცხვირის, ხორხისა და ნეკნთა რკალის ხრტილების ანთების ფონზე. ერთ ინდივიდში გვხვდება ბეხჩეტის დაავადების და პოლიქონდრიტის სიმპტომები. სინდრომი მიუთითებს ამ ორი დაავადების ერთნაირ ეტიოლოგიურ ფაქტორზე [36].



ციკლური ან პერიოდული ნეიტროპენია იშვიათი მდგომარეობაა, რომელიც ხასიათდება ზოგადი სისუსტით, ცხელებით, პირის ღრუს ლორწოვანის წყლულებითა და ნაწიბურებით, გინგივიტით, პერიოდონტიტით და ნეიტროფილების გაქრობით სისხლსა და ძვლის ტვინში 21 დღიანი ინტერვალით. ხშირად მდგომარეობა გვხვდება ქიმიოთერაპიის გვერდითი ეფექტის სახით [37].



ოჯახური ხმელთაშუა ზღვის ცხელება აუტოანთებითი გენეტიკური დაავადებაა, რომელიც ძირითადად გვხვდება ხმელთაშუა ზღვის მოსახლეობაში (ებრაელებში, სომხებში, არაბებში, ბერძნებში, თურქებში, ირანელებში, ქურთებში და იტალიელებში). ხასიათდება ცხელებისა და სეროზიტის (გულმკერდი, მუცელი, სახსრები) პერიოდებით. ტკივილის ეპიზოდები იწყება ბავშვობის ასაკიდან. ამილოიდოზი ყველაზე ხშირი ფატალური გართულებაა. პირის ღრუს ლოკალიზაცია იშვიათია. ამ დროს ძირითადად ვლინდება წყლულების ეპიზოდები, გემოვნების ცვლილება და წვის შეგრძნება [38].



D ჰიპერიმუნოგლობულინემია იშვიათი, პერიოდული, აუტოსომური გენეტიკური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება მორეციდივე ცხელების ეპიზოდებით, ასოცირებული ლიმფადენოპათიასთან, მუცლის ტკივილთან და შრატის პოლიკლონურ იმუნოგლობულინ D-ს მატებასთან. იწყება სიცოცხლის პირველი წლიდან. ხშირია ჰოლანდიელებსა და ფრანგებში. 50 % შემთხვევაში

აღინიშნება პერიოდული წყლულები პირის ღრუსა და გენიტალიუმის ლორწოვანზე [39].



პირის ღრუს ლორწოვანის ჰიპერმგრძნობელობა შეიძლება გამოვლინდეს ჰიპერემიით, ტუჩების, ენისა და ლოყების შესიებით, ბუშტებისა და წყლულების განვითარებით. მიზეზი ინდივიდუალური და მრავალფეროვანია. ძირითადად ვითარდება საკვებზე, სასმელზე, კბილის პასტებსა და პირის ღრუს სავლებზე, გამათეთრებელ პროდუქტებზე, ასევე ბრეკეტ-სისტემაზე და კაპებზე, საღებავ რეზინაზე, თამბაქოზე და სხვ. [40].



პირის ღრუს სიმსივნეებიდან ყველაზე ხშირია ბრტყელ-უჯრედოვანი კარცინომა, რომელიც პროცენტულად 50 წლის ზემოთ გვხვდება, განსაკუთრებით იმუნოდეფიციტის ფონზე, უპირატესად მწვევლებში და ალკოჰოლიკებში. დაავადება თავდაპირველად იწყება პირის ღრუს ფუძიდან და ვრცელდება ენის ლატერალურ და ვენტრალურ ნაწილებზე, ასევე ხშირია ქვედა ტუჩის ლოკალიზაცია. პაციენტები მტკივნეული წყლულის გამო უჩივიან

ღისართრიას და ღისთავიას [41,42].

ამგვარად, ნაშრომში მოცემული ვრცელი ინფორმაცია პირის ღრუში არსებული ეროზიულ-წყლულოვანი დაზიანებების შესახებ, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ დაავადებების დიაგნოზის დასმის დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა დაავადების ეტიოლოგიური და პათოგენეზური ფაქტორები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ დაავადებების წამყვანი სიმპტომატიკა ერთმანეთის მსგავსია და ხშირად ძალიან ძნელია დიფერენცირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://milesduncan.co.uk/procedures/oral-and-maxillofacial-surgery/oral-medicine>
2. https://www.rch.org.au/clinicalguide/guideline_index/HSV_Gingivostomatitis/
3. <https://www.medicalnewstoday.com/articles/oral-shingles-symptoms-treatment-and-oral-care>
4. <https://stamfordskin.com/en/dermatology/herpangina/>
5. Byrne, A.; Bush, R.; Johns, F.; Upadhyay, K. Limited Utility of Serology and Heterophile Test in the Early Diagnosis of Epstein-Barr Virus Mononucleosis in a Child after Renal Transplantation. *Medicines* 2020, 7, 21. <https://doi.org/10.3390/medicines7040021>
6. <https://www.dailymail.co.uk/news/article-10976749/NSW-records-case-diphtheria-century-toddler-north-state.html>
7. Martins, M.D., Fonseca, F.P., Scarini, J.F., Innocentini, L.M.A.R. (2023). Oral Candidiasis. In: Santos-Silva, A.R., Lopes, M.A., Scarini, J.F., Vargas, P.A., Almeida, O.P.d. (eds) Clinical Decision-Making in Oral Medicine. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-031-14945-0_11
8. La Placa, Michelangelo et al. Erythema multiforme major with swollen lips and crusted erosions. *The Lancet*, Volume 392, Issue 10147, 592
9. Capodiferro, S.; Limongelli, L.; Favia, G. Oral and Maxillo-Facial Manifestations of Systemic Diseases: An Overview. *Medicina* 2021, 57, 271. <https://doi.org/10.3390/medicina57030271>
10. <https://www.healthline.com/health/stevens-johnson-syndrome>
11. <https://opmdcare.com/oral-gvhd/>
12. <https://acsjournals.onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.3322/caac.21704>

13. <https://dentistchannel.online/gingival-enlargement-causes-types-and-management/article?for=people>
14. Alexis Aguiar, Melissa Galinato, Maite' Bradley Silva, Bryant Toth, Michael A. McVoy, Laura Hertel, Human Cytomegalovirus Replication and Infection-Induced Syncytia Formation in Labial, Foreskin, and Fetal Lung Fibroblasts, *Viruses*, **13**, 12, (2355), (2021).
15. Mumtaz, S., Pabla, R. Oral tuberculosis. *Br Dent J* 229, 571 (2020). <https://doi.org/10.1038/s41415-020-2368-y>
16. Adele Wolujewicz, Christine Bates. Syphilis on the face in primary care: a rare sign of an increasingly common problem. *British Journal of General Practice* 2016; 66 (648): e528-e530. DOI: 10.3399/bjgp16X686065
17. Salvado, F.; de Araújo Nobre, M.; Gomes, J.; Maia, P. Necrotizing Sialometaplasia and Bulimia: A Case Report. *Medicina* 2020, **56**, 188. <https://doi.org/10.3390/medicina56040188>
18. <https://pocketdentistry.com/fungal-lesions-of-the-oral-mucosa-diagnosis-and-management/>
19. Pragya Tripathi¹, Jaihans Aggarwal², Deepak Chopra³, Sukhchain Bagga⁴, Kanika Sethi. Sarcoidosis Presenting as Isolated Gingival Enlargement: A Rare Case Entity. *Journal of Clinical and Diagnostic Research*, 2014, nov, vol8, issue11 DOI : 10.7860/JCDR/2014/9888.5194
20. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0190962218305048>
21. <https://dentagama.com/news/trench-mouth-acute-necrotizing-ulcerative-gingivitis>
22. Staines, Konrad S. et al. Recurrence of Wegener's granulomatosis with de novo intraoral presentation treated successfully with rituximab Oral Surgery, Oral Medicine, Oral Pathology, Oral Radiology and Endodontics, Volume 108, Issue 1, 76 - 80
23. Smith MH. Pemphigoid. PathologyOutlines.com website. <https://www.pathologyoutlines.com/topic/oralcavitypemphigoid.html>. Accessed April 5th, 2025.
24. <https://journals.4science.ge/index.php/jecm/article/view/1491/1517>
25. <https://www.oralcancerhub.org.au/lesion-guide/potentially-malignant-mucosal-disease/oral-lichen-planus>
26. <https://exodontia.info/linear-iga-disease/>
27. <https://casereports.bmj.com/content/14/6/e238431>
28. <https://www.dermatologyadvisor.com/home/decision-support-in-medicine/dermatology/behcets-syndrome-behcets-disease/>
29. <https://www.healthline.com/health/crohns-disease/skin-conditions-related-to-crohns-disease>
30. <https://celiaccommunity.org/2013/cold-sores-canker-sores-gluten/>
31. Bissonnette C, Kauzman A, Mainville GN. Oral Pyoderma Gangrenosum: Diagnosis, Treatment and Challenges: A Systematic Review. *Head Neck Pathol*. 2017 Dec;11(4):427-441. doi: 10.1007/s12105-017-0804-3. Epub 2017 Mar 8. PMID: 28275955; PMCID: PMC5677063.
32. <https://www.reumatologiaclinica.org/es-afectacion-oral-el-paciente-con-articulo-S1699258X15000571>
33. Sheetal A, Hiremath VK, Patil AG, Sajjansetty S, Kumar SR. Malnutrition and its oral outcome - a review. *J Clin Diagn Res*. 2013 Jan;7(1):178-80. doi: 10.7860/JCDR/2012/5104.2702. Epub 2013 Jan 1. PMID: 23449967; PMCID: PMC3576783.
34. Günther, C. (2021). Oral Lupus Erythematosus. In: Schmidt, E. (eds) *Diseases of the Oral Mucosa*. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-030-82804-2_25
35. Nora S. Ali, Julio C. Sartori-Valinotti, Alison J. Bruce, Periodic fever, aphthous stomatitis, pharyngitis, and adenitis (PFAPA) syndrome, *Clinics in Dermatology*, Volume 34, Issue 4, 2016, Pages 482-486, ISSN 0738-081X, doi.org/10.1016/j.clindermatol.2016.02.021.
36. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/prd.12262>
37. <https://www.nature.com/articles/nrdp201732>
38. Bhatt H, Cascella M. Familial Mediterranean Fever. [Updated 2023 Jul 31]. In: StatPearls [Internet]. Treasure Island (FL): StatPearls Publishing; 2025 Jan-. Available from: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK560754/>
39. <https://www.aiarthritis.org/HIDS>

40. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1002/jvc2.318>
41. Chiara Bramati, Silvio Abati, Stefano Bondi, et al. Early diagnosis of oral squamous cell carcinoma may ensure better prognosis: a case series. *Authorea*. September 24, 2021.
DOI: 10.22541/au.163251238.82757240/v1
42. <https://journals.4science.ge/index.php/jecm/article/view/881/919>
43. <https://journals.4science.ge/index.php/jecm/article/view/2666/2643>
44. <https://journals.4science.ge/index.php/jecm/article/view/3041/3028>

ნატო კორსანტია ¹, ნინო კორსანტია ¹, მარიამ თუთაშვილი ¹, ეკატერინე ბეშკენაძე ¹, ალექსანდრე კაციტაძე ¹, ნინო ცისკარიშვილი ¹, ნინო ადამაშვილი ¹, ლელა ბერიძე ², თეა კაციტაძე ³

პირის ღრუს ლორწოვანის ეროზიულ-წყლულოვანი დაზიანებების

დიფერენციალური დიაგნოზი

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ²ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო;
³შპს „ჯანმრთელობის ინსტიტუტი“; საქართველო

რეზიუმე

პირის ღრუს ლორწოვანის ეროზიულ-წყლულოვანი დაზიანებები სხვადასხვა დაავადების სიმპტომი შეიძლება იყოს, ამიტომაც ხშირად დერმატოლოგები და სტომატოლოგები სირთულეს აწყდებიან სწრაფი და ზუსტი დიაგნოზის დასმის დროს. ფორმით და ზომით, ასევე ჩივილებით, აღნიშნული ელემენტები ძალიან ჰგავს ერთმანეთს და მნიშვნელოვანია ადრეული დამხმარე დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენება და ყველა, თუნდაც იშვიათი დაავადების გახსენება, რომ დროულად მოხდეს სწორი დიაგნოზის დასმა და სათანადო მკურნალობის დაწყება.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ნაშრომი დაეთმობა პირის ღრუს ეროზიულ-წყლულოვანი დაზიანებების დიფერენციალურ დიაგნოზს.

ეროზიები და წყლულები შეიძლება კლასიფიცირდეს დაწყების და მიმდინარეობის ხანგრძლივობის; რაოდენობის და ეტიოლოგიური ფაქტორების მიხედვით; თუ ლორწოვანის დაზიანება გრძელდება ორ კვირაზე მეტი, განიხილება როგორც ქრონიკული ეროზია და წყლული. მწვავე წყლული გრძელდება ორ კვირამდე და ტიპურად მტკივნეულია, მაშინ როცა მორეციდივე წყლულები ანამნეზში ხასიათდებიან წყლულების პერიოდული გაჩენითა და არარეგულარული შეხორცების ეპიზოდებით. ერთეული წყლული არის ერთი წყლულოვანი დაზიანების გაჩენა, ხოლო ტერმინი მრავლობითი ხსნის მრავალრიცხოვანი წყლულოვანი დაზიანების სიხშირეს.





ავტორთა საყურადღებოდ!

1. ორიგინალური სტატია უნდა წარმოადგინოთ ერთ ეგზემპლარად, დაბეჭდილი 1,5 ინტერვალით, შრიფტის ზომა - 12 პუნქტი; ქართული, რუსული და ინგლისური ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, ფორმატში Microsoft Word.
2. სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და უნდა შეიცავდეს ციტირებული ლიტერატურის სიას, ცხრილებს და გრაფიკებს.
3. პირველ გვერდზე მიუთითეთ: 1) ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი სრულად; 2) სტატიის სათაური; 3) კათედრა, ლაბორატორია ან ორგანიზაცია, ქალაქი, ქვეყანა.
4. სტატიას უნდა დაერთოს რეზიუმე ინგლისურ და ქართულ ენებზე, თითოეული მოცულობით არა უმეტეს 0,5 გვერდისა.
5. ტექსტში ბიბლიოგრაფიული მითითებები აღნიშნეთ ნომრით, კვადრატულ ფრჩხილებში, ლიტერატურის ნუსხის შესაბამისად. მიუთითეთ ნაშრომის სახელწოდება, გამომცემლობა, წელი, ტომი, ნომერი და გამოშვება, გვერდების აღნიშვნით.
6. სტატიას ბოლოში ერთვის პირველი ავტორის ხელმოწერა, სამეცნიერო ხარისხი და წოდება, მისამართი და ტელეფონის ნომერი.
7. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია ითვებს უფლებას შეასწოროს და შეამოკლოს ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატია რეცენზენტის შენიშვნების გათვალისწინებით.
8. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია პასუხს არ აგებს გამოქვეყნებული მასალის შინაარსზე.
9. ხელნაწერები, რომლებიც არ შეესაბამება აღნიშნულ წესებს, უბრუნდება ავტორს განხილვის გარეშე.

INFORMATION FOR AUTHORS

1. A single copy of an original article should be typed 1.5-spaced, font size 12, on sheets of paper with standard margins. It's desirable to submit an article typed in Microsoft Word.
2. The articles submitted should not be less than 5 typed pages, including list of references, tables and figures.
3. Page 1 should include: 1) the authors' full names; 2) the title of the article; 3) the department, laboratory and institution where the work has been carried out, city, country.
4. Abstract in English and Georgian (0.5 typed page in size) should be sent with the article.
5. References cited in the article text should be numbered in square brackets and according to the list of references where the authors are enumerated in alphabetical order. The author, title of the article, place of publication, publishing house, publication year, volume, number, edition number, pages (from-to) should be indicated.
6. At the end of the article, signatures of first author must be affixed along with academic degree, address, and phone number.
7. The editorial board retains the right to shorten and edit the articles sent, taking into consideration the reviewer's remarks.
8. The editorial board is nor responsible for the content of the published material.
9. Manuscripts not prepared according to the instructions will be returned to the authors without consideration.